

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დინარა ფალავა

„მყარ შედარებათა ენობრივი სტატუსი და ტრანსლაციის პრობლემები“
(ფრანგული და ქართული ენების მაგალითზე)

სპეციალობა 10. 01. 12 - თარგმანისა და ლიტერატურულ
ურთიერთობათა თეორია და ისტორია

დ. ი. ს. ე. რ. ტ. ა. ც. ი. ა.

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი

2005 წელი

შესვალი: -----	4
I თავი: მყარი შედარებების ანალიზის თეორიული პრინციპები -----	11
II თავი	
მყარი ენობრივი შედარების, როგორც ინტრაკულტურული ნიშნის თავისებურება და მისი ინტერპრეტაცია კულტურათშორისი კომუნიკაციის პოზიციებიდან -----	43
III თავი	
ფრანგული და ქართული მყარი ენობრივი შედარებების ლექსიკურ - სემანტიკური სტრუქტურა -----	56
IV თავი	
ფრანგული მყარი ენობრივი შედარებების ქართულად თარგმნის პრობლემები -----	82
დასკვნები -----	114
ბიბლიოგრაფია -----	126

შესავალი

მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება ინტერდისციპლინარული კვლევების აქტივიზაციით, რამაც შესაძლებლობა მისცა მკვლევარებს სამეცნიერო მიმოქცევაში ახალი კატეგორიები და მოვლენები შემოეტანათ. ახლებურმა მიდგომამ ბევრი ტრადიციული კონცეფციის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე გააზრების, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი ცნებითი აპარატის შექმნის აუცილებლობა გამოიწვია. დარგთაშორისი ინტეგრაციის ზოგად ტენდენციას ვერც თარგმანის თეორია გაექცა და ახალი იდეების საძიებლად მომიჯნავე სფეროებს მიმართა. გარდა ტრადიციული კავშირებისა ენათმეცნიერებასთან და ლიტერატურათმცოდნეობასთან, თარგმანთმცოდნეობის კონტაქტური ველი ახალი დისციპლინების (სამეცნიერო აქტთა თეორია, ფსიქოლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა, ლინგვოპრაგმატიკა, ლინგვოკულტუროლოგია, ეთნოლინგვისტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა და სხვათა) ინტერესებთანაც გადაიკვეთა. ინტერდისციპლინარულმა თანამშრომლობამ მნიშვნელოვნად გაამდიდრა თარგმანთმცოდნეობის ცნებითი აპარატი და დარგის განვითარებას ახალი იმპულსი მიანიჭა. თუ იმის გარკვევას შევეცდებით, რა წვლილი შეიტანა თარგმანთმცოდნეობის ახალი იდეებით გამდიდრებაში აღნიშნულმა მომიჯნავე დარგებმა, შეიძლება გამოვყოთ ცალკეული დისციპლინების დამსახურება: ტექსტის თეორიამ განაპირობა ტექსტის , როგორც თარგმანის საოპერაციო ერთეულის, შემოტანის აქტუალობა და განსაზღვრა ტექსტობრივი ტიპების როლის გათვალისწინების აუცილებლობა თარგმნის პროცესში; ფსიქოლინგვისტიკას თარგმანთმცოდნეობა დაესესხა ტექსტის პროცესუალურ ინტერპრეტაციას, რომლის მიხედვითაც ტექსტი სამეცნიერო მოღვაწეობის პროდუქტია, რომელსაც თანმიმდევრული სამეცნიერო აქტების კომბინირებით ახორციელებს ადრესანტი. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა, ანალოგი დავენახოთ ავტორისეულ და მთარგმნელისეულ მოღვაწეობაში;

ლინგვოპრაგმატიკამ და სამეტყველო აქტების თეორიამ მიზნობრიობის ცნება ჩამოაყალიბა, რამაც თარგმნის პროცესში ადრესანტისეული ინტენციონალური პროგრამის დეკოდირებას შეუწყო ხელი; ლინგვოკულტუროლოგია და ეთნოლინგვისტიკა თარგმანთმცოდნეობას კულტურათაშორისი კომუნიკაციის სპეციფიკურ პრობლემებზე მიუთითებს. თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთ საინტერესო მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს კულტურის სემიოტიკური სივრცის ცნების შემოტანა, რომლის მიხედვითაც კულტურა განსხვავებული სემიოტიკური ფაქტურის (ენა, მუსიკა, მხატვრობა და ა.შ.) ტექსტებისგან შემდგარ სისტემას წარმოადგენს. კულტურის ენობრივი პლასტი წარმოდგენილია ტექსტებით, რომელთა ფუნქციონირებაც განაპირობებს საზოგადოების გამთლიანების ტენდენციას. აღნიშნული ტექსტების ნაციონალურ-კულტურულ სპეციფიკას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესად შეიძლება მივიჩნიოთ სამყაროს თავისებური აღქმა და არაერთგვაროვანი სემენტაცია განსხვავებულ კულტურებში. ამას ნათლად ადასტურებს ენობრივ, ანუ მყარ შედარებათა კონფრონტაციური ანალიზი. მყარი შედარებები საინტერესოა როგორც ნომინაციის აქტის განხორციელების თვალსაზრისით, ასევე როგორც ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკის მატარებელი სემენტი, რომლის ადეკვატურად თარგმნა მეორე ენაზე საკმაოდ დიდ სირთულეს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ საჭიროება ენობრივი, ანუ მყარი შედარებების ლინგვისტური ბუნების გარკვევისა კარგა ხანია მომწიფდა, ჯერ კიდევ არ არსებობს ფუნდამენტალური თეორიული გამოკვლევა ამ მიმართულებით. უფრო მეტიც, განსხვავებით ფრანგული და რუსული ენების სპეციალისტებისგან, რომელთაც მყარი შედარებების სპეციალური ლექსიკონები შეადგინეს, ქართველმა მეცნიერებმა, თუ არ ჩავთვლით თედო სახოკიას „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“-ს და ალ. ლლონტის ლექსიკონებს, რომლებიც სხვა ხატოვან გამოთქმებთან ერთად მყარი შედარებების მაგალითებსაც შეიცავენ, აღნიშნული პრობლემა თავისი ინტერესების სფეროში ვერ მოაქციეს. სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობას განაპირობებს, ერთის მხრივ, მყარი

შედარებების სპეციფიკური როლი ამა თუ იმ კულტურაში, რაც სამყაროსეული ხედვისა და მისი ენობრივი სემანტიკის თავისებურებებში ვლინდება, ხოლო, მეორე მხრივ, ე.წ. „უთარგმნელი ელემენტების“ გადმოცემის მექანიზმის შემუშავების აუცილებლობა. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომის მიზანი შემდეგნაირად შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ: 1) მყარი შედარებების არსებობისა და ფუნქციონირების თავისებურებების განსაზღვრა; 2) მათი ლინგვისტური კვალიფიკაცია; 3) ექვივალენტურობის პრინციპის პროეცირების შესაძლებლობის განსაზღვრა სხვადასხვა ენის მყარი შედარებების შეჯერებით; 4) ფრანგულ-ქართული მასალის განხილვის შედეგად პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება ისეთი „უთარგმნელი ერთეულების“ მიმართ, როგორცაა ენობრივი, ანუ მყარი შედარებები.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლეს განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები: 1) ენობრივი, ანუ მყარი შედარებების, როგორც კულტურულ - ენობრივი ნიშნების შეუსწავლბლობა; 2) მათი ენობრივი მანიფესტაციების სისტემიზაციის აუცილებლობა; 3) თარგმანთმცოდნეობაში აღნიშნული მოვლენების გადმოცემის თეორიული პრინციპების შემუშავებლობა და ა.შ. ამრიგად, ნაშრომის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს აღნიშნული პრობლემების სისტემურ ანალიზში. მყარი შედარებები პირველად განიხილება, როგორც კულტურულ-ენობრივი ნიშნები, რომლებიც უპირისპირდება როგორც სამეტყველო ფიგურებს- ტროპებს, ასევე-არაენობრივ შედარებებს, რომელთაც სპონტანური ხასიათი გააჩნიათ, ასევე პირველადაა მოცემული შესაბამისი ფრანგულ-ქართული მასალის შეპირისპირება თარგმანთმცოდნეობის კუთხით და შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

სადისურტაციო გამოკვლევა ეფუძნება კონკრეტული ემპირიული მასალის კვლევას. ფრანგული მაგალითები ჩვენ ამოვკრიბეთ შესაბამისი ლიტერატურული ნაწარმოებებიდან და ლექსიკოგრაფიულ წყაროებს ვერიფიკაციის მიზნით შევუდარეთ, რათა დაგვედასტურებინა შედარების ენობრივი ხასიათი. შეიძლება დაიბადოს ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ არ არის საჭირო კონკრეტული

მხატვრული ნაწარმოებების მოხმობა მყარი შედარების ბუნების განსაზღვრისათვის, ვინაიდან შესაძლებელია საანალიზო მასალა ლექსიკოგრაფიული წყაროებიდან ავიღოთ (იგულისხმება ფრანგული ენა, რომლის ენობრივი, ანუ მყარი შედარებები აღწერილია). მხატვრული ტექსტების მოშველიება ჩვენ იმიტომ დაგვჭირდა, რომ მათი თარგმანის საშუალებით დაგვედგინა მყარი შედარებების გადმოცემის თავისებურებანი, რაც, თავის მხრივ, მათი ბუნების განსაზღვრაში დაგვეხმარება. რაც შეეხება ქართული მასალის ვერიფიკაციას, ჩვენ გამოვიყენეთ ალ. ლლონტისა და თედო სახოკიას ლექსიკონები, აგრეთვე სხვადასხვა სახის ფრაზეოლოგიური ლექსიკონები, სადაც შესაძლებელი იყო მყარი შედარებების მოძიება (იხ. ბიბლიოგრაფია). ფრანგი ავტორების ქართულმა თარგმანებმა საშუალება მოგვცა, მყარი შედარებების გადმოცემის ხერხები და მეთოდები დაგვედგინა. საჭიროდ მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ მყარი შედარებების შექმნის პროცესი აქტიური პროცესია და, ბუნებრივია, წინ უსწრებს ლექსიკოგრაფიის განვითარების ტემპს. ამის გამო ბევრმა მყარმა შედარებამ, რომელთაც ენობრიობის სტატუსზე პრეტენზია გააჩნია, ჯერ ვერ ჰპოვა ასახვა ლექსიკონებში. ასეთი შემთხვევების განხილვაც ნაშრომის სამეცნიერო სიახლეს უნდა მივაკუთვნოთ.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის შედეგებს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მყარი შედარების ლინგვისტური ბუნება სპეციალურად არ არის შესწავლილი, რასაც ადასტურებს ის, რომ მას ხან ფრაზეოლოგიზმების არაერთგვაროვანი კორპუსის შემადგენლობაში განიხილავენ, ხან ტროპების ნაირსახეობად მიიჩნევენ, ხოლო უმეტეს შემთხვევაში გვერდს უვლიან მის სტატუსზე საუბარს და უბრალოდ აფიქსირებენ ლექსიკონებში. აღნიშნული მოვლენის იგნორირება აბსოლუტურად არ ცვლის საქმის ვითარებას¹-არსებობს პრობლემა (გვინდა თუ არ გვინდა მისი დანახვა), რომელიც შესაბამის გადაწყვეტას მოითხოვს. ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა სწორედ მყარი შედარების ენობრივი ბუნების განსაზღვრაში და მისი, როგორც მთარგმნელობითი მოღვაწეობის ოპერაციული ერთეულის,

გამოყენების კანონზომიერების დადგენაში მდგომარეობს. კვლევის შედეგები საკმაოდ მნიშვნელოვანია პრაქტიკული თვალსაზრისითაც. გარდა იმისა, რომ ისინი შეიცავენ შესაბამის რეკომენდაციებს მთარგმნელთათვის და ქართული მასალის ლექსიკოგრაფიული დამუშავების პრინციპებს განსაზღვრავენ, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მყარი შედარების გამოჯენა მსგავსი მოვლენებისაგან, რაც გარკვეულ დახმარებას გაუწევს სემანტიკით, ფსიქოლოგიით, ლინგვოკულტუროლოგიით, სტრუქტურული პოეტიკით და სხვა ჰუმანიტარული დისციპლინებით დაინტერესებულ სპეციალისტებს.

ენობრივი, ანუ მყარი შედარებების კვლევისას ვიყენებთ სხვადასხვა მეთოდს: დესკრიფციულს - სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპების აღწერის მიზნით; შეპირისპირების - უნივერსალური და ნაციონალურ-სპეციფიკური ნიშნების დასადგენად; ტრანსფორმაციულს-დინამიკური ენათშორისი ექვივალენტობის გამოსავლენად. დასახელებული მეთოდების გამოყენებას განსაზღვრავს თვით საკვლევი მასალის შინაარსი, რომლის ანალიზიც რიგ თანმიმდევრულ ქმედებას მოითხოვს. სწორედ აღნიშნულ ქმედებათა თანმიმდევრობა წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის შინაარსობრივი სტრუქტურის საფუძველს და ასახვას პოულობს შესაბამისი თავებისა და პარაგრაფების გამოყოფაში. წინამდებარე ნაშრომის უპირველესი ამოცანაა საკვლევი მასალის ისეთ თეორიულ ჩარჩოებში მოქცევა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მიღებული შედეგების სანდოობის ხარისხი უზრუნველვყოთ. სწორედ ასეთ მიზანს ისახავს დისერტაციის პირველი თავი „მყარი შედარების ანალიზის თეორიული პრინციპები“, რომელშიც განხილულია შედარებასთან დაკავშირებული გნოსეოლოგიური, ლინგვოსემიოტიკური, კულტუროლოგიური და სხვა პრობლემები. აღნიშნული ფენომენის ენობრივი სტატუსის დასადგენად ვახდენთ მის შეპირისპირებას მონათესავე მოვლენებთან: მეტაფორასთან, მეტონიმიასთან, სინექდოქესთან და ა.შ., რაც საშუალებას გვაძლევს, უფრო ნათლად გამოვკვეთოთ მყარი შედარებების სპეციფიკა. ასევე მნიშვნელოვნად

მიგვაჩნია ამ უკანასკნელის მიმართების დადგენა ენობრივი სისტემის კატეგორიასთან, რაც საშუალებას იძლევა გავმიჯნოთ ენობრივი და არაენობრივი, ანუ ინდივიდუალური შედარება. თეორიული დებულებები საფუძვლად ედება კონკრეტული სტრუქტურულ-ფუნქციონალური ერთეულების გამოყოფის პრინციპებს ქართულ და ფრანგულ ენებში, რაც პრაქტიკულად ნაშრომის მეორე თავში ხორციელდება. ქართული და ფრანგული მასალის შეპირისპირება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მსგავსი და განსხვავებული სტრუქტურულ-სემანტიკური მოვლენები, რომლებიც კომპარატიულ მოდელებს უკავშირდება. ამგვარი ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ ექვივალენტური და არაექვივალენტური მიმართებების შესახებ. ნაშრომის მესამე თავი სწორედ ტექსტობრივი ექვივალენტობის საკითხს განიხილავს ფრანგული მყარი შედარებების ქართული თარგმანების ბაზაზე. აღნიშნული ექვივალენტების შეფასებისას სხვადასხვა, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან ფაქტორს განვიხილავთ: შინაარსობრივ სიახლოვეს, ემოციური მუხტის შენარჩუნებას, სტრუქტურულ ორგანიზაციას, ნაციონალურ - კულტურული სპეციფიკის გათვალისწინებას და ა.შ. ბუნებრივია, ყველა აღნიშნული ფაქტორის ერთდროული გათვალისწინება საკმაოდ ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული და მთარგმნელს აიძულებს მისი პრინციპებიდან გამომდინარე გააკეთოს ესა თუ ის არჩევანი რომელიმე კომპონენტის დათმობის ხარჯზე. ამიტომ თარგმანის აკარგის შეფასებისას აუცილებელია გათვალისწინებული იყოს მთარგმნელობითი კომპრომისის აუცილებლობის ფაქტორი, რომელიც სათარგმნი ტექსტის ძირითად ინტენციასთან მიმართებაში ვლინდება.

ამრიგად, ჩვენ ჩამოვყალიბეთ სადისერტაციო ნაშრომის კვლევის სტრატეგია, ოპერაციათა თანმიმდევრობა, განვსაზღვრეთ ანალიზის მეთოდოლოგიური მხარე და კონკრეტული ემპირიული მასალა და ყოველივე ეს ძირითად მიზანს დაუემორჩილეთ, რომელიც კონკრეტულ ამოცანათა ერთობლიობაში ვლინდება. ეს ამოცანებია: 1) ენობრივი ანუ მყარი შედარების

საკვალიფიკაციო კრიტერიუმების განსაზღვრა და მისი ლინგვისტური იდენტიფიკაცია; 2) მყარი შედარებების, როგორც ენის ნაციონალურ-კულტურული კომპონენტების თავისებურების განსაზღვრა ეროვნულ-სახეობრივი აზროვნების ფონზე; 3) მყარ შედარებათა ექვივალენტობის ხარისხის დადგენის კრიტერიუმების ჩამოყალიბება და მისი პრაქტიკული გამოყენება კონკრეტულ ემპირიულ ფრანგულ-ქართულ მასალასთან მიმართებაში; 4) ეთნომენტალური ფაქტორის ანალიზი მყარი შედარებების შინაარსობრივი შედარებით დეკოდირებისას და თარგმნის ანუ კულტურათშორისი კომუნიკაციის პროცესში. ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებლად მიგვაჩნია კონკრეტულ მასალაზე გადასვალა და დასაზუსტი ამოცანებისა და მიზნების პრაქტიკული განხორციელება.

მყარი შედარებების ანალიზის თეორიული პრინციპები

§ 1 შედარების გნოსეოლოგიური ფუნქცია და კატეგორიალური ბუნება

იმ სიტყვათა შორის, რომელთაც ჩვენ ყოველდღიურ მეტყველებაში ყოველგვარი ტერმინოლოგიური მნიშვნელობის გარეშე ვიყენებთ, თავისი მაღალპროდუქტიულობითა და სიხშირით ყურადღებას იქცევს ლექსემა „შედარება“. ჩვენ იმდენად გასაგებად მიგვაჩნია, რომ არც კი გვიფიქრია მის სპეციალურ ტერმინოლოგიურ მნიშვნელობაზე. არადა, ამ ტერმინის მიღმა ისეთი რთული და მნიშვნელოვანი ცნება დგას, რომ მას ვერ აარიდებს თავს პრობლემასთან დაკავშირებული ვერც ერთი სერიოზული გამოკვლევა. უფრო მეტიც, შედარების, როგორც მენტალური ანუ აზროვნებითი ოპერაციის, გარეშე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ არამარტო თანამედროვე მეცნიერების განვითარება, არამედ საერთოდ ადამიანის, როგორც *homo sapiens*-ის ჩამოყალიბების პროცესი, შედარება და იდენტიფიკაცია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, მიუხედავად იმისა, თუ რა ასაკში იმყოფება ადამიანი, რა საჭიანობას ეწევა, თუ რომელ ერს ან კულტურას მიეკუთვნება. აქედან გამომდინარე, ნათელია აღნიშნული ოპერაციის, როლი და ადგილი ჩვენს ცხოვრებაში. მოვლენის ლინგვისტური კუთხით ანალიზი ერთ-ერთი ასპექტია შედარების შინაარსობრივი ბუნების შესწავლისა და მოითხოვს კოორდინაციას შესაბამის სამეცნიერო დისციპლინებთან (რომელთაც ასევე თავისი ინტერესების სფეროში მოაქციეს აღნიშნული ცნება) - ლოგიკასთან, ფსიქოლოგიასთან, პოეტიკასთან და ა.შ. სიტყვის არატერმინოლოგიური გამოყენება იმდენად გავრცელებულია, რომ სპეციალური კონტექსტის გარეშე რთულია გარკვევა, იგულისხმება ცნება „შედარება“-ში გარკვეული მენტალური ოპერაცია, თუ ადგილი აქვს სიტყვის პოეტიკის კონტექსტში ჩართვას. ვინაიდან

აღნიშნულ მოვლენას წინამდებარე ნაშრომისათვის პრინციპული მნიშვნელობა გააჩნია, ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით მისი კატეგორიული ბუნების განსაზღვრის მცდელობას. აღნიშნული სიტყვის დეფინიცია შეიცავს სხვადასხვა მნიშვნელოვან სემას, რომელთა წინა პლანზე წამოწვევა შეიძლება დაეუკავშიროთ იმ ინტრადისციპლინარულ მოთხოვნებს, რომელზედაც ორიენტირებულია განსაზღვრება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოვლენის ლინგვისტური განსაზღვრებისას ყურადღება გამახვილებულია სტრუქტურული აღქმისა და ხედვის ეროვნულ სპეციფიკაზე, ლოგიკურისას - შედარების ჭეშმარიტება - მცდარობის ასპექტზე და ა.შ. ამიტომ შევეცდებით მოვიყვანოთ სხვადასხვა დეფინიცია, რათა მათი შედარების შედეგად შევეცადოთ დავადგინოთ საკვლევი მასალის კატეგორიული ბუნება, მოვიყვანოთ აღნიშნული ცნების სხვადასხვა განმარტებას. ასე, მაგალითად, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კვითხულობთ: „შედარება სახელი შეადარებს, შეედრება ზმნათა მოქმედებისა რა შედარებაა! (საუბ.) - შედარება არ შეიძლება, დიდი განსხვავებაა“ / ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986, 476 /. საკვლევი მასალის სფეციფიკასთან უფრო ახლოს დგას ზმნის „შედარებ“-ს განმარტება, რომელიც ლექსიკონში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: „შედარებ“ -ს (აწმ. ადარებს) გრძმ. 1. შეაპირისპირებს ერთმანეთთან მსგავსება - განსხვავების გამოსაკვლევად. - შეაჯერებს, შეამოწმებს. 2. შეატოლებს, გაუტოლებს, მიამსგავსებს. „პლეტმა ქალი მზეს შეადარა. = შდრ. შეუდარებს, შეედრება, შედარება, შედარებული, შესადარებელი, შეუდარებელი“ / ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1936, 472 /, როგორც ვხედავთ, აღნიშნულ ლექსიკოგრაფიულ წყაროში შედარების ტერმინოლოგიური მნიშვნელობა არ ფიქსირდება.

ფრანგული ენის განმარტებითი ლექსიკონი Dictionnaire de la Langue Française (Petit Robert) -ი გვაძლევს ცნება „Comparaison“ -ის შემდეგ განმარტებას - „Comparaison“. n.f.(fin XII ; lat. comparatio) ◊ 1° Le fait d ' envisager ensemble (deux ou plusieurs objets de pensée) pour en chercher les differences ou les ressemblances. V. Comparer: analyse, jugement,

rapprochement ... (V. balance, parallèle, regard. Il n ' y a pas de comparaison possible. Soutenir la comparaison. V. Mesure (commune mesure) Elements de comparaison (analogie, différence, rapport, relation, ressemblance). Comparaison de textes, d' ecritures, V. lollationnement, confrontation, recension. ◇ Adverbes de comparaison, qui indiquent un rapport de supériorité, d' egalité ou d' infériorité.(Ainsi, aussi, autant, comme, même (de même que), moins, plus. – Degrés de comparaisons. V. positif, comparatif, superlatif; ◇ 2 ° Loc. En comparaison de, V. Aupres, côté (à), egard (a l '), proportion (en) , prix (au) rapport (par) , regard (en) , relativement, vis-a-vis. .. Nous etions des geants en comparaison de la société ... qui s' est engendrée“ (Chateaub.) – Par comparaison à. Pour lui, c' est la misère, par comparaison à sa richesse passée.Absolt. La plupart des choses ne sont bonnes ou mauvaises que par comparaison. – Sans comparaison: sans hesitation. .. J' aime bien mieux, très superieur. ◇ 3 ° Rapport établi entre un objet et un autre terme, dans le langage. V. Allusion, image, metaphore. Comparaison// qui accentue la différence. V. Antithèse, contraste. le premier, le second membre d' une comparaisons. V. comme, Prov. comparaison n ' est pas raison: une comparaison n' est pas un argument ne prouve rien“. /Dictionnaire de la Langue Française. Petit Robert, 1986 347/.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანი ცნების განმარტება ფრანგულში საკმაოდ ვრცელია, ვერც მასში ვერ ვპოულობთ მისაღებ ტერმინოლოგიურ დეფინიციას, რომელიც მყარი შედარების ბუნებას შეესაბამებოდა. მიუხედავად ამისა, განმარტება შეიცავს ინფორმაციას მისი ცალკეული მახასიათებლების შესახებ; შედარების ელემენტების, მათი ურთიერთდამოკიდებულების, ცალკეული სტრუქტურული მახასიათებლების და ა.შ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მონაცემები არ არის

საკმარისი მყარი შედარების კატეგორიის თეორიული ინტერპრეტაციისათვის. შევეცადოთ მივმართოთ მომიჯნავე მეცნიერებების მონაცემებს.

ყველაზე ზოგადთეორიული სამეცნიერო დისციპლინა, როგორცაა ფილოსოფია, შედარებაში გულისხმობს ობიექტთა შეპირისპირებას მსგავსებისა და განსხვავებული ნიშნების დადგენის მიზნით, რაც შემდგომი განზოგადების საფუძველს წარმოადგენს და უდიდეს როლს თამაშობს ანალოგიაზე დაფუძნებული დასკვნების მიღებაში / Simmel, Principles of Philosophy, 1981, 43\.

გაცილებით უფრო ინფორმატიულია ნ. კონდაკოვის „Логический словарь - справочник“-ში მოცემული ინტერპრეტაცია, რომელიც ჩვენი ლინგვისტური განმარტებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია. შედარება წარმოადგენს გარესამყაროს შეცნობის ერთ-ერთ ძირითად ლოგიკურ ოპერაციას. ნებისმიერი საგნის ან მოვლენის შეცნობა იმით იწყება, რომ ჩვენ მას გამოვარჩევთ ყველა დანარჩენი საგნებისგან და ვადგენთ მის მსგავსებას მონათესავე საგნებთან. შეშეცნება წარმოადგენს პროცესს, რომელშიც განსხვავება და მსგავსება განუყოფელ მთელს შეადგენენ. აღნიშნული მეთოდის შეშეცნების მნიშვნელობა მით უფრო ნათელი ხდება, ვინაიდან შედარება ორგანულად შედის ადამიანის კონკრეტულ პრაქტიკულ მოღვაწეობაში. როგორც ნ. კონდაკოვი აღნიშნავს, აღნიშნული ლოგიკური ქმედების გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი, თუნდაც უმარტივესი, ცნების წარმოშობა, ასე მაგალითად, მათემატიკასთან მიმართებაში როგორც რიცხვის, ასევე ფიგურის ცნება მხოლოდ და მხოლოდ გარესამყაროდანა აღებული და არ წარმოშობილა ადამიანის თავში წმინდა აბსტრაქტული აზროვნების შედეგად. საჭირო იყო საგნების არსებობა, რომელთაც გარკვეული ფორმა გააჩნდათ და მათი შედარება, რომ ჩვენ ფიგურის ცნებამდე მივსულიყავით, \ Н.И. Кондаков Логический словарь – справочник, 1975, 567 \ .

მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე არამართო ადამიანს მოეთხოვება აღნიშნული ლოგიკური ოპერაციის ფლობა, არამედ - ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებულ კიბერნეტიკულ გამოთვლელ მანქანებსაც. ამერიკელი მათემატიკოსის ე. ბერკლის აზრით, გამოთვლელ მანქანას უნდა შეეძლოს ორი რიცხვის შედარება და იმის დადგენა, უდრის თუ არა ისინი ერთმანეთს. / Э. Беркли. символическая логика и разумные машины, 1961, 231\.

უფრო მეტიც, გამოთვლელ მანქანას ამოცანად უსახვევენ რამდენიმე რიცხვის შედარებას, რომლებიც განლაგებულია ორ ან მეტ პერფორენტაზე, იმის გასარკვევად, თუ რომელია მათ შორის უმცირესი (ან უდიდესი) და ახდენენ ამ რიცხვის გამოსავალ ლენტაზე დაფიქსირებას. გამოთვლელი მანქანის არითმეტიკული მოწყობილობა საკმაოდ რთულია და, გარდა მაჯამბლისა და გამოთვლელისა, შეიცავს შემადარებელ მოწყობილობასაც. სიმბოლოების შედარება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროცესს ანუ ოპერაციას წარმოადგენს, რომელსაც ელექტრონულ - ციფრული გამოთვლელი მანქანა, ანუ, თანამედროვე ტერმინოლოგიით კომპიუტერი ახორციელებს. კომპიუტერის პროგრამაში ხდება ცალკეულ სიმბოლოთა ურთიერთმიმართების დადგენა და შესადარებელი ერთეულების მსგავსება-განსხვავების დადგენა; ისე, მაგალითად, მთარგმნელი მანქანის დამმახსოვრებელ მოწყობილობაში, ანუ მის ელექტრონულ ლექსიკონში, შეყვანილი იყო 100 000 ფრაზაზე, სიტყვაზე და მორფემაზე მეტი ინგლისურ ენაზე, რომელთაც ამდენივე ერთეული შეესაბამება რუსულ ენაზე. გამოთვლელი მანქანა, რომელიც მოძიებისა და შედარების პრინციპებს ეფუძნება, ადარებს სიმბოლოებს, რომელიც პერფორენტიდან შემოდის, საკუთარი ლექსიკონის სიმბოლოებს, ხოლო შემდეგ, ადგენს რა მსგავსებას, მის რუსულ ექვივალენტს ბეჭდავს. ცნობილი კიბერნეტიკოსი დ. მაკკეი ავტომატების „დაბალ“ დონეებზე დაყოფის საფუძვლად მიიჩნევს

მათ უნარს შემავალი სიგნალების შედარებისა და მათი შესაბამისი განზოგადებისა.

„დაბალი“ დონის ავტომატები სიგნალების მხოლოდ ფილტრაციას და ტრანსკოდირებას ახდენენ, მაგრამ მათ არ გააჩნიათ შინაგანი მექანიზმი, რომელიც შეადარებს სისტემის მდგომარეობას გარემოს ზემოქმედების ხასიათს. „მაღალი“ დონის ავტომატები კი შეიცავენ ისეთ მექანიზმს, რომლის მიზანი გარემოდან მიღებული სიგნალების შედარებაა შესაბამის „საცდელ“ პროგრამებთან. ეს განაპირობებს ამ უკანასკნელთა ცვლის საკმარის მოქნილობას გარემოდან მიღებული სიგნალის შესაბამისად /Д. Маккей. Об образовании понятий автоматами, 1956, 69\.


შედარების დიდ მნიშვნელობაზე, შემეცნების თეორიის თვალსაზრისით, მეტყველებს მისი კავშირი საყოველთაო ანუ უნივერსალურ კატეგორიებთან. როგორც ცნობილია, სხვადასხვა საგანთა ან მოვლენათა შედარების საფუძველზე შესაძლებლობა გვეძლევა აღნიშნულ საგანთა ან მოვლენათა ზოგადი თვისებები ან ნიშნები დავადგინოთ. მეორე მხრივ კი ცნობილია, რომ საკვლევ მოვლენათა ან საგანთა ზოგადი ნიშნებისა და თვისებების დადგენა აღნიშნულ მოვლენათა კლასის განვითარების კანონზომიერებათა შეცნობის პირველ საფეხურს წარმოადგენს. საყოველთაოს ანუ უნივერსალურის კატეგორიის გამოყოფას სწორედ შედარების პროცედურა უდევს საფუძვლად.

უნდა აღინიშნოს, რომ შედარება გამოიყენება არამარტო განზოგადების პროცესში, არამედ ანალოგიის, ინდუქციის, ტრადუქციისა და დედუქციის შედეგად მიღებულ დასკვნებში. საინტერესოა, რომ სწორი დასკვნის მიღება საგანთა ან მოვლენათა შედარებისას მოითხოვს რიგი აუცილებელი პირობის შესრულებას, რაც კლასიკურ ლოგიკაში ჩამოყალიბდა: 1) პირველ რიგში უნდა შედარდეს მხოლოდ ერთგვაროვანი ცნებები, რომლებიც ერთგვაროვან საგნებსა და მოვლენებს ასახავენ. უაზრობაა ისეთი მოვლენების შედარება, რომელთაც შეხების წერტილები

არ გააჩნიათ, მაგ. ლეკვი და პირამიდა, ან ფანქარი და ველოსიპედი და ა. შ.; 2) საგნების ან მოვლენების შედარება უნდა მოხდეს ისეთი ნიშნების საფუძველზე, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა გააჩნიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში შედარების შედეგად მიღებული დასკვნები, რბილად რომ ვთქვათ, ნაკლებად ინფორმაციული იქნება.

მაგრამ რამდენადაც დიდი არ უნდა იყოს შედარების როლი შემეცნების პროცესში, უნდა გვახსოვდეს, რომ მარტო შედარება არ გვაძლევს ამომწურავ ცოდნას საკვლევი ობიექტის შესახებ. ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ მარტო შედარება არ იძლევა ჩვენი შემეცნების მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას. ამიტომ შედეგები, რომელიც აღნიშნული მეთოდით მიიღება, უნდა განვიხილოთ როგორც აუცილებელი, მაგრამ მხოლოდ როგორც მოსამზადებელი სამუშაო ჭეშმარიტი შეცნობის პროცესში იმდენად, რამდენადაც შედარებისას საქმე ეხება მიღებული განსხვავების დაყვანას იგივეობრიობაზე. /Гегель. Энциклопедия философских наук, 1929, 201/. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოვლენის შეცნობა არ დაიყვანება სხვა მოვლენებთან მისი მსგავსება-განსხვავების ფაქტის დადგენამდე, არამედ გულისხმობს მის შინაგან არსში წვდომასაც. შედარება ლოგიკური შემეცნების სხვა მეთოდებთან - ანალიზთან, სინთეზთან, განზოგადებასთან და ა. შ. ურთიერთქმედებასაც მოითხოვს. როგორც ცნობილია, შედარება საგნის შეცნობის ერთ-ერთი ხერხია იმ შემთხვევებში, როდესაც ცნების განსაზღვრა შეუძლებელია ან საჭიროებას არ წარმოადგენს. ეს ხერხი ჰამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ჩვენთვის საინტერესო ცნება შეგვიძლია შევადაროთ მის მსგავს ცნებებს, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო ღრმად ჩავწვდეთ მოცემული ცნების შინაარსს.

შედარების ლოგიკური მეთოდის შესაფერისი ცოდნა მნიშვნელოვანია ყველა მეცნიერებისათვის, ასე, მაგალითად, შედარების ხერხების ცოდნა და მათი შესაბამისი დანერგვა სამეცნიერო მეთოდებში. შედარებითი



მეთოდის მაღალეფექტური გამოყენების საშუალებას იძლევა თუნდაც ენათმეცნიერება, რომლის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას ორი ან რამდენიმე ენის სტრუქტურათა მსგავსება-განსხვავების დადგენა წარმოადგენს. ეს მეთოდი, როგორც ბ. გოლოვინი აღნიშნავს, „ მოითხოვს მუდმივ და გააზრებულ შეპირისპირებას, რომლებმაც უნდა მოიცვან როგორც ცალკეული ელემენტი, ასევე მთელი ენობრივი მონაკვეთები, მაგალითად, ზმნა რუსულ და ზმნა ინგლისურ ენაში“ /თარგმანი ჩვენი დ. ფალავა/

Б. Н. Головин, В ведение в языкознание, 1973, 271\.

ჩვენ შევეცადეთ ყურადღება გაგვემახვილებინა შედარებასთან დაკავშირებულ გნოსეოლოგიურ ასპექტებზე და წარმოგვეჩინა მისი როლი სამყაროს შეცნობის პროცესში. შედარებას, როგორც ლოგიკურ ოპერაციას უნივერსალური ხასიათი აქვს და განეკუთვნება ზოგადკაცობრიულ ცნებით კატეგორიას. ნებისმიერ კულტურაში შედარებას ერთი და იგივე ფუნქცია გააჩნია. განსხვავებას ქმნის მხოლოდ ამ მოვლენის კონკრეტულ-ენობრივი მანიფესტაციები. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მოვლენის შეპირისპირებით ანალიზს სხვადასხვა ენობრივ მასალაზე. თუ დაუბრუნდებით შედარების ანალიზს ლოგიკის პოზიციებიდან, შევაძინებთ, რომ აღნიშნული დარგის სპეციალისტები მხოლოდ მენტალურ სფეროს ეხებიან და მათ ბაზაზე აკეთებენ შესაბამის დასკვნებს. ჩვენ არ ვაყენებთ ეჭვქვეშ აღნიშნული დასკვნების მართებულობას, მაგრამ მიგვაჩნია, რომ სამყაროს შეცნობა არამარტო ლოგიკური კატეგორიებით ხდება. ადამიანის ცნობიერების ფორმირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს მისი გრძნობითი სამყარო შეადგენს. საგანთა ან მოვლენათა ემოციური წვდომა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მათი ლოგიკური ინტერპრეტაცია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ემოციური და გონებრივი ინფორმაცია არ უდრის ერთმანეთს. ჩვენს სადისერტაციო ნაშრომთან მიმართებაში შედარების, როგორც ემოციური ინფორმაციის გამოხატვის, მნიშვნელობა არანაკლებ აქტუალურია, ვიდრე მისი ცნებით - ლოგიკური ასპექტი. ვინაიდან შედარების მხატვრული სპეციფიკა

ყველაზე ნათლად მონათესავე მოვლენების ე.წ. სამეტყველო ფიგურების ფონზე შეიძლება წარმოვიდგინოთ, საჭიროდ მიგვაჩნია, სპეციალური პარაგრაფი მიუძღვნათ ამ საკითხის განხილვას.

§2 შედარების მხატვრული სპეციფიკა მონათესავე მოვლენების შუქზე

წინა პარაგრაფში, როდესაც საუბარი გვქონდა იმ წესებზე, რომლებიც შედარების როგორც ლოგიკური მეთოდის გამოყენებას არეგულირებენ, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ შეიძლება შედარდეს მხოლოდ ერთგვაროვანი ცნებები და უაზრობაა ისეთი მოვლენების შედარება, რომელთაც შეხების წერტილები არ გააჩნიათ. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ადამიანი ყოველთვის არ ითვალისწინებს ლოგიკის რეკომენდაციებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევძლებდით ისეთი არალოგიკური შედარების გათავისებებას, როგორიცაა „სამშობლო“ და „დაბინდული ქლიავის ფერი“.

„გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის?“

–ეს ჩემი სამშობლოს მთებია.“

მოყვანილი მაგალითი გვიჩვენებს, რომ არსებობს ადამიანური მოღვაწეობის ისეთი სფეროები, სადაც შესაძლებელია შედარების საფუძველს არაშეთავსებადი ცნებების დაპირისპირება ქმნიდეს. სწორედ ასეთ სფეროს წარმოადგენს მხატვრული ლიტერატურა, რომელსაც სამყაროს და მასში არსებული მიმართებების თავისებური ხედვა გააჩნია. მხატვრობის „ლოგიკა“ კლასიკური ლოგიკისგან იმითაც განსხვავდება, რომ ის შესაძლებელს ხდის საერთო დანახოს სრულიად განსხვავებულ მოვლენებში. პოეტური ლექსიკონი, რომლის ავტორიც ა. კვიატკოვსკი გახლავთ, ტერმინ შედარებას (сравнение) განმარტავს, როგორც „ხატოვან გამონათქვამს, რომელთაც საერთო ნიშანი გააჩნიათ, რომლის ხარჯზეც პირველი კომპონენტის მხატვრული მნიშვნელობის გაძლიერება ხდება“ /А, Квятковский, Поэтический словарь, 1966, 280/ /თარგმანი ჩვენია დ.ფ./.

გამოვკვეთოთ შედარების სპეციფიკური ნიშან - თვისებები. ტროპის ერთ-ერთი ნაირსახეობაა ალევორია. ისევე, როგორც სხვა ნაირსახეობები, ალევორიაც ტროპის ძირითად ნიშანს - გადატანითი მნიშვნელობით გამოყენების შესაძლებლობას შეიცავს. ტერმინი *allegoria*, რომელიც ბერძნულ გადაკრულ თქმას უკავშირდება, გამოხატავს სიტყვასა თუ სიტყვათა რიგს, რომელშიც განყენებული აზრის, ცნების თუ მოვლენის შინაარსი კონკრეტული სახითაა გადმოცემული. როგორც რ. და ა. ჭილაიები აღნიშნავენ, ალევორიაში ნათქვამია ერთი, ნაგულისხმევია მეორე. მეტაფორისგან განსხვავებით ალევორიაში სიტყვა პირდაპირი მნიშვნელობითაც არის ნახმარი, მასში ძნელად მოსაძებნია ნამდვილი ობიექტი, ალევორიულია ანდაზა, გამოცანა, იგავ-არაკი, ზოგჯერ სხვა ჟანრობრივი ნაწარმოებებიც. ალევორიის მიზანია ავტორის აზრის შენიღბვა /ა.ჭილაია, რ. ჭილაია. ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები, 1984, 13/. როგორც ვხედავთ, ალევორია, როგორც მხატვრული გამოხატვის ხერხი, სხვადასხვა ჟანრობრივი სახითაა წარმოდგენილი, მაგრამ, განსხვავებით შედარებისაგან, ის მეტყველების ფაქტია და არ გააჩნია ენობრივი სტატუსი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შედარებას თავისი შესაბამისი ენობრივი სტრუქტურა გამოხატავს, მაშინ, როდესაც ალევორიას რაიმე სახის ფიქსირებული სტრუქტურული მაჩვენებელი არ გააჩნია, რაც მისი ენობრივი იდენტიფიკაციის შესაძლებლობას მოგვცემდა. ასევე განსხვავებულია შედარება ტროპის ისეთი ნაირსახეობისგან, როგორცაა პერიფრაზი (იხ. ბერძნ. *periphrasis* - ხელახალი თხრობა) და რომლის დანიშნულებაა საგნის ან მოვლენის სახელწოდების შეცვლა მათ თვისებურებათა აღწერით. მაგალითად:

„ოდეს წელთა ტვირთის ზიდვით
ქელსა მშვილდებრ მოვიხრებით.“

აღნიშნული ტერმინი გამოხატავს აგრეთვე იმ შემთხვევებს, როდესაც ხდება ცნობილი ნაწარმოების ანალოგიური ფორმის შექმნა, ჩვეულებრივ იუმორისტული ან სატირული მიზნით. ა. და რ. ჭილაიების აზრით,

პერიფრაზი პაროდისგან იმით განსხვავდება, რომ ცნობილი ავტორის სტილი და ნაწარმოების ფორმა გამოყენებულია სხვა ობიექტის გასაკილავად.

ისევე, როგორც ალეგორიას, პერიფრაზსაც არ გააჩნია ფიქსირებული ენობრივი მანიფესტაცია, რომელიც საშუალებას მოგვცემდა მის ენობრივ სტატუსზე გვესაუბრა. ამიტომ პარალელი შედარებასთან მხოლოდ გადატანით მნიშვნელობასთან დაკავშირებით შეიძლება გავავლოთ. ისევე, როგორც ალეგორიასა და პერიფრაზს, თავისი კონკრეტული ფიქსირებული ენობრივი სტრუქტურა არ გააჩნია ტროპების ისეთ ნაირსახეობას, როგორიცაა ირონია. ეს უკანასკნელი (ბერძნულ *eironeia* – მოჩვენებითობა, თვალთმაქცობა - დან მომდინარეობს) წარმოადგენს თავაზიანობით შენიღბულ დაცინვას. ირონიისათვის დამახასიათებელია დამცინავის თავშეკავებულობა, სიმშვიდე, სერიოზული ტონი. გარეგნულად გამოსატული პატივისცემა და ა. შ. ირონია, როგორც ტროპის ერთ-ერთი სახე, ტექსტში ჩნდება მხოლოდ ქვეტექსტთან მიმართებაში და ეს მიმართება უნდა იყოს დაპირისპირებითი; თანხმობის და შექების, აღტაცების ნიშნით დაფარულია წინააღმდეგობა და გალანძღვა. ისევე, როგორც ალეგორიას და პერიფრაზს, ირონიასაც გარეგნულად გამოსაცნობი ნიშნები, ფიქსირებული სტრუქტურები არ გააჩნია. სწორედ ამიტომაცაა, რომ ირონია რთული გასაშიფრია და, როგორც წესი, ადრესატი ირონიულ ტექსტს პირდაპირი მნიშვნელობით იღებს. ირონიის გასაგებად ადრესატმა უნდა იცოდეს ავტორის ინტენცია ან უნდა ხვდებოდეს მას. ირონიის გაშიფრვისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინტონაციას. ირონიის რეალიზაცია ხდება პარადოქსის, გროტესკის, ჰიპერბოლის საშუალებით. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ირონიას ისევე, როგორც ალეგორიასა და პარადოქსს, არ გააჩნია სპეციალური გრამატიკული მარკირები.

ტროპის ერთ-ერთ ნაირსახეობას სიმბოლო წარმოადგენს (ბერძნ. *symbolon* – ნიშანი, მაუწყებელი). აღნიშნული ტერმინი ა. კვიატკოვსკის მიერ განიმარტება, როგორც მრავალმნიშვნელოვანი საგნობრივი სახე, რომელიც აერთიანებს შემოქმედის მიერ ასახული სინამდვილის სხვადასხვა პლანს, მათი არსებითი

ერთობისა და ნათესაობის საფუძველზე. ამ არცთუ ისე მარტივად გასაგები ფორმულირების შემდეგ იგი ბრძანებს, რომ სიმბოლო ეფუძნება მოვლენათა პარალელიზმს და შესაბამისობათა სისტემას. მას გააჩნია მეტაფორული საწყისი და ა.შ. / А, Квятковский, Поэтический словарь, 1966, 262/. ვინაიდან აღნიშნული განმარტება, ჩვენი აზრით, საკმაოდ ბუნდოვანია, საჭიროდ მივიჩნით აღნიშნული ტერმინის სხვა გააზრება მოგვეყვანა: ლ. ტიმოფეევის მიხედვით სიმბოლო წარმოადგენს „საგნობრივ ან ვერბალურ ნიშანს, რომელიც პირობითად გამოხატავს რომელიმე მოვლენის არსებით მხარეს და რომელიც, თავის მხრივ განსაზღვრავს თვით სიმბოლოს ხასიათსა და ხარისხს. სიმბოლოს სახით შეიძლება წარმოადგენილი იყოს საგნები, ცხოველები, ცნობილი მოვლენები, საგანთა თვისებები, მოქმედებები და ა.შ. ასე მაგალითად, ლოტოსი ინდუსებისათვის წარმოადგენს ღვთაებისა და სამყაროს სიმბოლოს; პურ-მარილი - სტუმართმოყვარეობისა და მეგობრობის; დილა - ახალგაზრდობის; ცისფერი - იმედის სიმბოლოს და ა.შ. /Словарь литературоведческих терминов, 1974, 349/. სიმბოლოს საფუძველად უდევს გადატანითი მნიშვნელობა. ის, როგორც წესი შეიცავს ფარულ შედარებას, რომელიც მას აკავშირებს ადამიანური ყოფის ან ისტორიული ხასიათის მოვლენებთან და ა.შ. განსაკუთრებული მნიშვნელობა სიმბოლოს ხელოვნებასა და პოეზიაში ენიჭება. ეს, უპირველეს ყოვლისა განპირობებულია მხატვრული სახის ბუნების სპეციფიკით, ვინაიდან ამ უკანასკნელში თავისთავადაა ჩადებული პირობითობის გენი, რაც იმაში გამოიხატება, რომ ერთეულის საშუალებით ხდება ზოგადის გამოხატვა, სიმბოლოს მონათესავე ფორმას ალევორია წარმოადგენს. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ სიმბოლო განასახიერებს განყენებულ, ზოგად იდეას კონკრეტულად, ალევორიაში კი ერთი კონკრეტული საგნის თვისება გადატანილია მეორე კონკრეტულ საგანზე. სიმბოლოსა და შედარების სიახლოვე მდგომარეობს შესაბამის კორელატებთან პირობით მიმართებაში, თუმცა ერთ შემთხვევაში ეს დამოკიდებულება ლატენტური ხასიათით, ხოლო მეორეში - ვერბალურით ვლინდება. კიდევ ერთი ნაირსახეობა ტროპისა, რომელიც

შედარებასთან გარკვეულ ნათესაობას ამჟღავნებს, არის ლიტოტესი (იხ. ბერძნული *litotes* - უბრალოება, სიმცირე). ამ მოვლენის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ ხდება საგნის ან მოვლენის განსაზღვრა მისი საპირისპირო ცნების უარყოფით. მას განმარტავენ აგრეთვე, როგორც შებრუნებულ ჰიპერბოლას. ლიტოტესი, როგორც აღვნიშნეთ, ისეთი სტილისტური ხერხია, რომელიც საგანს ან მოვლენას შემცირებულად წარმოსახავს, რაც, ბუნებრივია, სიტყვასიტყვით არ გაიგება. მაგ: „სუტენენა ისე მოიკუნტა, ისე მოიკუნტა, რომ მუშტისოდენა გახდა“ /ი. ჭავჭავაძე/. უნდა აღინიშნოს, რომ ლიტოტესი, ისევე, როგორც ტროპის ზემოთ განხილული ნაირსახეობანი, წარმოადგენს მხატვრულ ხერხს, თავისებურ სტილისტურ საშუალებას, რომელიც არ არის გრამატიკულად მარკირებული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამეტყველო ნაკადიდან აღნიშნული მოვლენების გამოყოფა ხდება შინაარსობრივად და არა რომელიმე ენობრივი მარკიორის საშუალებით, სწორედ ეს ფაქტი გვეხმარება გავმიჯნოთ ტროპის ზემოთ განხილული ნაირსახეობები შედარებისაგან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლიტოტესს ხშირად შებრუნებულ ჰიპერბოლასაც უწოდებენ. ჰიპერბოლა (ბერძნული *hyperbole* - გადამეტება, გადაჭარბება) ისევე, როგორც ლიტოტესი ტროპის სხვა სახეებისაგან განსხვავდება არა იმით, რომ ნათქვამში იგულისხმება სხვა მნიშვნელობა, არამედ იმით, რომ ნათქვამში ასახული გაზვიადება ან შემცირება სიტყვასიტყვით არ გაიგება. ყურადღება გამახვილებულია ასახულის არსებით ნიშანზე. ადამიანის, მისი ქცევა-მოქმედების ან რომელიმე თვისების, აგრეთვე საგნისა ან მოვლენის გადაჭარბებულად წარმოდგენა მხატვრული გაზვიადებაა. მხატვრული გადმოცემის ჰიპერბოლური ხასიათი დამახასიათებელია საგმირო ეპოსისათვის ისევე, როგორც მის ანტიპოდს- ლიტოტესს-ენობრივი თვალსაზრისით ჰიპერბოლაც არ არის მარკირებული, თუმცა შინაარსობრივად ბევრი რამ აქვს საერთო შედარებასთან. ტროპის კიდევ ერთი ნაირსახეობა, რომელთანაც საერთო აქვს შედარებას, არის ეპითეტი (იხ. ბერძნული *epithetos* - ზედდართული, დამატებული). ლიტერატურათმცოდნეობაში აღნიშნული ცნება გაგებულა, როგორც მხატვრული განსაზღვრა, პოეტური

გამმართვება, დაზასიათება. საგნისა და მოვლენის თვისების ემოციური წარმოსახვა უპირატესად ზედსართავი სახელით ხორციელდება, რაც მის სპეციფიკას შეადგენს. ტროპის იმ ნაირსახეობისაგან განსხვავებით, რომელთაც ენობრივი ფორმა არ ჩამოუყალიბდათ. ეპითეტი ახლოს დგას განსზღვრებასთან, თუმცა მისგან იმით განსხვავდება, რომ სხვაგვარად ასახავს სინამდვილეს. თუ განსაზღვრება საგნის თუ მოვლენის ლოგიკურ და ობიექტურ კლასიფიკაციას ახდენს, ეპითეტი პირიქით, გამოარჩევს, ხაზს უსვამს საგნისა თუ მოვლენის ძირითად დამახასიათებელ ნიშანს და მეტაფორულად გამოსახავს მას; ამ გამოსახვაში ყოველთვის ჩაქსოვილია სუბიექტური კვალიფიკაცია თავისუფალი სიტყვათმერჩევის სახით, რომლის მხატვრული რაობა ავლენს შემოქმედის შესაძლებლობას. ეპითეტი და შედარება კიდევ ერთ მნიშვნელოვან ასპექტში იკვეთებიან. ისევე, როგორც მყარი შედარება, არსებობს ე.წ. „მუდმივი ეპითეტი“, რომლის მაგალითადაც ა. და რ. ჭილაიებს მოჰყავთ შემდეგი შემთხვევები: მსუნაგი მელა, გაუმაძღარი მგელი, ტრიალი მინდორი, წუნია პატარძალი, ავი დედინაცვალი, ტუნწი ვაჭარი და ა. შ. / ა. და რ. ჭილაიები. ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები, 1984, 84/. როგორც ვხედავთ, მუდმივი ეპითეტის ცნება შესაძლებელია მყარ შედარებას დაუკავშიროთ სტრუქტურული აღწარმოებადობის თვალსაზრისით, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ერთიცა და მეორეც მზა ფორმით გამოიყენება მეტყველებაში და მზა ფორმით ხდება მათი ტექსტობრივ სტრუქტურაში ინპლაცაცია. ბუნებრივია, არსებობს არამუდმივი ეპითეტებიც, რომელთაც უფრო მეტი ეფექტის მოხდენა შეუძლიათ და რომელთა მხატვრული ძალა მოულოდნელობაში მდგომარეობს. ასე მაგალითად, „ვაჟკაციური გაქროლება“, „მგლოვიარე ბალბა“, „მოდარაჯე მწუხრი“ და ა. შ. ამის პარალელურად არსებობს აგრეთვე არაენობრივი შედარებაც, თუმცა ამის შესახებ ქვევით გვექნება საუბარი.¹

ტროპის კიდევ ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს სინექლოქე (იხ. ბერძნული *synekdoche* - თანაფარდობა, შეფარდება). ამ სტილისტური ფიგურის არსი შემდგენიარადაა გაგებული - სინექლოქეში რაოდენობითი დამოკიდებულების

საფუძველზე ერთი ცნება შეცვლილია მეორითი. საერთო ნიშანია რაოდენობრივი საზღვრის გაფართოება. სინექლოქეს შინაარსს ქმნის:

ა) ნაწილის ხმარება მთელის ნაცვლად. მაგალითად:

თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ლლიღვი, დიღო, ქისტნი
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაკრა თითო ქიშტი

ბ) მთელის ხმარება ნაწილის ნაცვლად. მაგალითად:

ნეტავი იმას, ვისაც კი
მადლიერი ჰყავს ქვეყანა (ვაჟა ფშაველა)

გ) მრავლობითის ხმარება მხოლობითის ნაცვლად და პირიქით. მაგალითად:

რუსთაველები, შექსპირები, ბაირონები და სხვა.

დ) ზოგადი ცნების ხმარება კონკრეტულის ნაცვლად. ორატორულ მეტყველებაში სინექლოქე გამოყენებულია დაცნვის მიზნით (მხოლობითი სახელისა და გვარის მრავლობითში გამოყენებით) მაგალითად: ლუარსაბ თათქარიძეები, პაველიკ მოროზოვები და ა.შ.). სინექლოქეს მეტონიმის ერთ-ერთ ნაირსახეობადაც მიიჩნევენ. ისევე, როგორც ტროპების უმრავლესობა, სინექლოქეც ენობრივად მარკირებული არ არის შედარებისგან განსხვავებით, თუმცა ამ უკანასკნელთან საერთო აქვს თანაფარდობის ანუ ელემენტთა შეპირისპირების იდეა. რაც შეეხება მეტონიმას, რომლის ერთ-ერთ ნაირსახეობადაცაა მიჩნეული სინექლოქე, იგი უფრო ფართე ცნებაა. მეტონიმიაში (იხ. ბერძული metonymia - გადარქმევა, სახელის შეცვლა) იგულისხმება ტროპის ისეთი ნაირსახეობა, რომლის დროსაც ხდება ერთი სიტყვის ჩანაცვლება მასთან დაკავშირებული (ლოგიკურად) სიტყვით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ისეთი სტილისტური ფიგურაა, როდესაც მოვლენა ან საგანი აღინიშნება სხვა სიტყვებისა და ცნებების საშუალებით. უნდა აღინიშნოს, რომ | მეტონიმიაში შენარჩუნებულია ამ მოვლენებს შორის დამაკავშირებელი ნიშნები.

მაგ: „ერთ-ერთი სხეული-წითელკაბიანი - ლიტერატურაზე მელაპარაკება“.

(მ. მაჭავარიანი)

მეტონიმი „სხეული - წითელკაბიანი“ ქალის მეტონიმიურ აღნიშვნას წარმოადგენს და, მეტაფორისგან განსხვავებით, ინარჩუნებს გარკვეულ მოტივაციას, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეტონიმიის შინაარსობრივი კომპონენტები ერთმანეთთან სემანტიკურ კავშირს ინარჩუნებენ.

ტროპული მეტყველების ერთ-ერთ ნაირსახეობას გაპიროვნება ანუ პერსონიფიკაცია (ლათინური persona - სახე, პიროვნება და facere - კეთება) წარმოადგენს. მხატვრული გამოსახვის აღნიშნული ხერხისათვის დამახასიათებელია საგნებისა და მოვლენებისადმი ადამიანური თვისებების მიწერა, უსულო და სულიერი საგნების გაადამიანება. უსულო საგანი გაპიროვნებაში წარმოდგენილია, როგორც ადამიანი, რომელიც გრძნობს, მსჯელობს, მოქმედებს. ზოგიერთი მკვლევარი მას მეტაფორის ნაირსახეობად აღიქვამს და განსხვავებას მხოლოდ მოქმედების არეალში ხედავს. გაპიროვნების მოქმედების სფერო ხასიათდება იმით, რომ მასში გადატანილია მხოლოდ ადამიანური თვისებები, მაშინ, როდესაც მეტაფორაში ყველა თვისების გადატანა შეიძლება ერთი საგნიდან მეორეზე. გაპიროვნებას, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული ადგილი უკავია როგორც ხალხურ სიტყვიერებაში, სადაც ფანტასტიკურობის, ანიმიზმის, ალეგორიულობის გამოვლინებას ემსახურება, ასევე - ლიტერატურაშიც და მხატვრულობისა და სახეობრიობის გამაძლიერებელ საშუალებას წარმოადგენს.

სამეტყველო ფიგურებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მეტაფორას. ძალზე იშვიათია მოვლენა, რომელიც აზრთა ისეთ უსასრულო სხვადასხვაობას წარმოშობს, როგორსაც მეტაფორა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოვლენის შესწავლა ღრმა ანტიკურობას უკავშირდება, მეცნიერებამ დიდად ვერ წაიწია წინ მის გადაწყვეტაში. პრობლემის აქტუალობას და მნიშვნელობას ხაზს უსვამს ის გარემოებაც, რომ მის შესახებ მსჯელობაში მონაწილეობდნენ კაცობრიობის ისეთი გამოჩენილი მოაზროვნეები, როგორებიც არიან არისტოტელე, პლატონი, კანტი, ჰეგელი, ნიცშე, შოპენჰაუერი, კასირერი, ორტეგა ი გასეტი, რასელი, პასკალი და ა.შ. თუნდაც ეს მოკლე ჩამონათვალი საკმარისია მოვლენის აქტუალობის ხარისხის დასადგენად. როგორც ვხედავთ,

მეცნიერთა აღნიშნულ კოპორტას ფილოსოფიისა და შემეცნების პრობლემებისადმი ინტერესი აერთიანებთ, რაც მეტაფორასთან მიმართებაში შემდეგი სახით ვლინდება: ერთის მხრივ, ის ეწინააღმდეგება კლასიკურ ლოგიკას და, აქედან გამომდინარე, ჭეშმარიტებას, ხოლო მეორე მხრივ მისი საშუალებით ივსება ენობრივი ლაკუნები და ხდება ახალი ცნებების ჩამოყალიბება. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანთ რამდენიმე მოსაზრებას, რომელთაც, ფაქტიურად, ურთიერთგამომრიცხავი ხასიათი გააჩნია, ასე მაგალითად: თომას პობსი თვლის, რომ მეტყველების უპირველესი დანიშნულება აზრის გამოხატვაა და ამ თვალსაზრისით მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვებია მნიშვნელოვანი, ვინაიდან მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობის ვერიფიკაციაა შესაძლებელი. ამ თვალსაზრისით მეტაფორული და გადატანითი მნიშვნელობები ენის მთავარ დანიშნულებას ეწინააღმდეგება. ის წერდა: „ადამიანის გონების ნათელს შინაარსიანი სიტყვები წარმოადგენს, რომლებიც წინასწარ განთავისუფლებულია ყოველგვარი ორაზროვნებისგან ზუსტი დეფინიციების საშუალებით. განსჯა არის ნაბიჯი, ცოდნის ზრდა-გზა, ხოლო კაცობრიობის კეთილდღეობა-მიზანი. მეტაფორები და ორაზროვანი სიტყვები კი, პირიქით, მოციმციმე სინათლის (ცეცხლის) მსგავსია და ამიტომ მათი საშუალებით მსჯელობა ნიშნავს ურიცხვ უაზრობებს შორის ხეტიალს. შედეგად კი ვიღებთ იმას, რომ მათ მიყვართ უთანხმოებასთან, აღშფოთებასა და ზიზღთან“ /თ. პობსი, 1936, 62/

ასევე სკეპტიკურად არის განწყობილი და ენის არასრულყოფილების გამოხატულებად მიაჩნია სიტყვების გადატანითი მნიშვნელობით ხმარება ცნობილ ინგლისელ ფილოსოფოსს ჯონ ლოკსაც. მისი აზრით, ლექსების ასეთი გამოყენება გულისხმობს მცდარი აზრების შთაგონებას, ვნებების აღძვრას და ამით გონების შეცდომაში შეყვანას, რაც სინამდვილეში წმინდა წყლის ტყუილს წარმოადგენს. „უაზრობაა ჩივილი მოტყუების ხელოვნებაზე, თუკი ადამიანები პოულობენ სიამოვნებას იმაში, რომ მოტყუებულები იყვნენ.“ /ჯონ ლოკი, 1985, 567/ /თარგმანი ჩვენია დ.ფ./.

სრულიად განსხვავებულ პოზიციაზე დგას თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ფილოსოფოსი ზოსე ორტეგა ი გასეტი. ის განიხილავს მეტაფორას, როგორც თითქმის ერთადერთ საშუალებას დაიჭიროს და შინაარსობრივად განსაზღვროს აბსტრაქციის მაღალ ხარისხში აყვანილი ობიექტები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გამოდის, რომ მეტაფორა გზას უხსნის ლოგოკისტიკის ცნებით კატეგორიად ჩამოყალიბებას. როგორც ორტეგა ი გასეტი აღნიშნავს: „ჩვენს წარმოდგენებზე გონების შესახებ დამოკიდებულია ჩვენი კონცეფცია სამყაროს შესახებ, რომელიც, თავის მხრივ, განაპირობებს ჩვენს მორალს, ჩვენს პოლიტიკას, ჩვენს ხელოვნებას. გამოდის, რომ სამყაროს უზარმაზარი შენობა, რომელიც სიცოცხლითაა აღსავსე, ეფუძნება მეტაფორის პაწაწინა და ჰაეროვან სხეულს“.

/ზოსე ორტეგა ი გასეტი, 1990, 77/. /თარგმანი ჩვენია დ.ფ./.

განსხვავებით ნიცშესაგან, რომელმაც ეჭვქვეშ დააყენა მეტაფორის და, საერთოდ, ადამიანური შემეცნების შესაძლებლობა, გამოიკვეთა მეტაფორის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება. ასე მაგალითად, ერნსტ კასირერი ნიცშესგან განსხვავებით, რომელსაც აზროვნების ხერხები მეტაფორამდე დაჰყავდა (აქედან მომდინარეობს მისი სკეპტიკური დამოკიდებულება შემეცნების შესაძლებლობის მიმართ), განსხვავებს მენტალური მოღვაწეობის ორ სფეროს: მეტაფორულს (მითო-პოეტურს), და დისკურსიულ-ლოგიკურს. ამ უკანასკნელის გზა კონცეპტისაკენ შეიცავს რიგ თანმიმდევრულ გადასვლას კერძო შემთხვევიდან უფრო და უფრო ფართო კლასებზე. იღებს რა საწყის წერტილად საგნის ამა თუ იმ ემპირიულ თვისებას, აზრი გადავიღის ყოფიერების მთელ სფეროს (აქედან ტერმინი „დისკურსიული მეტყველება“), სანამ საძიებელი კონცეპტი არ მიადწევს განსაზღვრულობას. სწორედ ასე ყალიბდება, ე. კასირერის აზრით, საბუნებისმეტყველო მეცნიერების ცნებები. მათი მიზანია „შეგრძნებათა რაფსოდია“ გადააქციოს კანონთა კრებულად. დისკურსიული აზროვნებისგან განსხვავებით, სამყაროს „მეტაფორულ ათვისებას“ (რომელსაც ე. კასირერი მითოლოგიურსა და

* იხ. მისი გამონათქვამი: „понятие не изжившее из себя метафора, не поддается верификации /ფ. ნიცშე, 1912, 396/

ენობრივსაც უწოდებს) საწინააღმდეგო მიმართულება გააჩნია; მას დაჰყავს კონცეპტი ერთ წერტილში, ერთიან ფოკუსში. როგორც ვხედავთ, მეტაფორის გნოსეოლოგიური პოტენციალის შეფასებისას მეცნიერები განსხვავებულ აზრებს გამოთქვამენ, თუმცა ერთი რამ უდავოა-სკეპტიკურად განწყობილი სპეციალისტებიც კი აღიარებენ მეტაფორის უდიდეს როლს ადამიანის ცხოვრებაში, თვით ისეთ „ანტიმეტაფორისტსაც“ კი, როგორცაა ფრიდრიხ ნიცშე, თანაგრძნობით მოჰყავს არისტოტელეს შეხედულება იმის შესახებ, რომ ადამიანი უნდა იქნას კარგად დახელოვნებული მეტაფორაში.* „ამის (მეტაფორის შექმნის) უნარი შეუძლებელია გადაიღო სხვისგან; ეს ნიჭიერების ნიშანია იმიტომ, რომ კარგი მეტაფორის შექმნა ნიშნავს მსგავსების შექმნევას.“ /არისტოტელე, 1983, 14/ /თარგმანი დ. ფ./.

ის მომეტებული ყურადღება, რომელიც ჩვენ მეტაფორის ცნებას დავუთმეთ, განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული მოვლენა არამარტო უშუალო კავშირშია შედარებასთან, არამედ ზოგიერთ და საკმაოდ ხშირ შემთხვევაში მეცნიერები მათ გაიგივებასაც ცდილობენ. მეტაფორასთან დაკავშირებულ კონცეფციებში სამი ძირითადი მიმართულება შეიძლება გამოვყოთ : ინტერაქციონისტული, სუბსტიტუციური და შედარებითი. პირველი თვალსაზრისი, რომელიც ჩამოყალიბებულია მაქს ბლეკის მიერ, შვიდ ძირითად მოთხოვნას ეფუძნება: 1) მეტაფორულ მსჯელობას ორი სუბიექტი გააჩნია - მთავარი და დამხმარე; 2) უმეტეს შემთხვევაში უმჯობესია ეს სუბიექტები განვიხილოთ როგორც სისტემები და არა როგორც გლობალური ობიექტები; 3) მეტაფორის მექანიზმი მდგომარეობს იმაში, რომ მთავარ სუბიექტს ემატება ასოცირებულ იმპლიკაციათა სისტემა, რომელიც დამხმარე სუბიექტთანაა დაკავშირებული; 4) აღნიშნული იმპლიკაციები ჩვეულებრივ სხვა არაფერია,თუ არა ზოგადად მიღებული ასოციაციები, რომლებიც მოსაუბრეთა შეგნებაში დაკავშირებულია დამხმარე სუბიექტთან, ზოგიერთ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს აგრეთვე არასტანდარტული იმპლიკაციებიც, რომელსაც ad hoc ადგენს ავტორი; 5) იმპლიციტური სახით მეტაფორა შეიცავს ისეთ მსჯელობას

მთავარ სუბიექტზე, რომელიც, როგორც წესი, თან სდევს დამხმარე სუბიექტს. ამის მეშვეობით მეტაფორა გამოარჩევს, გამოყოფს და სისტემაში მოჰყავს მთავარი სუბიექტის ცალკეული სრულიად განსაზღვრული მახასიათებლები და იგნორირებას უკეთებს დანარჩენებს; 6) აღნიშნულ მოქმედებას თან ახლავს ისეთი ძვრები სიტყვათა შინაარსში, რომლებიც მიეკუთვნება იმავე ოჯახს ან სისტემას, როგორც მეტაფორული გამოთქმა, და ზოგიერთი ასეთი ძვრა, თუმცა არა ყველა, შესაძლებელია იყოს მეტაფორული გადატანა; 7) არ არსებობს არავითარი რეგლამენტაცია შინაარსობრივი ძვრების აუცილებლობასთან დაკავშირებით, არ არსებობს აგრეთვე ზოგადი წესი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა აგვეხსნა, თუ რატომ ხდება, რომ ზოგიერთი მეტაფორა მკვიდრდება და ზოგი არა /მაქს ბლეკი 1990, 168/ მიუხედავად იმისა, რომ ავტორი მიზნად ისახავს გადალახოს სუბსტიტუციური მიდგომის „ნაკლოვანებები“, უნდა აღვნიშნოთ, რომ ის მანც რჩება აღნიშნული თეორიის გავლენის ქვეშ.

მოკლედ ჩამოვაყალიბოთ სუბსტიტუციური თეორიის არსი. ამ მიმართულების ძირითად პოსტულატად ითვლება ის, რომ მეტაფორული გამოთქმა ყოველთვის ექვივალენტური პირდაპირი მნიშვნელობით გამოსახული გამონათქვამის ნაცვლად გამოიყენება. ამავდროულად, აღნიშნულ მიმართულებას მიაკუთვნებენ აგრეთვე თვალთაზრისს, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი წინადადება, რომელიც მეტაფორას შეიცავს, განიხილება როგორც სუბსტიტუტი წინადადებებისა პირდაპირი მნიშვნელობით. მოვიყვანოთ მეტაფორის განსაზღვრების მცდელობებს აღნიშნული სკოლების ფარგლებში. ასე მაგალითად, რ. უეიტლი მეტაფორად მიიჩნევს სიტყვას, რომელიც ჩაენაცვლება მეორე სიტყვას მსგავსება-ანალოგიის საფუძველზე, რომლითაც ისინი აღსანიშნს უკავშირდებათ/რ. უეტლი 1846,280/ თანამედროვე ოქსფორდის ლექსიკონში არსებული განსაზღვრებით: მეტაფორა არის სამეტყველო ფიგურა, რომელიც განისაზღვრება იმით, რომ სახელი ან დესკრიფციული გამონათქვამი გადადის ისეთ ობიექტზე, რომელიც განსხვავდება იმ ობიექტისაგან, რომელსაც მიესადაგება ეს გამონათქვამი, მაგრამ რაღაცაში ანალოგიურია მის მიმართ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სუბსტიტუციური

თეორიის მიხედვით მეტაფორის ფოკუსი მიმართულია იმ მნიშვნელობის გადმოსაცემად, რომლის გადმოცემაც პირდაპირი გზითაც შეუძლებოდა. ავტორი იყენებს M -ს L -ის ნაცვლად, ხოლო მკითხველის ამოცანას უკუშებრუნების ოპერაციის განხორციელება წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, მეტაფორის გაგებას კოდის გაშიფრვას ან ამოცანის ამოხსნას აღარებენ. სუბსტიტუციურ თეორიას ამაგრებს აგრეთვე ის, რომ მეტაფორის საშუალებით ხორციელდება ენობრივი ლაკუნების დაფარვაც, ახალი დასახელებების შემოტანა ან ახალი მნიშვნელობების ჩადება ძველ სიტყვებში (კატაქრეზა).

სუბსტიტუციური თეორიის ოპონენტები ეკამათებიან მის მომხრეებს მეტაფორის ლოგიკურ სრულყოფილებასთან დაკავშირებით და მიიჩნევენ მას თავისებურ ენობრივ სამკაულად, რომლის მიზანსაც გართობა და ესთეტიკური სიამოვნების გამოწვევა წარმოადგენს. რ. უეტლის აზრით, მეტაფორის გამოყენება „ნათელი და პირდაპირი გამოსახვის საშუალებიდან გადახრას წარმოადგენს“ / რ.უეტლი, 1946, 45 /. ბუნებრივია, რომ მსგავსი პოზიცია ნამდვილად არ უტოვებს მეტაფორას ადგილს ფილოსოფიურ ლიტერატურაში. სუბსტიტუციური თეორია, რომელიც მეტაფორულ გამონათქვამს განიხილავს როგორც მისი პირდაპირი მნიშვნელობის ტრანსფორმაციას, წარმოადგენს კერძო შემთხვევას სახითი მეტყველების ზოგადი თეორიისა, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი სამეტყველო ფიგურა, რომელიც სემანტიკურ ცვლილებას განიცდის, პირდაპირი მნიშვნელობის ტრანსფორმაციის შედეგია. ასე მაგალითად, ირონიის შემთხვევაში ავტორი ამბობს იმის საწინააღმდეგოს, რასაც გულისხმობს, ჰიპერბოლის შემთხვევაში აზვიადებს მის მნიშვნელობას და ა. შ. რაც შეეხება ტრანსფორმაციის ხასიათს, აღნიშნული თეორიის (რომელსაც შედარებითს უწოდებენ) მომხრეები მის საფუძვლად ანალოგიას ან მსგავსებას მიიჩნევენ. სპეციალისტები თვლიან, რომ, თუკი გამონათქვამი თავისი მნიშვნელობით ექვივალენტურია ან მსგავსია მეორისა, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობითაა გამოხატული, მკითხველს (რომელიც ჩასწვდა აღნიშნული ანალოგიის ან მსგავსების არსს შესაბამისი კონტექსტის საშუალებით) სრულიად არ სჭირდება

აქტორის საწინააღმდეგო მიმართულებით წასვლა და თავდაპირველი პირდაპირი მნიშვნელობის აღდგენა. მეტაფორას შედარებითი თეორიის მიმდევრები განიხილავენ, როგორც ელიფსურ ანუ შეკუმშულ შედარებას. ამ თეორიის მიხედვით მეტაფორული გამონათქვამი შესაძლებელია შეიცვალოს ექვივალენტური შედარებით. აღნიშნული თვალსაზრისი გარკვეულწილად შეიძლება მეტაფორის სუბსტიტუციური თეორიის ნაირსახეობად მივიჩნიოთ. საინტერესოა აზრს მეტაფორისა და შედარების მსგავსების შესახებ რ. უეიტლი გამოთქვამს: „შედარება მეტაფორისგან მხოლოდ ფორმით განსხვავებულად უნდა განვიხილოთ; შედარების შემთხვევაში მსგავსებას მტკიცებითი ხასიათი აქვს, ხოლო მეტაფორის შემთხვევაში მსგავსება იგულისხმება“ /რ. უეიტლი, 1846, 61/. მსგავს პოზიციაზე დგას ა. ბეინიცი, რომლის მიხედვითაც: „მეტაფორა წარმოადგენს შედარებას, რომელიც იპლიცირდება თვით სიტყვის ან გამონათქვამის გამოყენებით. როდესაც ჩვენ განვიხილავთ მეტაფორის თავისებურებებს – მის დადებით და უარყოფით მხარეებს, ჩვენ შეზღუდულები ვართ სიტყვის ან, საუკეთესო შემთხვევაში -- შესიტყვების ფარგლებით“ /ა. ბეინი, 1887, 159 /.

მსგავსება მეტაფორასა და შედარებას შორის, რომელიც საფუძველი გახდა ზოგიერთ შემთხვევაში მათი იდენტიფიკაციის მცდელობისა, სრულიადაც არ ნიშნავს მათ იგივეობრივობას, მათ შორის არის მთელი რიგი განმასხვავებელი ნიშნებისა, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოხატულების პლანს უკავშირდება. განსხვავებულია აგრეთვე შინაარსობრივი პლანის ნიუანსებიც, რაც განაპირობებს დიფერენცირებული მიდგომის აუცილებლობას. რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები გააჩნიათ შედარებასა და მეტაფორას და რაში ვლინდება მათი სპეციფიკა? მეტაფორის ტრადიციული თეორია მეტაფორის წარმოშობის სხვადასხვა ხერხს გამოყოფდა და მეტაფორაში გულისხმობდა თავისებურ ენობრივ საშუალებას, კონტექსტური ძვრებისა სიტყვების ჩანაცვლების შედეგს, რომელიც ამავდროულად ეფუძნება იდეების ურთიერთქმედებასა და კონტექსტის ცვლას. მეტაფორულია აზრი, რომელიც შედარების გზით ვითარდება და მის ბაზაზე ფორმირდება თვით მეტაფორა. აივორ რიჩარდსის აღნიშნული მოსაზრება

ძალზე ნათლად მიუთითებს განსახილველი ცნებების ურთიერთკავშირს. კიდევ უფრო მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს მეტაფორასთან ხატოვანი შედარება. კომპარატიული ელემენტების: „როგორც“, „თითქოს“, „მსგავსად“, „წააგავს“ და ა.შ. შეკვეცა ხშირ შემთხვევაში მეტაფორის შექმნის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად განიხილება. ნ. არუტიუნოვას აზრით, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მსგავსების წინადადების: ЭТА ДЕВОЧКА ПОХОЖА НА КУКЛУ → ЭТА ДЕВОЧКА КАК КУКЛА → ЭТА ДЕВОЧКА – НАСТОЯЩАЯ КУКЛА -- იგივეობრივობის წინადადებად გარდაქმნასთან. შესაბამისად, ფორმალური და სემანტიკური განსხვავება მეტაფორასა და ხატოვან შედარებას შორის აღნიშნულ ლოგიკურ მიმართებებს შორის არსებულ სხვაობას უკავშირდება. /ნ. არუტიუნოვა, 1990, 27/ (თარგმანი ჩვენია - დ.ფ.). სხვაობა ამ მოვლენათა შორის ვლინდება აგრეთვე იმაში, რომ შედარება მიუთითებს ერთი ობიექტს მეორესთან მსგავსებას, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა ეს უკანასკნელი მუდმივ თუ დროებით თვისებას, ჭეშმარიტს თუ წარმოსახვითს, რომელიმე ცალკეული ასპექტით განსაზღვრულს თუ გლობალურს, მაშინ, როდესაც მეტაფორა გამოხატავს მყარ მსგავსებას, რომელიც ხსნის საგნის არსს და მის კონსტანტურ თვისებას წარმოადგენს. ამიტომაც, რომ მეტაფორული გამონათქვამებისათვის არ არის ტიპური ადგილისა და დროის გარემოების გამოყენება. არ ამბობენ „შენ ახლა დათვი ხარ“ ან „წინა კვირას ის იყო კურდღელი ტყეში“. საწინააღმდეგოდ ამისა, დროით ან ლოკალური შეზღუდვა სრულიად ბუნებრივია შედარებითი კონსტრუქციებისათვის: „იმ წუთში ის გამძვინვარებულ ვეფხვს წააგავდა“.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ელიფსურ თეორიას უჭერს მხარს, რომლის მიხედვითაც მეტაფორა შეკუმშული შედარებაა. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ცნობილი ამერიკელი მეცნიერის დონალდ დევიდსონის მოსაზრებები, რომელიც ორ ძირითად სირთულეზე ამახვილებს ყურადღებას. პირველ შემთხვევას ის შემდეგ გარემოებას უკავშირებს: თუ მეტაფორა ელიფსურ შედარებას წარმოადგენს, მაშინ ის ექსპლიციტურად გვეუბნება იმას, რასაც გვეუბნება შედარება, ვინაიდან ელიფსი შეკვეცის ფორმაა

და არა პარაფრაზის ან მინიშნებისა. მაგრამ, როგორც ცნობილია, ხშირ შემთხვევაში მეტაფორული შეტყობინების შინაარსი სცილდება შესაბამისი შედარებით გამოხატული გამონათქვამის შინაარსობრივ ფარგლებს. შედარება პირდაპირ ამბობს სათქმელს, უბრალოდ აფიქსირებს მას. შედარება გვეუბნება, რომ არსებობს მსგავსება და გვიტოვებს შესაძლებლობას, თვითონ ვიპოვოთ საერთო ნიშანი ან ნიშნები, ხოლო მეტაფორა ექსპლიციტურად არ ამტკიცებს მსგავსებას, მაგრამ, თუ ჩვენთვის ნათელია, რომ საქმე გვაქვს მეტაფორასთან, მაშინ აუცილებელი ხდება ამ საერთო ნიშნების მოძიება. ამავდროულად, სრულიად არ არის აუცილებელი სწორედ ის ნიშნები მოვიძიოთ, რასაც შესაბამისი შედარება გულისხმობს. შედარება ხმამაღლა გვამცნობს მსგავსების შესახებ და ამიტომ გაცილებით რთულია, მეტაფორისგან განსხვავებით, რაიმე სხვა მნიშვნელობის არსებობა. შედარების შემთხვევაში ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ადგილი აქვს პირდაპირ გამონათქვამს იმის შესახებ, რომ ორი საგანი ერთმანეთს ჰგავს. შემდეგ ჩვენ განვიხილავთ მათ და ვადგენთ, თუ რომელი სახის მსგავსება შეესაბამება მოცემულ კონტექსტს. ენობრივი მნიშვნელობის კონცეპტი უნდა ხსნიდეს, თუ რა შეიძლება იქნას გამოხატული სიტყვების მეშვეობით, მაგრამ შედარების სავარაუდო ხატოვანი მნიშვნელობა ფაქტიურად ვერაფერს ვერ ხსნის; ის არ წარმოადგენს სიტყვის დახასიათებას, რომელიც მას თავდაპირველად და კონტექსტისგან დამოუკიდებლად გააჩნია და არ ეფუძნება არც ერთ ლინგვისტურ ტრადიციას, გარდა იმისა, რომელსაც საქმე აქვს ჩვეულებრივ მნიშვნელობასთან. აღნიშნული მიმართება უშუალო კავშირშია იმ მეორე სირთულესთან, რომელსაც დონალდ დევიდსონი ეხება -- ეს არის განსახილველი კონცეპტების დამოკიდებულება ჭეშმარიტების ცნებასთან. როგორც ცნობილია, ყველაზე თვალშისაცემი სხვაობა მეტაფორასა და შედარებას შორის მდგომარეობს იმაში, რომ შედარებები ჭეშმარიტია, ხოლო მეტაფორათა უმრავლესობა მცდარია. დედამიწა ნამდვილად წააგავს ბურთს ან ბადროს, ასირიელები მგლების მსგავსად შეძვრნენ ქვაბულში. მაგრამ, თუკი შევეცდებით აღნიშნული შედარებები მეტაფორებით შევცვალოთ, მაშინვე მივიღებთ

არაჭეშმარიტ გამონათქვამებს; დედამიწა ჰგავს ბადროს ან ბურთს, მაგრამ არ არის, მწერალი ტოლსტოი ჰგავდა ბავშვს, მაგრამ არ იყო ბავშვი, ხშირად მხოლოდ მაშინ, როდესაც წინადადება ჩვენს მიერ აღიქმება როგორც არაჭეშმარიტი, ჩვენ მას მეტაფორის სტატუსს ვანიჭებთ და სიღრმისეული იმპლიკაციების მოძიებას ვცდილობთ. სწორედ ამიტომ მიიჩნევს ღონაღდ დევიდსონი უდაოდ იმ ფაქტს, რომ მეტაფორული გამონათქვამების უმრავლესობა არაჭეშმარიტია, ხოლო, რაც შეეხება შედარებებს, ავტორის აზრით, ისინი ტრივიალურად ჭეშმარიტია. მეტაფორის აშკარა მცდარობა თავისებურ ნორმას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, დ. დევიდსონი მიიჩნევს, რომ ვერც თეორეტიკოსი, რომელიც ცდილობს მეტაფორის ახსნას მასში ჩადებული დაფარული მნიშვნელობის მოძიების გზით და ვერც კრიტიკოსი, რომელიც ცდილობს ექსპლიციტურად გამოხატოს ეს შინაარსი, ვერ აცნობიერებენ არჩეული გზის მცდარობას, ვინაიდან შეუძლებელია აღნიშნული მეთოდებით პრობლემის გადაჭრა. მეორე მხრივ, ავტორს დასაშვებად მიაჩნია მეტაფორის ახსნისა და ინტერპრეტაციის მცდელობები. ხშირია შემთხვევები, როდესაც ჩვენ შეიძლება ვერ შევაძინოთ მეტაფორაში ის, რაც შემუშავებული არ დარჩება უფრო განათლებულ და დაკვირვებულ მკითხველს. უნდა ითქვას, რომ კრიტიკოსი თავისებურ კონკურენციას უწევს მეტაფორის ავტორს. იგი ცდილობს, თავისი ვერსია უფრო გამჭვირვალე გახადოს, და ამავდროულად, გამოიწვიოს სხვა ადამიანებში იმის მსგავსი შეგრძნება, როგორიც მოახდინა მასზე ორიგინალმა. ამ ამოცანის განხორციელებისას კრიტიკოსი ერთდროულად მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას მეტაფორის სილამაზეს, სიზუსტეს და მასში დაფარულ თავისებურ ძალას. /ღონაღდ დევიდსონი, 1990, 190 - 192/. ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ მოგვეყვანა მეტაფორისა და შედარების ურთიერთდამოკიდებულებასთან დაკავშირებული ყველაზე ავტორიტეტული მოსაზრებები, რამაც შესაძლებლობა მოგვცა საკვლევი ობიექტის სპეციფიკა დაგვეზუსტებინა. სამეტყველო ფიგურებთან შეპირისპირებამ გვიჩვენა, რომ შედარებას აღნიშნულ მოვლენებთან აერთიანებს გადატანითი მნიშვნელობის ინტეგრალური სემა, თუმცა, უნდა

აღნიშნოს, რომ სხვადასხვა სახის ტროპში „გადატანითობის“ ხარისხი სხვადასხვაგვარია. მინიმალურია ეს თვისება სხვებთან შედარებით საკვლევ ობიექტში, ვინაიდან ტრანსფორმაციის პროცესი ფაქტიურად ზედაპირზეა და არ საჭიროებს არავითარ ტენიის ჭყლეტას. შედარება წარმოადგენს ორი ობიექტის თავისებურ ინტერაქციას, რომლის პროცესშიც ადგილი აქვს ერთ-ერთი კომპონენტის დახასიათებას მეორის ამა თუ იმ ნიშნის საფუძველზე. სხვა სამეტყველო ფიგურებისგან განსხვავებით, შედარებას შესაბამისი გრამატიკული მარკიორები შეიძლება გააჩნდეს. ამ თვალსაზრისით აღნიშნული მოვლენა სცდება მხატვრული ხერხის, სამეტყველო ფიგურის მნიშვნელობის ფარგლებს და პრეტენზიას აცხადებს ენობრივი სისტემის კომპონენტობაზე. სპეციფიკურია რეფერირების შედარებისეული მექანიზმი. განსხვავებით ისეთი სამეტყველო ფიგურებისგან, როგორცაა მეტაფორა, ირონია, ალევორია, პარაფრაზი და სხვა, შედარება ჭეშმარიტების შკალაზე შეიძლება შეფასდეს დადებითი ნიშნით. ის კონსტატაციას ახდენს, რომ ესა თუ ის მოვლენა ჰგავს მეორეს, რაც ძალზე ადვილად შეიძლება დადასტურდეს. ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ შედარებას განსაკუთრებული ბუნება გააჩნია, რაც კვლევის შესაბამის მეთოდუკას მოითხოვს. ვიდრე შედარების ენობრივი სტატუსის განხილვაზე გადავიდოდეთ, მოკლედ შევაჯამებთ ზემოთ თქმულს:

1. სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი გვარწმუნებს, რომ შედარება ორ ძირითად ასპექტში განიხილება -- როგორც გარკვეული შემეცნებითი ოპერაცია და როგორც თავისებური სამეტყველო ფიგურა. პირველ შემთხვევაში აქცენტირებულია მოვლენის გნოსეოლოგიური პოტენციალი და ყურადღება გამახვილებულია აღნიშნული პროცედურის გამოყენების რეგლამენტაციაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში წინა პლანზე წამოწეულია შედარების ესთეტიკური პოტენციალი.

2. აღნიშნულ შეხედულებათა სინთეზირება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს გარკვეული სახის შემეცნებით

ოპერაციასთან, რაც ერთ შემთხვევაში წმინდა ლოგიკური, ხოლო მეორე შემთხვევაში ლოგიკურ -- ესთეტიკური გზით ხორციელდება.

3. შედარების, როგორც სამეტყველო ფიგურის, სპეციფიკა მის ენობრივ პოტენციალში და თავისებურ რეფერენტიაში ვლინდება, რაც განასხვავებს მას სხვა სამეტყველო ფიგურებისგან.

ექსკურსმა მომიჯნავე სფეროში დაგვარწმუნა, რომ შედარების, როგორც მეცნიერული ფენომენის, განსაზღვრა წარმოუდგენელია მისი ენობრივი სტატუსის განსაზღვრის გარეშე. შევეცადოთ შევიმუშავოთ შედარების ლინგვისტური ანალიზის მექანიზმი.

§ 3 შედარება, როგორც ლინგვისტური კვლევის ობიექტი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შედარებას თავისი სპეციალური ენობრივი მარკიორები გააჩნია, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ვისაუბროთ მისი ლინგვისტური კვალიფიკაციის აუცილებლობაზე. ქართული საენათმეცნიერო ლიტერატურა მიგვითითებს შედარების გამოხატვის სხვადასხვა საშუალებებზე, რომელთაგანაც წამყვანი როლი ეკისრება შესაბამის გრამატიკულ კავშირებს: როგორც, მსგავსად, თითქოს, ვითარცა, ისევე როგორც და მსგავსების თანდებულებს „ვით“, „ებრ“. საუბარია აგრეთვე ვითარებითი ბრუნვის განსაკუთრებულ როლზეც (პ. იაშვილი)-(შორს მოსჩანს ქისტის სოფელი არწივის ბუდესავითა), თუმცა მიგვაჩნია, რომ შედარების მნიშვნელობას თანდებული „ვით“ გამოხატავს და არა ვითარებითი ბრუნვა. გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ მიმართების გამომხატველ ზმნიზებებს „მეტად“, „ნაკლებად“, „უფრო“ და ა.შ. შედარების წარმოება შეუძლიათ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ მნიშვნელობას მხოლოდ კავშირ „ვიდრე“-სთან კომბინაციაში (რომელსაც შედარებითი მნიშვნელობის სემა გააჩნია) იძენენ.

უფრო მარტივადაა საქმე ფრანგულ ენაში, სადაც თავისებური უნიფიკაცია მოხდა და შედარების გამოხატვის უზურპაცია თითქმის ერთპიროვნულად

ფორმანტმა „comme“-მა მიისაკუთრა, რომელსაც პერიოდულად შეიძლება მისი ნაირსახეობა „comme si“ და „en“-ი ჩაენაცვლოს აღნიშნული ფუნქციით („Agir en vrais revolutionnaires“ ან „Il continue à lire comme s' il n' entendait pas qu' on l' appelle“). შედარების ფორმანტად ფრანგულში შეიძლება კონსტრუქცია „ainsi que“, „de même que“, „resemblant“, „pareil“ და „semblable“ მოგვევლინოს, თუმცა ყველა აღნიშნული საშუალების სვედრითი წონა „comme“-თან შედარებით შეიძლება ორიოდე პროცენტით განისაზღვროს. შედარების გამოხატვის თავისებურ ნაირსახეობად ზოგიერთი ზედსართავის ხარისხის ფორმებსაც მიიჩნევს, მაგრამ ასეთი პოზიცია გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს. ისეთი ფორმები, როგორცაა, მაგალითად, „მოთეთრო“ და „უთეთრესი,“ თავის თვისებას შიდაკატეგორიულ ოპოზიციაში ამჟღავნებენ და არ ქმნიან შედარებას, როგორც სამეტყველო ფიგურას. შესაბამისი სურათი გვაქვს ფრანგულშიც, სადაც „degrés de comparaison“ არ წარმოადგენენ შედარების, როგორც სამეტყველო ფიგურის მარკიორებს. შიდაკატეგორიული ოპოზიცია გამოხატავს ამა თუ იმ თვისების გრადაციას და საერთო არაფერი აქვს სამეტყველო ფიგურებთან. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ზემოთ აღნიშნული ფორმანტების მეშვეობით სხვადასხვა შედარების შექმნა, ახალი წარმონაქმნების ღირებულება, ბუნებრივია, განსხვავებული იქნება, რაც იმაშიც გამოიხატება, რომ ზოგი შედარება დიდი პოპულარობით სარგებლობს, ზოგი შესაძლებელია სრულიად მიუღებლად იქნას მიჩნეული, ხოლო ზოგი მხოლოდ კონტექსტუალურად იყოს გამართლებული. ლინგვისტიკის ისეთმა დარგმა, როგორსაც ფრაზეოლოგია ჰქვია, ყურადღება მიაქცია მოვლენათა ისეთ ჯგუფს, რომელსაც რეგულარული ხასიათი ჰქონდა და რომელიც შესაბამისი სამეტყველო ფიგურის-- შედარების სახით იყო წარმოდგენილი. თუ გადავხედავთ ფრაზეოლოგიურ ლექსიკოგრაფიას, ადვილად შევამჩნევთ, რომ აღნიშნული ტიპის ლექსიკონებში გარკვეული ადგილი აქვს მიჩნეული კლიშირებულ შედარებებს. აღნიშნული შედარებების მყარი ფორმა, მათი აღწარმოებადობა ანუ განმეორებადობა საკმაოდ სერიოზულ არგუმენტს წარმოადგენს მყარი

შედარებების ფრაზეოლოგიურ სისტემაში მოსათავსებლად. საზეზა ყველა პარამეტრი, რომლითაც ფრაზეოლოგიზმი განისაზღვრება -- შემადგენელი კომპონენტების სემანტიკური შერწყმა, ტროპული ბუნება, ფორმის სტაბილურობა და მზა ფორმით ფუნქციონირება, რაც საფუძველს წარმოადგენს, დაისვას საკითხი მყარი შედარების ენობრივი სტატუსის შესახებ. ბუნებრივია, ეს არ ეხება ისეთ შედარებებს, რომელთაც მხოლოდ ერთჯერადი და კონტექსტუალურად გამართლებული გამოყენება აქვთ. ასეთ შემთხვევაში ჩვენ არ შეგვიძლია მათ ენობრივი სტატუსი მივანიჭოთ, ვინაიდან ერთჯერადობა პირდაპირ ეწინააღმდეგება იმ პრინციპს, რომლის საფუძველზედაც ხდება ფრაზეოლოგიზმების გამოყოფა: განმეორებადობა - აღწარმოებადობას. აქედან გამომდინარე, ენობრივ ანუ მყარ შედარებად ჩვენ მივიჩნევთ ისეთ შედარებას, რომელსაც აქვს ფრაზეოლოგიზმისთვის დამახასიათებელი მყარი სტრუქტურული ორგანიზაცია, შემადგენელი კომპონენტების რეგულარული ხასიათი და რომელიც აღწარმოებადობით ხასიათდება. ამის საპირისპიროდ, არსებობს შედარების განსხვავებული ტიპი, რომელიც შემადგენელი კომპონენტების ვარიეტულობით ხასიათდება და რომელიც შედარებისთვის დამახასიათებელი სპეციალური ფორმანტების სახით მარკირდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ასეთი შედარების შექმნისას ვიყენებთ არა ენაში არსებულ მზა ფორმას, არამედ ხდება გარკვეული სახის შემოქმედებითი აქტი, რომლის დროსაც მოვლენათა გარკვეული სახით დაკავშირება (შედარება) ხორციელდება და რომლის დროსაც ავტორის ფანტაზია თავისუფალია და არ არის დეტერმინირებული მზა ფორმით.

ყოველივე ზემოთ თქმული საშუალებას გვაძლევს ორი ძირითადი მიმართულება გამოვყოთ შედარების ლინგვისტური ანალიზის პროცესში. პირველი მიმართულება შეისწავლის აღნიშნულ მოვლენას ფრაზეოლოგიური სისტემის ფარგლებში და ორიენტირებულია შედარების მყარ ფორმაზე. მეორე შესაძლებელ მიმართულებად შეიძლება შედარების ენობრივი მარკიორების და მათი ტექსტობრივი აქტუალიზაციის პრობლემის შესწავლა ვივარაუდოთ. ბუნებრივია, ორივე მიდგომას აქვს თავისი პერსპექტივა და თავისი ვერისტიკული

პოტენციალი, მაგრამ წინამდებარე ნაშრომისათვის უფრო აქტუალურს პირველი მიმართულება წარმოადგენს. ენობრივი ანუ მყარი შედარება არის არამართო ენის ფრაზეოლოგიური ფონდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, არამედ, როგორც ქვევით დავრწმუნდებით, წარმოადგენს თავისებურ კულტუროლოგიურ ნიშანს, რომლის საშუალებითაც ინტრაკულტურული ხედვის სპეციფიკა შეიძლება დადგინდეს. რაც შეეხება მეორე მიდგომას, მის პერსპექტივას ტიპოლოგიურ კვლევასთან მიმართებაში ვხედავთ, რაც საშუალებას მოგვცემს შედარების ფენომენის უნივერსალური ბუნება გამოვაკლიოთ. ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ განგვესაზღვრა ის სფერო, რომელიც შედარების ფენომენის ლინგვისტური ანალიზისთვის ყველაზე შესაფერისი იქნებოდა და ასეთად ფრაზეოლოგია მივიჩნიეთ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ აღნიშნული სფეროთი არ განისაზღვრება შედარების ლინგვისტური კვლევის არეალი, ვინაიდან შედარების მრავალი ნაირსახეობა არ წარმოადგენს მყარ შესიტყვებას და, შესაბამისად, მათი ანალიზის სფერო სცდება ფრაზეოლოგიის ფარგლებს. ასეთი შედარებები, მიუხედავად მათი შემადგენელი ლექსიკური კომპონენტების ვარიატულობისა, შესაბამის მარკიორებს უყრდნობიან და მათთან კომბინაციაში ქმნიან შედარებით მნიშვნელობებს. უნდა აღინიშნოს, რომ სიღრმისეული ენობრივი მოდელი, რომლითაც იწარმოება მყარი ენობრივი და ვარიატულკომპონენტის შედარებები, ფაქტიურად ერთი და იგივეა. განსხვავებას ქმნის მხოლოდ სტრუქტურის ლექსიკური არანჟირება, რაც ერთ შემთხვევაში მყარი შესიტყვებითაა წარმოდგენილი, ხოლო მეორეში ცვლადი ლექსიკური კომპონენტებით. განსხვავებულია აღნიშნული ტიპის შედარებების კულტუროლოგიური პოტენციალიც, რამაც გარკვეულწილად განსაზღვრა ჩვენი ინტერესი სწორედ მყარი ენობრივი შედარებების მიმართ. ჩვენ თავიდანვე აპრიორულად მივიჩნევდით დებულებას იმის შესახებ, რომ თავისი მნიშვნელობით მყარი ენობრივი შედარება ენობრივი იერარქიის ფარგლებით არ განისაზღვრებოდა. ამის დასამტკიცებლად შევეცადეთ აღნიშნული მოვლენა უფრო ფართო კონტექსტში განვიხილოთ, ვინაიდან აღწარმოებადი ელემენტების გამოყენება ენობრივთან ერთად

კულტურული კომპეტენციის არსებობას გულისხმობს. სანამ აღნიშნული დებულების დასაბუთებას შევეუდგებოდეთ, რასაც მეორე თავი ეძღვნება, მოკლედ ჩამოვყალიბოთ პირველი თავის დასკვნები:

- 1) შედარება წარმოადგენს სამეტყველო ფიგურას, დაფუძნებულს ლოგიკურ ოპერაციაზე, რომლის დროსაც ხდება საგნებისა და მოვლენების შეფარდება-შეპირისპირება მსგავს ნიშან-თვისებათა ერთიდან მეორეზე გადატანის საფუძველზე და რომელიც მანიფესტირდება შესაბამისი ენობრივი მარკიორების სახით.
- 2) შედარების, როგორც შემეცნებითი ოპერაციის, განხილვა, ხოლო, მეორე მხრივ, მისი სამეტყველო ფიგურებთან დაპირისპირება ნათლად წარმოაჩენს აღნიშნული ფენომენის დიდ „კულტუროგენულ“ პოტენციალს, რაც ვლინდება ნებისმიერი ენის ცნებითი აპარატის ჩამოყალიბებაში შეტანილ წვლილში და აგრეთვე სამყაროს ემოციური წვდომის სრულყოფაში.
- 3) შედარების ლინგვისტური ბუნების განსაზღვრისას ყურადღება უნდა მიექცეს ფრაზეოლოგიზაციის ხარისხს, რომლის მიხედვითაც უნდა გაიმიჯნოს მყარი ენობრივი შედარებანი და ინდივიდუალურ-ვარიატული შედარებანი. თუ პირველის ანალიზის სფეროდ ფრაზეოლოგია უნდა ვივარაუდოთ, მეორე ლექსიკურ სემანტიკასა და გამონათქვამის თეორიას უნდა მივაკუთვნოთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი ინტერესების სფერო მყარ ენობრივ შედარებებს უკავშირდება, რაც განპირობებულია აღნიშნული მოვლენის ადგილთან ამა თუ იმ კულტურაში. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვგულისხმობთ იმას, რომ ფრაზეოლოგიის სფერო ის სფეროა, სადაც ყველაზე მეტად ვლინდება ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკა. თუნდაც ის ფაქტი, რომ თარგმანის თეორია ყველაზე რთულ სფეროდ სწორედ ფრაზეოლოგიას მიიჩნევს, მრავლის-მეტყველია. ამ სირთულის სათავეები სწორედ ამ სფეროს სპეციფიკაში მდგომარეობს, რაც სპეციალურ ანალიზს მოითხოვს. გადავიდეთ შედარების კულტუროლოგიურ კონტექსტში განხილვაზე.

*მყარი ენობრივი შედარების, როგორც ინტრაკულტურული ნიშნის
თავისებურება და მისი ინტერპრეტაცია კულტურათშორისი კომუნიკაციის
პოზიციებიდან*

ჯერ კიდევ 1905 წელს ფრანგი ავტორების მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომში, რომელიც ჩვენთვის საინტერესო ფენომენს ეხება „Phraséologie française, répertoire systématique de proverbes, dictons et locutions idiomatique“, კვითხულობთ: „La comparaison imagée est une figure de style par laquelle on compare une chose (un personne, un fait) à une autre afin de souligner, de mettre en relief un de ses indices“/Robert C.-M. 1905, 41/. მოყვანილი ციტატა მიგვანიშნებს, რომ უკვე წინა საუკუნის დასაწყისში აქტუალური იყო ხატოვანი ანუ ენობრივი შედარების ესთეტიკური როლის განსაზღვრა. ავტორი აღნიშნულ სტილისტურ ფიგურაში სამ კომპონენტს გამოყოფდა:

a) le comparé-ს ანუ კომპონენტს, რომელიც შედარების თემას ან საგანს წარმოადგენდა: un homme brave comme un lion.

b) le comparant-ს რომელიც შედარების საყრდენს წარმოადგენდა და არსებითი სახელით ან სუბსტანტივირებული სიტყვით გამოიხატებოდა. შეად. un homme brave comme un lion, და cet homme court comme un dératé;

c) le terme intermédiaire-ს დამაკავშირებელ წევრს, რომელიც ზედსართავი სახელით ან ზმნით გამოიხატებოდა და მიუთითებდა იმ საერთოზე, რაც არსებობდა შედარების სხვა ორ წევრს შორის და რომლებიც ერთმანეთს უმეტეს შემთხვევაში კავშირ „comme“-ის საშუალებით უკავშირდებოდა. შეად. un homme brave comme un lion; cet homme court comme un dératé. აღნიშნულ ნაშრომში ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ავტორის მოსაზრებები ინდივიდუალურ-საავტორო და კომპარატიულ ფრაზეოლოგიზმებს შორის

არსებული სხვაობების შესახებ. ის წერს: „Il faut distinguer la comparaison individuelle de la locution comparative, encore que toutes les deux aient une structure identique. Les comparaisons individuelles sont créées dans la parole par les locuteurs et les écrivains tandis que les locutions comparatives sont consacrées par l'usage commun, elles sont reproduites spontanément et représentent des unités de langue fixées par les dictionnaires /Robert C.-M. 1905, 42/ “.

როგორც ვხედავთ, ავტორმა ძალზე კარგად შენიშნა ის ფაქტი, რომ, როგორც კომპარატიული ფრაზეოლოგიზმი (ჩვენი ტერმინოლოგიით - მყარი ენობრივი შედარება), ასევე ინდივიდუალურ-საავტორო შედარება ხატოვანი გამონათქვამის ბაზაზე იქმნება, ხოლო, რაც შეეხება მათ გრამატიკულ სტრუქტურას, ისინი ერთი და იგივე მოდელით რეალიზდება. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აგრეთვე ავტორის ზემოთ მოყვანილი აზრი იმის შესახებ, რომ ინდივიდუალურ-საავტორო შედარებები მეტყველების პროცესში იქმნება მოსაუბრეთა ან მწერალთა მიერ, მაშინ როდესაც კომპარატიული ფრაზეოლოგიზმები (ენობრივი მყარი შედარებები) მზა სახით გვაქვს მოცემული, ფიქსირდება ლექსიკონებში, ხასიათდება გამოყენების დიდი სიხშირით და ა.შ. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ მათ ენობრივ სტატუსზე. როგორც ვხედავთ, ენობრივ ანუ მყარ ენობრივ შედარებას ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში მიეცა ყურადღება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ის თავიდანვე განიხილება, როგორც ფრაზეოლოგიზმის ერთ-ერთი ნაირსახეობა. თუ გადავხედავთ ფრანგულ ლექსიკოგრაფიულ წყაროებს, ამკარა გახდება, რომ მყარი ენობრივი შედარებები სხვადასხვა სახის ლექსიკონებში შეიძლება ვნახოთ. ასე, მაგალითად, როგორც ზოგადი ხასიათის წყაროებში: Larousse P. Grand Dictionnaire Universel du XIX siècle. Paris 1866-1876; Lexis. Dictionnaire de la langue française. Paris, 1992, ასევე სპეციალურში - Orcote A. Gallicismes et locutions famillères françaises, Milan, 1888; Rat M. Dictionnaires des locutions françaises. Paris, 1957; უშუალოდ ჩვენთვის საინტერესო მასალას

ეხება ა.რეისა და ს. შანტროს ლექსიკონი: Rey A., Chantreau S. Dictionnaire des expressions et locutions figurées. Paris, 1984; აღნიშნულ ნაშრომში თავმოყრილია და სისტემატიზირებული მყარი ენობრივი შედარებები. პირველად ჩვენთვის საინტერესო მასალა განიხილება არა როგორც ფრაზეოლოგიური ფონდის ერთ-ერთი ქვესისტემა, არამედ როგორც დამოუკიდებელი ფენომენი. შესაძლოა, აღნიშნულმა მაგალითმა გარკვეული ბიძგი მისცა კვლევას ამ მიმართულებით, ვინაიდან შეიქმნა მსგავსი სახის რამდენიმე ლექსიკონიც. Dubois G. Dictionnaire des locutions figurées, Paris, 1994 და Sués S. Les locutions comparatives de la langue française, Grenoble, 2001. განსხვავებით ფრანგული ლექსიკოგრაფიული ტრადიციისაგან, მყარი ენობრივი შედარებები ცალკე კვლევის ობიექტი არ ყოფილა, თუმცა მათი ფიქსაცია მომხდარა როგორც ქართული ენის განმარტებით, ასევე ფრაზეოლოგიურ ლექსიკონებში. აღნიშნული ერთეულები ფართოდაა წარმოდგენილი თედო სახოკიასა და ალ. ლლონტის ზემოთ დასახელებულ ნაშრომებშიც.

ვინაიდან ქართული საენათმეცნიერო წყაროები სპეციალურად არ განიხილავენ მყარი ენობრივი შედარების პრობლემას, ბუნებრივია, არ არსებობს მოვლენის ინტერპრეტაციის ცდები. ამ თვალსაზრისით გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს ფრანგმა მეცნიერებმა, უკვე ზემოთ აღნიშნულ ლექსიკოგრაფიულ წყაროებში ადგილი აქვს კლასიფიკაციის პრინციპების ჩამოყალიბების მცდელობას. თუ რობერის 1905 წლის ლექსიკონში მასალის დალაგების ალფაბეტიური პრინციპია გამოყენებული, რაც საშუალებას იძლევა მრავალ კითხვას ავარიდოთ თვალი, ა. რეისა და ს. შანტროს ლექსიკონში ადგილი აქვს კლასიფიკაციის სხვადასხვა პრინციპის გამოყენებას. ასე, მაგალითად, შესაძლებელია სამი შემადგენელი ელემენტიდან ერთ-ერთის მიხედვით დაზასიათება:

ა) შედარების თემის ან საგნის მიხედვით „Un homme brave comme un lion“;

ბ) შედარების საყრდენი ელემენტის მიხედვით, რომელიც მხატვრულ სახეს შეიცავს: „Un homme brave comme un lion“

გ) გამაერთიანებელი ელემენტის მიხედვით, რომელიც ზედსართავით ან ზმნითაა წარმოდგენილი და მიუთითებს იმ საერთოს, რაც შედარების ორ წევრს აერთიანებს და რომელთაც აერთიანებს ძირითადად კავშირი „comme“.

„Un homme brave comme un lion; cet homme court comme un dératé.“

ავტორებს მოცემული აქვთ აგრეთვე მყარი შედარებების სინონიმური ვარიანტებიც: „aller comme sur des roulettes – marcher comme sur des roulettes“ ან „hurler comme un chien – hurler comme un loup“, ან „dormir comme une marmotte – dormir comme un pierre“, „malin comme un singe – rusé comme un renard“ /Rey A. Chantreau S. 1984/.

ენობრივი შედარება, რომელსაც ლიტერატურაში კომპარატიულ ფრაზეოლოგიზმსაც უწოდებენ, რუს მკვლევარ ა. ნაზარიანთან წარმოდგენილია შედარების პირველი კომპონენტის მიხედვით. ავტორი, მართალია, მიიჩნევს, რომ მისი არსებობა აუცილებელია, მაგრამ იქვე აზუსტებს, რომ არანაკლები მნიშვნელობა გააჩნია ორ დარჩენილ კომპონენტსაც. მისი აზრით, როდესაც გამოხატულების ფორმა წევრისა, რომელიც შედარების საგანს წარმოადგენს, შედარებით არასტაბილურია, დანარჩენი კომპონენტების ფორმა მდგრადია. ამიტომაცაა, რომ ენობრივ დონეზე კომპარატიული ფრაზეოლოგიზმი ითვლება ბინარულ ენობრივ ერთეულად. /ა. ნაზარიანი, 1965, 16/. იქვე ავტორი აღნიშნავს, რომ არსებობს მცირერიცხოვანი, მაგრამ საკმაოდ გავრცელებული სახეობა მყარი შედარებისა, რომელიც მხოლოდ ერთი საყრდენი კომპონენტისგან შედგება, რომელსაც წინ კავშირი „comme“ ან რომელიმე წინდებული უძღვის „comme un fou“; „comme tout“; „comme enchantement“. ასეთ შემთხვევებს ის შეაკვიცილ მყარ შედარებებს უწოდებს, რომლებიც სამწვეროვან სტრუქტურას მეტყველებაში ივსებენ. /ა. ნაზარიანი, 1965, 17/.

როგორც ვხედავთ, მყარი ენობრივი შედარების „სტატუსი“ არ სცილდება ფრაზეოლოგიზმების ტრადიციული გაგების ჩარჩოებს, რაც მოვლენის

ინტერპრეტაციას ცალმხრივს ხდის, თუმცა არსებობს ფრაზეოლოგიის ერთი საინტერესო გააზრება, რომელიც მყარი ენობრივი შედარების პრობლემას სხვა ასპექტში დაგვანახებს.

როგორც ცნობილია, ეკონომიის ენობრივი მექანიზმი სხვადასხვა კუთხითაა შესწავლილი. ანდრე მარტინე ენობრივი ეკონომიკის თეორიულ პრინციპებს განიხილავს, ციჟო-ფონეტიკურს, ზოლო ქართველი ენათმეცნიერი გ. წიბახაშვილი მორფოლოგიურ და სინტაქსურ დონეებს იკვლევს. როგორც ვხედავთ, ტრადიციული ენათმეცნიერების ყველა დონეა გამოკვლეული.

სამოციანი წლების „რევოლუციურმა“ მოვლენებმა გააფართოვა ენათმეცნიერების საზღვრების ტრადიციული გაგება და მაკროლინგვისტიკის (რომლის მინიმალურ ერთეულსაც გამონათქვამი ანუ, ტრადიციული ტერმინოლოგიით, წინადადება წარმოადგენს) შექმნის აუცილებლობაში დაგვარწმუნა. მაკროლინგვისტიკის ერთ-ერთმა უმნიშვნელოვანესმა მიმართულებამ - ტექსტის ლინგვისტიკამ ენობრივი ფაქტების ახლებური გააზრების შესაძლებლობა მოგვცა, რასაც ტრადიციული გადაფასებაც მოჰყვა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა პროფ. დ. გოცირიძის პოზიცია. მისი კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ფრაზეული ტექსტები. ანუ იმის დადგენა, თუ სად გადის ზღვარი მიკროლინგვისტური დონის უმაღლეს ერთეულსა და მაკროლინგვისტური დონის მინიმალურ ერთეულს შორის და რამდენად შესაძლებელია წინადადება (ასალი ტერმინოლოგიით, გამონათქვამი) განხილულ იქნას, როგორც ტექსტის ნაირსახეობა.

ავტორი არამარტო ასაბუთებს ასეთ შესაძლებლობას, არამედ ადასტურებს მას ინგლისური, ფრანგული, რუსული და არაბული მასალით.

წინამდებარე ნაშრომისათვის მნიშვნელოვანია ის, რომ პროფ. დ. გოცირიძის ნაშრომი შეიცავს კლიშირებული ანუ აღწარმოებადი ტექსტების ანალიზს, რომლის შედეგადაც დგინდება, რომ საქმე გვაქვს სპეციფიკურ მოვლენასთან, ანუ ტექსტობრივ აბრევიატურასთან. აღნიშნულ ცნებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ფრაზეოლოგიზმების გააზრებაშიც, რომლებიც თავისებურ კულტუროგენულ

ნიშანს ანუ შეკუმშულ ტექსტს წარმოადგენენ. მისი სემანტიკა და ენობრივი „გაშლა“ შესაბამის კანონზომიერებებს ემორჩილება და უნივერსალურია შესაბამისი კულტურის წარმომადგენელთათვის, ჩვენს ამოცანას არ წარმოადგენს აღნიშნული კონცეფციის სრული ანალიზი (იხ. დ. გოცირიძე, 1985), მაგრამ სავსებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია თეორიული პრინციპების მყარ ენობრივ შედარებასთან მისადაგება. ამრიგად, ჩვენ განვიხილავთ ამ უკანასკნელს, როგორც თავისებურ კულტუროლოგიურ მარკიორს - შეცვლილ ტექსტს, რომელიც პრეცედენტულობის კუთხით უნდა დახასიათდეს. განვიხილოთ მყარი ენობრივი შედარების კულტუროგენული სტატუსი.

ნებისმიერი კულტურა წარმოადგენს თავისებურ ტექსტობრივ კონტინუუმს (ი. ლოტმანი, 1997). სწორედ ტექსტთა ერთობლიობა ამთლიანებს ამა თუ იმ ქვეყანას. ეს ტექსტები თავისებური კოდებია, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან ორიენტაცია მოვახდინოთ სამყაროში. კულტუროლოგიურ ტექსტებს, ი. ლოტმანის მიხედვით, შეიძლება განსხვავებული სემიოტიკური ფაქტურა ჰქონდეს. ის შეიძლება ვერბალური ფორმით, მუსიკალურ ბგერათა ერთობლიობით ან არქიტექტურული ანსამბლით იყოს წარმოდგენილი. შესაძლებელია აგრეთვე კრეოლიზებული ტექსტების არსებობაც, რომლებიც სხვადასხვა სემიოტიკური ფაქტურის შეხამებას (გამოსახულებისა და ტიტრის, მუსიკისა და მოძრაობის და ა. შ.) წარმოადგენენ.

ბუნებრივია, ტექსტები ერთნაირი რაოდენობითა და მოცულობით არ შედიან ყველა ინდივიდის მენსიურებაში, მაგრამ არსებობენ ისეთებიც, რომლებიც ყველასთვის ან თითქმის ყველასთვის ცნობილია. ამას გარკვეულწილად სასკოლო პროგრამაც არეგულირებს.

თუ დავუბრუნდებით ეკონომიის პრინციპს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანის არამარტო მენსიურება, არამედ დროის ბიუჯეტიც საკმაოდ შეზღუდულია. აქედან გამომდინარე, შესაძლებელი გახდა, როგორც სამართლიანად აღნიშნავს დ. გოცირიძე, ტიპური სიტუაციები, ტიპური მიმართებები, ტიპური მოვლენები შესაბამისი აბრევიატურებით ჩაგვენაცვლებინა. კომუნიკაციაში ჩვენ არ ვუყვებით

ნაწარმოების მთელ შინაარსს ერთმანეთს, საკმარისია მივეუთოთო სათაურზე, რომელიც ტექსტის რეპრეზენტანტს წარმოადგენს. ასევეა ფრაზეოლოგიზმების შემთხვევაშიც, როდესაც ეს უკანასკნელი კონკრეტულ სიტუაციასთან მიმართებაში გვაძლევენ მზა სხარტ და მოქნილ კვალიფიკაციას. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ორიოდე სიტყვა ითქვას პრეცედენტურ ფენომენზე.

პრეცედენტულობის ფენომენი ეფუძნება კომუნიკანტთა ინფორმირებულობის სახლოვეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ გააჩნიათ ინფორმაცია საუბრის ობიექტის შესახებ. თუ უფრო მაღალ დონეზე განვაზოგადებთ, შესაძლებელია, რომ ერი სწორედ პრეცედენტულობის ფაქტორით იყოს გამთლიანებული - ინფორმაცია საერთო ღირებულებებზე, ეთიკურ - ესთეტიკურ და ა.შ. ნორმებზე და ა. შ. თუ ვიგულისხმებთ იმას, რომ პრეცედენტულობა პირველ რიგში ენაში ვლინდება, სადაო არ უნდა გახდეს პრეცედენტული ტექსტების კვლევის აქტუალობა.

გარდა საერთო ინფორმაციისა, პრეცედენტულობის პრობლემა დაკავშირებულია რეპრეზენტაციის პრობლემასთან. კომუნიკანტებმა არამართო იციან ესა თუ ის ტექსტი, არამედ მის შესახებ ინფორმაციის გაცულისას იყენებენ თავისებურ კოდს, რომლითაც ისინი მიანიშნებენ წინარე ინფორმაციას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პრეცედენტული ტექსტი პირველადი ტექსტის თავისებურ რეპრეზენტანტს წარმოადგენს. უფრო რომ ნათელვყოთ სათქმელი, მოვიყვანთ მაგალითს: ციხეში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში ერთსა და იმავე კამერაში ერთი და იგივე პატიმრები იმყოფებიან და ერთსა და იმავე ანეგდოტებს ყვებიან, შესაძლებელი გახდა ამ უკანასკნელების გადანომრვა. პატიმრებს აღარ სჭირდებათ ანეგდოტის თავიდან მოყოლა, საკმარისია მხოლოდ მისი ნომრის დასახელება.

აღნიშნული მაგალითი კარგად ახასიათებს პრეცედენტული ტექსტის ბუნებას, რაც ვლინდება ფონობრიობაში და საერთო კოდის არსებობაში, რომელიც მინიშნების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. ფონური ან ფონობრივი ინფორმაცია ისეთი ინფორმაციაა, რომელიც საერთოა

კომუნიკანტთათვის. სწორედ ის წარმოადგენს პრეცედენტული ტექსტის არსებობის საფუძველს. მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორს ჩანაცვლების ანუ რეპრეზენტაციის პრინციპი წარმოადგენს, რომელიც შესაძლებლობას იძლევა საერთო კოდი გამოვიყენოთ. პრეცედენტულობის პრინციპი შეიძლება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს აერთიანებდეს ფონობრივი ინფორმაციის საფუძველზე. შესაძლებელია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს საერთო პრეცედენტული კელი გააჩნდეთ. მაგალითად, ერთი პროფესიის ადამიანებს. მიუხედავად ასეთი შემთხვევებისა, პრეცედენტულობა ინტრაკულტურულ ფენომენს უფრო წარმოადგენს, რაც ენაშიც აისახება. განსაკუთრებულ სფეროს, სადაც პრეცედენტულობა მჭიდროდაა გადაჯაჭვული ნაციონალურ - კულტურულ სპეციფიკასთან, სწორედ ფრაზეოლოგია წარმოადგენს. ფრაზეოლოგიზმები და მათი ისეთი ნაირსახეობა, როგორიცაა მყარი ენობრივი შედარება, სავსებით შესაძლებელია დახასიათდეს პრეცედენტულობის თეორიის ფარგლებში. განსხვავებით ინდივიდუალურ - ავტორისეული შედარებებისაგან, რომელთაც განმეორებადი ანუ აღწარმოებადი ხასიათი არ გააჩნიათ და, შესაბამისად, პრეცედენტულობის მოთხოვნას არ აკმაყოფილებენ, მყარი ენობრივი შედარებები ამ უკანასკნელს სრულად შეესაბამება. დავიწყოთ იმით, რომ მათ ენობრივი სტატუსი გააჩნიათ, რაც თავისთავად გულისხმობს აღწარმოებადობა - განმეორებადობას. ისინი შეიცავენ ფონობრივ ინფორმაციას, რომელიც საერთოა არა მარტო მცირე ენობრივი კოლექტივისათვის, არამედ მთელი ქვეყნისათვის, რაც მოვლენას კულტუროლოგიური ნიშნის სტატუსს ანიჭებს.

მყარი ენობრივი შედარება შესაბამის ფიქსირებულ სიტუაციასთანაა დაკავშირებული და მასზე მინიშნებას ანუ მის თავისებურ რეპრეზენტაციას წარმოადგენს, ხოლო კოდის მნიშვნელობა უნივერსალურია. ყოველივე ეს სრულიად ეთანხმება ენის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას, რომლის მიხედვითაც ის კულტურის არსებობის ფორმაა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და ამთლიანებს საზოგადოებას. მას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მყარ ენობრივ

შედარებებს იყენებენ სრულიად განსხვავებული ინტელექტუალური, სოციალური, ასაკობრივი და სხვა ნიშნების მატარებელი პიროვნებები. რაც გასაგებია ერთი კულტურის შიგნით, შესაძლებელია გაუგებარი იყოს მეორეში. ასე, მაგალითად: ფრანგული მყარი ენობრივი შედარება „Avoir la conscience large comme la manche d' un cordelier“, ქართულად სიტყვასიტყვით ითარგმნება როგორც „კორდელიერის სახელოსავით ფართე სინდისის ქონა“, ქართველი ადამიანისთვის, რომლისთვისაც უცხოა შესადარებელი რეალია „კორდელიერის სახელი“, შეიძლება ბოლომდე ვერ ჩასწვდეს გამონათქვამის არსს, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ფრანცისკანელთა ორდენის აღნიშნული წარმომადგენლის სახელო სინდისთან კომბინაციაში მან ინტუიციურად სწორად გაიაზროს. ამას ადასტურებს მცირე ექსპერიმენტიც, რომლის მონაწილეებმაც ძირითადად სწორად გამოიცნეს გამონათქვამის აზრი. ასევე, რეალიის უქონლობის გამო ქართველი ადამიანისათვის არაინფორმატიულია ფრანგული გამონათქვამის შედარების საფუძველი - „ორღანის მილი“ კონსტრუქციაში: „ronfler comme un tuyau d' orgue“ (სიტყვასიტყვით „ხვრინავს, როგორც ორღანის მილი“). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული რეალია საკმაოდ არატიპურია საქართველოსთვის, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს ქართველი რესპოდენტისთვის, მათ შორის, მუსიკისგან საკმაოდ შორს მყოფთათვისაც, კონსტრუქციის შინაარსის გაგება. ამრიგად, უნდა ითქვას, რომ, რეალიის უქონლობის მიუხედავად, მყარი შედარების გაგება არ წარმოადგენს პრობლემას. ხშირ შემთხვევაში მისი გაშიფრვა ანალოგიურია მეტაფორის ინტერპრეტაციის პროცესთან, როდესაც ზღვა სემანტიკური კომპონენტის თავისებური „აღდგენა“.

თანამედროვე მსოფლიოს განვითარებას, რომელიც გლობალიზაციის ეპოქაში შედის, ერთ-ერთ მთავარ იმპულსს კულტურათშორისი კომუნიკაციის აქტივიზაცია წარმოადგენს. ცალკეულმა ქვეყნებმა უნდა განავითარონ თანამშრომლობა არამარტო ეკონომიკურ სფეროში, არამედ - კულტურულშიც, რაც თავისთავად გულისხმობს ურთიერთგაცნობის ეტაპს. კულტურათა ურთიერთინტერპრეტაცია იმ ღირებულებათა ინტერპრეტაციასაც გულისხმობს, რომლებიც ტექსტობრივი

სტატუსით არსებობს. ასეთ შემთხვევაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კულტურათშორისი მედიატორის - მთარგმნელის მოღვაწეობას, რომელმაც არამარტო ვერბალური, არამედ ლატენტური ინფორმაციაც უნდა შეინარჩუნოს თარგმანში. წინამდებარე ნაშრომის პრობლემატიკასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მყარი ენობრივი შედარებების გადმოცემისას მან უნდა გაითვალისწინოს ის ფონობრივი ინფორმაცია, რომელსაც გამონათქვამი ეყრდნობა და რომელიც უცხოა მიმღები კულტურისათვის; უნდა გაითვალისწინოს მხატვრული სახის სპეციფიკა, რომელიც ასევე შეიძლება არ ემთხვეოდეს, და რეპრეზენტაციული კოდის სუბიექტური და ობიექტური მიმართება „პირველად“ ტექსტთან. ყოველივე აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინება მოგვცემს საშუალებას არამარტო ლექსიკურ - სემანტიკური ექვივალენტი მოვუძებნოთ მყარ ენობრივ შედარებას, არამედ - ტექსტობრივი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ექვივალენტობა მყარდება არა ლექსიკურ - სემანტიკურ დონეზე, არამედ - ტექსტობრივზე, ვინაიდან მყარი ენობრივი შედარება წარმოადგენს თავისებურ პრეცედენტულ ტექსტს, რომლის მნიშვნელობაც აღემატება ვერბალური კომპონენტებით გამოხატულ შინაარსს.

ვიდრე მყარი ენობრივი შედარების თარგმნის პრობლემებს განვიხილავდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია განვაზოგადოთ ის საკითხები, რომელთაც აღნიშნულ თავში შევეხეთ. ეს ეხება მყარი ენობრივი შედარების ინტრაკულტურული ნიშნის თავისებურების დადგენას და მის ინტერპრეტაციას კულტურათშორისი კომუნიკაციის პოზიციებიდან. ამასთანავე, საჭიროდ მივიჩნიეთ ახლებურად განგვესაზღვრა ფრაზეოლოგიის ადგილი მაკროლინგვისტიკის პოზიციებიდან, რამაც შესაძლებლობა მოგვცა მყარი ენობრივი შედარება განსხვავებული თვალსაზრისით შეგვეფასებინა.

მოკლედ შევაჯამოთ წინამდებარე თავის შედეგები:

1. მყარი ენობრივი შედარების თეორიული გააზრების პროცესში საწყის ეტაპად უნდა მივიჩნიოთ მისი ფრაზეოლოგიურ ლექსიკონებში შეტანა, ხოლო

შემდეგ ცალკე ლექსიკოგრაფიულ წყაროებად (ა. რეი და ს. შანტრო, აგრეთვე ა. ნაზარიანი, ს. რეი და სხვა.) გამოცემა, რამაც ბუნებრივად გამოიწვია კლასიფიკაციის პრინციპების შემუშავება.

2. მყარი ენობრივი შედარების ლექსიკოგრაფიული სისტემატიზაციის პრინციპები ემყარება ალფავიტურსა და თემატურ მიდგომებს, ხოლო ეს უკანასკნელი შეიძლება დაჯგუფებულ იქნას სამი შემადგენელი ელემენტიდან ერთ-ერთის მიხედვით: 1) le comparé ანუ შედარების საგნის; 2) le comparant ანუ შედარების საყრდენი წევრის, რომელიც ხატოვან სახეს შეიცავს; 3) le terme intermédiaire-ის დამაკავშირებელი წევრის, რომელიც ზედსართავი სახელით ან ზმნით გამოიხატება და რომელიც მიუთითებს იმ საერთო ნიშანს, რაც არსებობს შედარების ორ დანარჩენ წევრს შორის.

3. ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მომხდარმა ცნებითი აპარატის გაფართოებამ და ახლებურმა გააზრებამ გამოიწვია ღირებულებათა გადაფასება, რომელიც მრავალ კატეგორიასა და მოვლენას შეეხო. ისეთი მეცნიერული დარგების წარმოშობამ, როგორცაა ტექსტის ლინგვისტიკა და კომუნიკაციის თეორია, ფრაზოლოგიის ახლებური გააზრების შესაძლებლობა მოგვცა. ამან თავის მხრივ განაპირობა მყარი ენობრივი შედარების ახლებური გააზრების შესაძლებლობა.

4. კომპარატიული ანუ მყარი ენობრივი შედარების თეორიული გააზრების საფუძვლად ჩვენ ავიღეთ ტექსტობრივი აბრევიატურის ცნება, რომელიც დ. გოცირიძემ შემოგვთავაზა მინიმიზირებული ანუ ფრაზული ტექსტების ანალიზისას. ეკონომიის პრინციპი, რომელიც ენის ნებისმიერ დონეზე ვლინდება (მათ შორის ტექსტობრივზეც), განაპირობებს შესაბამის რეპრეზენტაციულ ურთიერთობას | პირველადსა და მეორედ ტექსტებს შორის. ისევე, როგორც ნებისმიერი ტიპის აბრევიატურის ფუნქციონირებას, ტექსტობრივი აბრევიატურის ფუნქციონირებასაც ფონობრიობა განაპირობებს. კომუნიკანტების ურთიერთობაში არსებული საერთო შინაარსობრივი კოდი შესაძლებლობას იძლევა შესაბამისი მინიშნება გამოვიყენოთ. იქმნება თავისებური პრეცედენტული ტექსტი, რომელიც

პირველადის რეპრეზენტანტს წარმოადგენს. ისევე, როგორც აბრევიატურებს, რომელთა ფუნქციონირება მხოლოდ კომუნიკანტთა საერთო კოდის არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი, ტექსტობრივ აბრევიატურებსაც აღნიშნული პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში შეიძლება პრეტენზია გაუნდეთ განსაკუთრებულ სტატუსზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ აბრევიატურების (მათ შორის ტექსტობრივისაც) გამოყენების სიხშირე მაღალია და ფიქსირებულ მნიშვნელობას გამოხატავს, ეკონომიის პრინციპი საშუალებას გვაძლევს, ჩავანაცვლოთ გამონათქვამი მისი აბრევიატურით, რომელსაც შესაძლებელია პერსპექტივაში უპირატესობაც კი მიენიჭოს პირველად ტექსტთან შედარებით. ასე, მაგალითად, აბრევიატურებმა „ნატო“, „გაერო“ და ა. შ. ფაქტიურად გამოდევნეს ის კონსტრუქციები, რომელთა რეპრეზენტანტებსაც ისინი წარმოადგენენ.

5. ტექსტობრივი აბრევიატურის სპეციფიკურ ნაირსახეობას წარმოადგენს მყარი ენობრივი შედარება, რომელსაც გააჩნია თავისი პოტენციური სიტუაციური გარემო, რომელთანაც შეხება გვაძლევს თავისებურ მიკროტექსტს და რომელსაც პრეცედენტული მნიშვნელობა გააჩნია.

6. ტექსტობრივ აბრევიატურას (ჩვენს შემთხვევაში მყარ ენობრივ შედარებას) ჩვენ განვიხილავთ, როგორც მინიმალურ ტექსტს, რომელსაც კულტუროლოგიური ნიშნის მნიშვნელობა გააჩნია. ისევე, როგორც კულტურაში ფუნქციონირებადი ტექსტები (მხატვრული და არამხატვრული, ვერბალური და არავერბალური, მონო - თუ პოლიფაქტურული, ფრაზული თუ მრავალტომიანი და ა.შ.), მყარი ენობრივი შედარებებიც სამეტყველო კოლექტივში მიღებულ შინაარსობრივ კოდს ემყარებიან, რაც განაპირობებს მათი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ამავე დროს, ისინი ინტრაკულტურული¹ სამყაროს ხედვის დემონსტრირებასაც ახდენენ და შესაძლებლობას გვაძლევენ ეროვნულ - კულტურული სპეციფიკაც დაინახოთ. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინება აუცილებელ პირობას წარმოადგენს მყარი ენობრივი შედარებების ამა თუ იმ ენაზე თარგმნისას,

ვინაიდან თარგმანის წარმატების ერთ - ერთი მთავარი პირობაა სათარგმნი მასალის ტიპისა და რაობის დადგენა.

თეორიული მიდგომის შემუშავების შემდეგ შევეცადოთ გადავიღოთ ემპირიულ მასალაზე, რაც საშუალებას მოგვცემს პრაქტიკულად დავადასტუროთ ან უარვყოთ ჩვენი თეორიული დებულებები.

|

ფრანგული და ქართული მყარი ენობრივი შედარებების
ლექსიკურ - სემანტიკური სტრუქტურა

მყარი ენობრივი შედარების უნივერსალური ბუნება კლინდება იმაში, რომ მისი ლოგიკურ - სემანტიკური მოდელი საერთოა ნებისმიერი ენისათვის. განსხვავებას ქმნიან მხოლოდ აღნიშნული მოდელის კონკრეტულ - ენობრივი მანიფესტაციები. გარდა ენების გრამატიკულ სტრუქტურასთან დაკავშირებული სხვაობისა, არ ემთხვევა ამა თუ იმ ენის მყარი ენობრივი შედარების კულტუროგენეზი. ასე, მაგალითად, ფრანგული მყარი ენობრივი შედარება „gris comme un cordelier“ (ნასვამი, როგორც კორდელიერი), რომელიც აგებულია სიტყვათა თამაშზე, სადაც „gris“-ს ორგვარი მნიშვნელობა გააჩნია - „ნასვამი“ და „რუხი“ (ვინაიდან კორდელიერები - ფრანცისკანელთა ორდენის წარმომადგენლები - რუხი ფერის სამოსელს ატარებდნენ), ბუნებრივია გაუგებარი იქნება პირდაპირ ქართულ თარგმანში „ნასვამი, როგორც კორდელიერი“. ქართულ ენას სიმთვრალის გამოხატვის საკუთარი პარადიგმა გააჩნია, რომელიც შეიძლება არ ემთხვეოდეს ფრანგულს, მაგ. „გათხლემილი მთვრალი“, „გაგლეჯილი მთვრალი“, „გალეშილი“ და ა. შ. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თარგმანი მყარი ენობრივი შედარებების ნაციონალურ - კულტურული სპეციფიკის გათვალისწინებას მოითხოვს. მყარი ენათშორისი ექვივალენტობის დადგენისას აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული პრეცედენტულობის ფაქტორი. კონკრეტული მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მყარი ენობრივი შედარებების კონსტრუქციული ელემენტების ლექსიკური მანიფესტაციები საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან. კონსტრუქციის პირველ პოზიციაში, რომელიც შედარების საგანს წარმოადგენს, მეტ-ნაკლები პოპულარობით სარგებლობს ესა თუ ის ლექსემა. ფრანგული მყარი ენობრივი შედარებების სტატისტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ პირველ პოზიციაში, რომელიც თემას გამოხატავს, პრაქტიკულად ნებისმიერი

სახელი შეიძლება იმყოფებოდეს. ეს პოზიცია მყარ ენობრივ შედარებაში, ფაქტიურად, თავისუფლად ვარირებად ნაწილს წარმოადგენს და კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაზე დამოკიდებული. თავისუფლად ვარირებად ნაწილს მყარი ენობრივი შედარების სტრუქტურაში ორი კომპონენტი უპირისპირდება - შემაკავშირებელი წევრი, რომელიც ზედსართავი სახელით ან ზმნითაა გამოხატული და რომელიც მიუთითებს იმ საერთოზე, რაც შედარების თემატურ ნაწილსა და მის საყრდენს გააჩნია, და შედარების საფუძველი, ანუ მისი საყრდენი კომპონენტი, რომელიც არსებითი სახელით ან სუბსტანტივიერებული სიტყვით გამოიხატება.

ფრანგული მყარი ენობრივი შედარებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მეორე პოზიციაში, ანუ გამაერთიანებელ პოზიციაში ყველაზე პოპულარულია შემდეგი ლექსემები: *Avoir, Faire, Tomber, Vivre, Rester, Marcher, Traiter, Briller, Chanter* და ა. შ., ხოლო ზედსართავი სახელებიდან: *„Belle, Gros, Rond, Sale, Clair, Bête* და სხვა. აღნიშნულ პოზიციაში ფრანგულ მყარ ენობრივ შედარებებში საკმაოდ პოპულარულია ფერების აღმნიშვნელი ლექსემები *Noir, Blanc, Rouge, Vert* და ა. შ. უნდა ითქვას, რომ ფერების აღმნიშვნელი სიტყვების აქტივობა გამაერთიანებელ პოზიციაში თავისებურ სტატისტიკურ უნივერსალიას წარმოადგენს, რასაც ადასტურებს სხვადასხვაენოვანი რესპონდენტების გამოკითხვაც. საინტერესოა, რომ ლექსიკოგრაფიული წყაროები, რომლებიც აფიქსირებენ მყარ ენობრივ შედარებებს, ხშირ შემთხვევაში ტოვებენ პირველ პოზიციას და ასახავენ შემაკავშირებელ წევრსა და შედარების საყრდენ ელემენტს. ასე მაგალითად, კონსტრუქციები - „*Heureux comme un pape*“, „*Serieux comme une partition*“, „*Grand comme père et mère*“, „*Briller comme perle*“, „*C' est difficile comme d' envoyer le diable à confesse*“ - ლექსიკონებში წარმოდგენილია თემატური კომპონენტის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი შეიძლება არ იყოს წარმოდგენილი ლექსიკოგრაფიულ წყაროებში (რაც განპირობებულია მისი ვარიატულობის შესაძლებლობით ტექსტში), ის მაინც წარმოადგენს მყარი ენობრივი შედარების

კონსტრუქციულ ელემენტს, რომლის აქტუალიზაციაც კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაში ხდება. საინტერესოა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია გამაერთიანებელი წვერის გამოტოვებაც. ასე, მაგალითად, ერკმან-მატრიანი ნაწარმებში „Hugue le Loup“ გვაძლევს მყარი ენობრივი შედარების „droit comme une flèche“-ის გამოყენების ორ ვარიანტს. ერთ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს „Julien arrive droit comme une flèche“, ხოლო მეორე შემთხვევაში ის ტოვებს მაკავშირებელ კომპონენტს „droit“ (რომლის მნიშვნელობაც ფრანგულენოვანი მკითხველისათვის ისედაც გასაგებია კონტექსტიდან) და გვაძლევს კონსტრუქციას „შემოკლებული“ სახით: „Julien arrive comme une flèche“. უნდა აღინიშნოს, რომ მაკავშირებელი კომპონენტის აბრევაციამ შესაძლოა ენობრივი სტატუსი შეუცვალოს მყარ ენობრივ შედარებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მკვლევართა დიდი ნაწილი განსხვავებას მყარ ენობრივ შედარებასა და მეტაფორას შორის სწორედ მაკავშირებელი კომპონენტის არსებობა - არარსებობაში ხედავს. ვინაიდან ეს პრობლემა ნაშრომის თეორიულ ნაწილში განვიხილეთ, აღარ შეგჩერდებით მასზე, დავსძენთ მხოლოდ, რომ აღნიშნული კონსტრუქციული ელემენტის გამოტოვება შესაძლებელია სხვა ენებშიც, მაგალითად, ქართულშიც: „ბავშვი - ნამდვილი კაკლის საბერტყი ჭოკივით“ (იგულისხმება „მაღალი“); „ვარდი გააპის, გამოსჭვის - მუნ ბროლი გამომჭირვალა“; „შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა“. განსხვავებით თემატური ნაწილისაგან, ანუ პირველი პოზიციისაგან, მყარი ენობრივი შედარების გამაერთიანებელ პოზიციაში ჩვენ გვაქვს ფიქსირებული ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მესამე კომპონენტთან კომბინაციაში ქმნიან მყარ სტრუქტურულ მთლიანობას.

საინტერესოა, რომ გამაერთიანებელი წვერი, რომელიც ტრადიციულად ზედსართავი |სახელით ან ზმნითაა გამოხატული და მიუთითებს იმ საერთოზე, რაც შედარების ორ დანარჩენ წვერს გააჩნია, კონკრეტული სემანტიკის მატარებელია. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ პოზიციაში ფაქტიურად არ გვხვდება გაუგებარი სემანტიკის სიტყვები. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ ის წარმოადგენს თავისებურ ლოგიკურ საფუძველს, რომლის ბაზაზეც

განისაზღვრება შესაძარებელი ფენომენის არსი. როგორც წესი, მყარი ენობრივი შედარების ეს ნაწილი თარგმნის პროცესში პრობლემას ქმნის. ანალიზი გვიჩვენებს, რომ აღნიშნული კომპონენტი ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკის გამოხატვის თვალსაზრისით ნაკლებად საინტერესოა. ლოგიკის ერთ-ერთ ძირითად პოსტულატს წარმოადგენს თეზისი, რომლის მიხედვითაც არ შეიძლება ერთი უცნობი მოვლენის ახსნა მეორე უცნობით, ამიტომ მყარი ენობრივი შედარების ოპოზიცია დაფუძნებულია თავისებურ კორელაციაზე, როდესაც ხდება დაზუსტება, განსაზღვრა საგნის ან მოვლენის ამა თუ იმ თვისებისა.

მყარი ენობრივი შედარების სტრუქტურაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საყრდენ კომპონენტს, რომელიც, ფაქტიურად, მის მხატვრულ სახეს ქმნის და არსებითი სახელით ან სუბსტანტივირებული სიტყვითაა გამოხატული. აღნიშნულ პოზიციაში ნათლად აისახება ხატოვანი აზროვნების ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკა, თავისებური ხედვა, რაც ამა თუ იმ კულტურას ახასიათებს. საყრდენი ელემენტი ლექსიკური თვალსაზრისით საკმაოდ არაერთგვაროვანია.

შევეცდებით გამოვყოთ ძირითადი ლექსიკურ - სემანტიკური ჯგუფები, რომლებიც ერთიანობაში მყარი ენობრივი შედარების გამოყენებით სამყაროს ხედვის ნაციონალურ - კულტურული სპეციფიკის დადგენაში დაგვეხმარება. ძალზე პოპულარულია ცხოველთა აღმნიშვნელი ლექსემები - „Loup“, „chat“ (maigre comme chat de gouttière - გამხდარი, როგორც შინაური კატა, რომელიც საწვიმარ მილზე დაძვრება); „chien“ (maigre comme un chien fou - გამხდარი, როგორც ცოფიანი ძაღლი), „cochon“ (Amis comme cochons - ღორობა-ღორმუცელობის მეგობრები. აქედანაა ნაწარმოები სიტყვა „ამიკოშონობა“); „taupe“ (noir comme une taupe - შავი, როგორც თხუნელა); „buffle“ (fort comme un buffle - კამეჩივით ძლიერი). ცხოველთა აღმნიშვნელი სიტყვების გარდა, საყრდენ პოზიციაში საკმაოდ ხშირია ფრინველთა და მწერთა სახელების გამოყენება. ასე, მაგალითად. „merie“ (bavard comme un merie - შაშვივით ენაჭარტალა) უნდა ითქვას, რომ ამავე პოზიციაში „merie“-ს

ჩანაცვლება ხოლმე „pie“ (bavard comme une pie - ჩხიკვიით ენაჭარტალა), ჩხიკვი საკმაოდ პოპულარულია ფრანგულ ფრაზეოლოგიაში. ის ენაჭარტალობის გარდა ქურდობასთანაცაა ასოცირებული „Voleur comme une pie“ (ჩხიკვიით ქურდბაცაცა). ამავე თვისებას ფრანგები ბუსაც მიაწერენ (voleur comme une chouette).

ცნობილია, რომ ფრაზეოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დანიშნულებად დიდაქტიკური ფაქტორი ითვლებოდა. კაცობრიობის არსებობის ადრეულ ეტაპებზე, როდესაც არ არსებობდა ტექსტების წერილობითი ფიქსაციის შესაძლებლობა, ეთნოიდენტურობის ფორმირება ხდებოდა ფოლკლორული ტექსტების ბაზაზე. თუ გადავხედავთ ფოლკლორულ ჟანრებს შინაარსობრივი თვალსაზრისით, ადვილად შევნიშნავთ, რომ ისინი, ფაქტიურად, მოიცავენ ადამიანთა სოციალური ურთიერთობის ყველა სფეროს. ფოლკლორულ ტექსტებში ხდებოდა იმ პრაგმატული ხასიათის ინფორმაციის თავმოყრა, რომელსაც ხალხი თავის პრაქტიკულ საქმიანობაში იყენებდა. გარდა ინფორმაციულისა, როგორც რთულ, ასევე მცირე ფოლკლორულ ჟანრებს მკვეთრად გამოხატული დიდაქტიკური ფუნქცია გააჩნდათ. თუ გადავხედავთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემებს, ადვილად შევამჩნევთ, რომ ყველა მათგანში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ფოლკლორულ დიდაქტიკას. ეთნოლინგვისტური გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ მსგავსი ვითარება შეინიშნება ავსტრალიის აბორიგენებსა და ამერიკელ ინდიელთა შორისაც. ამ ტომებში ბავშვების აღზრდა ტრადიციულად დედების კომპეტენციას განეკუთვნება. აღზრდის მთავარ ელემენტს ფოლკლორთან ზიარება შეადგენს. თავდაპირველად კითხვა-პასუხის კულტურის ჩამოყალიბებას ისახევენ მიზნად და ამისათვის გამოცანებს იყენებენ. შემდგომ ეტაპებზე შედარების „ხელოვნებას“ ასწავლიან და ბავშვებს ავალებენ თვითონ მოიგონონ შედარებები, „სწავლების“ პროცესის დამაგვირგენებელ ეტაპს პარემიების გამოყენების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება წარმოადგენს. როგორც ცნობილია, პარემიები დიდაქტიკური ფორმით იძლეოდნენ რეგლამენტაციას ამა თუ იმ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან სიტუაციასთან დაკავშირებით.

ყოველივე თქმული ნათლად მიუთითებს იმ უნივერსალურ ფუნქციაზე, რომლებიც ფოლკლორულ ერთეულებს და მათ შორის მყარ ენობრივ შედარებებს გააჩნდათ. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ეს უკანასკნელნი წარმოადგენდნენ თავისებურ საშუალებას ბავშვის ხატოვანი აზროვნებისა და საგანთა შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ჩამოყალიბების პროცესში, უნდა ვივარაუდოთ მრავალი ენათშორისი დამთხვევის შესაძლებლობა. ამის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ ადამიანის ლოგიკური აზროვნება უნივერსალურია და შემეცნების პროცესში თითქმის ერთნაირად აღიქვამს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს, გამოარჩევს მოვლენას და მის ატრიბუტიკას.

თუ დავუბრუნდებით საკვლევ პრობლემატიკას და, კერძოდ, მყარი ენობრივი შედარების საყრდენ ნაწილს, ყურადღებას მიიპყრობს ფუტკრისა და ჭიანჭველის კონცეპტები, ეს ორი მწერი ყველაზე ხშირად (ენტომოლოგიური სამყაროდან) გვხვდება მყარი ენობრივი შედარებების სტრუქტურაში. ფუტკარი ფრანგისთვის, ისევე, როგორც ქართველისთვის და არამარტო მათთვის წარმოადგენს შრომისმოყვარეობის სიმბოლოს. (შედ. „Laborieuse (ou diligente) comme une abeille“, „ფუტკარივით შრომისმოყვარე“, რუსული „Трудолюбивый, как пчела“). ასევე შრომისმოყვარეობის და დაუღალავობის სიმბოლოს წარმოადგენს მეორე მწერი - ჭიანჭველა („Laborieuse (ou diligente) comme une / la fourmi“ - „ჭიანჭველასავით შრომისმოყვარე“, რუსული „Трудолюбивый, как муравей“). აღნიშნული მწერების ეს თვისება იმდენად აშკარა და თვალშისაცემია, რომ არ არის გასაკვირი, რომ განსხვავებულმა კულტურებმა ერთნაირი სახით დააფიქსირეს ეს მყარი ენობრივი შედარება. ამავდროულად, როგორც ფრანგმა, ასევე ქართველმა ადამიანმა კარგად გააცნობიერეს ფუტკრის თავისებური ოსტატობა, თუ შეიძლება ასე ითქვას - ხელოვნება, ასევე გააცნობიერებულა ის ფაქტიც, რომ ფუტკარი ადრიანი დილიდან იწყებს თავის საქმიანობას. მიუხედავად ამ ფაქტების გაცნობიერებისა, ქართულმა ენამ არ ჩათვალა საჭიროდ მათი ენობრივი მანიფესტაცია მოეხდინა. ჩვენგან განსხვავებით, ლექსება „abeille“ ორი მყარი ენობრივი შედარების

comme un soleil" - (მზესავით ბრწყინავს), „passer comme un bolide“ - (მეტეორივით ჩაქროლება), „plevoir dru comme la grêle“ - (სეტყვასავით ცვიოდა), „Eclater comme la foudre“ - (მეხვივით გავარდნა), „Rapide (ou prompt) comme la foudre“ - (ელვასავით სწრაფი), „Léger (ou preste) comme l' air“ (ჰაეროვანი, ან ჰაერივით მსუბუქი).

მყარი ენობრივი შედარებების საყრდენ პოზიციაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ადამიანს, რომელიც წარმოდგენილია თავისი ფიზიკური და სულიერი ატრიბუტებით. თავისებურადაა გადააზრებული ადამიანის ფიზიკური აგებულება და ორგანოთა ფუნქციები. სომატური ლექსიკური ერთეულები, როგორც ცნობილია, ადვილად ექვემდებარებიან მხატვრულ გადააზრებას, შესაბამისად, მყარი ენობრივი შედარების საყრდენი ელემენტის პოზიციაშიც აქტიურადაა წარმოდგენილი სომატიზმები. ამ პოზიციაში გვხვდება თმების აღმნიშვნელი ლექსემა „Fin (ou délié) comme un cheveu“ - (თმის ღერივით წვრილი), თვალთან დაკავშირებული ლექსემა „garder (ou conserver) comme la prunelle de ses yeux“ - (გაუფრთხილდეს, როგორც თვალის ჩინს), ფეხებთან დაკავშირებული ლექსემა „Chauve comme un / mon genou“ (მუხლივით მელოტი) და ა. შ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სომატური ლექსიკა განსაკუთრებით აქტუალურია არა საყრდენ, არამედ - პირველ პოზიციაში. ასე მაგალითად, ლექსემა „თავი“, რომელიც ფაქტიურად არ გვხვდება საყრდენ პოზიციაში, საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი პირველ პოზიციაში - „Avoir la tête comme une passoire“ (საცერივით თავის ქონა), ან (La tête)...rond comme balle (ou une boule) (ბურთივით ან სფეროსავით მრგვალი თავი) ასეთივე ტენდენციას - სწრაფვას პირველი პოზიციისაკენ - ამჟღავნებენ სომატური ველის სხვა ლექსემებიც. „გული“, რომელიც მეტაფორული აზროვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს, შედარებით ნაკლებადაა პოპულარული მყარ ენობრივ შედარებებში „Beau (ou joli) comme un cœur“, „gentil (ou mignon) comme un cœur“ (გულივით მშვენიერი და გულივით საყვარელი).

შესაბამისად, გამონაკლისს წარმოადგენს მყარი ენობრივი შედარება „Aimer quelqu'un comme sa tête“ (უყვარს ვინმე, როგორც საკუთარი თავი). საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაშიც სიტყვა „la tête“ გამოდის არა როგორც სხეულის ნაწილი, არამედ - როგორც პიროვნება.

მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე მაგალითს სიმატიზმების გამოყენებისა მყარი ენობრივი შედარების საყრდენ პოზიციაში: „etre comme les deux doigts de la (meme) main (სიტყვასიტყვით ყოფნა როგორც ერთი ხელის ორი თითი), „NU comme la main“ (ხელისგულივით შიშველი), „Tomber (ou arriver) comme# une neige“ (თოვლივით მოულოდნელად თავზე დაცემა) და ა. შ.

ადამიანის კატეგორიას რამდენიმე თემატური ჯგუფი უკავშირდება. გარდა ადამიანის სხეულის აგებულებასთან, ანუ სომატურ ჯგუფთან დაკავშირებული მყარი ენობრივი შედარებებისა, მის საყრდენ პოზიციაში შეიძლება გამოვყოთ ადამიანის ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის, აგრეთვე მის ემოციურ სამყაროსთან დაკავშირებული ლექსემები, რომლებიც საანალიზო მოვლენის სემანტიკურ სტრუქტურაში შედიან.

ასე მაგალითად, ადამიანის თვისებები და შესაძლებლობები მყარ ენობრივ შედარებებში შემდეგნაირადაა დახასიათებული:

ბ) ადამიანის ფიზიკური თვისებები და შესაძლებლობები

ადამიანის ფიზიკური თვისებები და მათი შეფასება აპრიორულად შეთავსებადად გვეჩვენება. კონკრეტულმა მასალამ დაგვანახა, რომ ენათშორისი პარალელები საკმაოდ ბევრია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამავდროულად შესაძლებელია ნაციონალურ-სპეციფიკური ვარიანტების არსებობაც. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ადამიანის ფიზიკური თვისებებისა და შესაძლებლობების შეფასებისას ენები მსგავს შედარების საფუძველს იყენებენ. თვითონ ფიზიკური თვისების ან შესაძლებლობის გამოხატველი ლექსემები, როგორც წესი, ან პირველ ან მაკავშირებელ პოზიციაში იმყოფებიან. ასე მაგალითად, ქართულში

მხედველობა დახასიათებულია არწივთან შედარებით: „არწივით გამოხედა“, რაც ფრანგულში მისაღებია, მაგრამ არ არის „გაფორმებული“, როგორც მყარი ენობრივი შედარება; სმენა ფრანგულში შედარებულია როჭოს სმენასთან „Etre sourd comme un pot“, რასაც ქართული ენა არ იზიარებს და დედაბერს უკავშირებს-„გამოყრუებული დედაბერი“, ძალა ფრანგულ ენობრივ შედარებებში სხვადასხვა შესადარებელ ობიექტს „Fort comme boeuf“ (ხარავით ძლიერი), „Fort comme un buffle“ (კამჩივით ძლიერი), „Fort comme un lion“ (ლომივით ძლიერი). საინტერესოა, რომ ამ პარადიგმას, რომელსაც ქართული ენაც იზიარებს, კიდევ ერთი ცხოველი - ვირი ემატება. გარდა ცხოველებისა, სიძლიერის მაგალითად ფრანგული ენა თურქსაც ასახელებს - „Fort comme un Turc“ (თურქივით ძლიერი). როგორც ფრანგულისათვის, ასევე ქართულისთვის ძალის მაჩვენებელია ტვირთის გადატანის შესაძლებლობა, შესაბამისად გვაქვს „Fort comme un crocheteur“ (მეკურტნესათვის ჯანანი).

მრავალ კულტურაში, რომლებიც ანტიკურობასთანაა დაკავშირებული, სიძლიერის ეტალონად მიჩნეულია ჰერაკლე ანუ ჰერკულესი. ამ უკანასკნელის, როგორც სიძლიერის მაგალითის, სახელი ფრანგული და ქართული მყარი ენობრივი შედარების სტრუქტურაშიც შედის - „Fort comme un Hercule“ - „ჰერკულესივით ძლიერი“.

საინტერესოა აგრეთვე ის ფაქტიც, რომ სიძლიერისა და სიმტკიცის ეტალონად ორივე კულტურა მუხას მიიჩნევს - „Fort comme un chêne“ - „მუხასავით ძლიერი“. ადამიანის სიძლიერესთან თავისებურად დაკავშირებულია გამძლეობა, ამტანობა. უნდა ითქვას, რომ ფრანგული ლექსიკოგრაფიული წყარო არ აფიქსირებს მყარ ენობრივ შედარებას „endurance“-ის კომპონენტით, ამავდროულად ქართულში გვაქვს მყარი ენობრივი შედარება „ვირივით ამტანი“.

ფრანგული მასალა გვაძლევს ადამიანის ფიზიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ მყარ ენობრივ შედარებებს; სწრაფი, „Rapide (prompt) comme l' eclair“, „rapide comme une flèche“, „Rapide (ou prompt) comme la pensée“ (შესაბამისად „სწრაფი, როგორც ელვა“, „სწრაფი, როგორც ისარი“, „სწრაფი,

როგორც აზრი“); დაუღვეარი - „veille comme une potée de souris“ (დაუღვეარი, როგორც თავგებით სავსე ქოთან), მოქნილი - „Souple comme un serpent“ (udtkbds vjmybkb), „Souple (ou pliant) comme l'osier“ (ტირიფვიით მოქნილი); ნელი - „comme une tortue“ (კუსავით), „comme un escargot“ (ლოკოკინასავით), „marcher comme une limace“ (ნახველივით ნელა მოძრაობა), მოუხერხებლობა - მოუხეშავობა „Lourd comme un elephant dans un magasin de porcelaines“ (მოუხეშავი, როგორც სპილო ფაიფურის მალაზიაში), „lourd comme une boeuf“ (ზარევიტ მოუხეშავი); სიზარმაცე - „Paresseux comme un loir“ (ზაზუნასავით, ანუ ზამთრის პერიოდში მძინარე ცხოველივით ზარმაცი), „Paresseur (ou fainéant) comme une couleuvre “ (ანკარასავით ზარმაცი) ან „paresseur comme une limace“ (ლოკოკინასავით ზარმაცი).

გ) ადამიანის გარეგნობა

მყარი ენობრივი შეღარებების სემანტიკურ სტრუქტურაში გარკვეული ადგილი უჭირავს ადამიანის გარეგნობასთან დაკავშირებულ კონსტრუქციებს, რომელთა საყრდენ პოზიციაში წარმოღვენილია შეფასებითი ნაწილი. ეს უკანასკნელი კონკრეტულ პიროვნებასთან მიმართებაში საკმაოდ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს შესაბამისი განწყობის შესაქმნელად. ასე მაგალითად, სიმანჯის გამოსახატავად ფრანგები შემდეგ პარადიგმას მიმართავენ: „laid comme les sept capitaux“ (საშინელი, როგორც შვიდი სასიკვდილო ცოდვა), „laid comme le péché“ (საშინელი როგორც ცოდვა), „laid comme une chenille“ (საშინელი, როგორც მატლი), „laid comme un crapaud“ (მანჯი, როგორც გომბეშო), „laid comme un démon“ (საშინელი, როგორც ეშმაკი), „laid comme la misère“ (საშინელი, როგორც თვით სიღარბეა), „laid comme un pou“ (მანჯი, როგორც ტილი), „laid comme un singe“ (მაიმუნევიტ მანჯი), „laid comme une guenon“ (დეღალი მაიმუნევიტ მანჯი), „laid comme un magot“ (მანჯი, როგორც უკულო მაკაკა. საინტერესოა, რომ სიმანჯის ეტალონად

საქართველოში მაიმუნებს შორის მიჩნეულია გორილა და არა მაკაკა). ამის საწინააღმდეგო, ანუ მშვენიერ გარეგნობას ფრანგები შემდეგი სახის მყარი შედარებებით აღნიშნავენ: „Beau (ou joli) comme un ange“ (ლამაზი, როგორც ანგელოზი), „Beau comme un amour“ (მშვენიერი, როგორც ამური), „Beau comme Apollon“ (მშვენიერი, როგორც აპოლონი), „Beau comme Adonis“ (მშვენიერი, როგორც ადონისი), „Beau (ou joli) comme un chérubin“ (მშვენიერი, როგორც ქერუბიმი) ეს გამოთქმა, როგორც წესი, ბავშვებთანაა დაკავშირებული, „Beau (ou joli) comme un coeur“ (ლამაზი, როგორც გული), „Beau comme un dieu“ ან ვარიანტი „belle comme une dieesse“ (შესაბამისად - მშვენიერი, როგორც ღმერთი და მშვენიერი, როგორც ღმერთქალი), „beau (ou joli) comme le jour“ (ლამაზი, როგორც დღე), „beau comme un prince“ (ლამაზი, როგორც პრინცი შესაბამისი ვარიანტებით „comme le roi“ If „comme la reine“ - როგორც მეფე და როგორც დედოფალი), „belle comme tout“ (ლამაზი, როგორც ყველაფერი), „ belle comme une fée“ (ლამაზი, როგორც ფერია), „belle comme une nymphe“ (მშვენიერი, როგორც ნიმფა). როგორც ვხედავთ, სიმახინჯისა და სილამაზის ეტალონებად ფრანგებს საკმაოდ ბევრი რამ მიაჩნიათ, დაწყებული პრეკედენტული სახელებით - ადონისი, ქერუბიმი, ამური და გაგრძელებული ფაუნის წარმომადგენლებით - მაიმუნი, მატლი, გომბეშო, აგრეთვე ბუნების მოვლენებით - დღე - და აბსტრაქტული ცნებებით - ცოდვა და ა.შ. ლამაზისა და მახინჯის პოლუსებს შორის თავსდება ადამიანის გარეგნობის დამახასიათებელი კონკრეტული მახასიათებლები - „velu“ (ბანჯგვლიანი) - „Velu (ou poilu) comme un ours“ (ბანჯგვლიანი, როგორც დათვი), „velu (ou poilu) comme un singe“ (ბანჯგვლიანი, როგორც მაიმუნი), „gras“ (მსუქანი), „gras comme une moine“ (მსუქანი, როგორც ბერი), „gras comme une coille“ (მსუქანი, როგორც მწყერი), „gras comme une grive“ (მსუქანი, როგორც შაშვი), „gras (ou plein) comme un cochon (un porc)“ (მსუქანი, როგორც ღორი (ტახი)), „Frisé“ (ხუჭუჭა), „Frisé comme un mouton“ (ხუჭუჭა, როგორც ცხვარი), „frisé comme un agneau“ (ხუჭუჭა, როგორც ბატკანი), „Frisé comme une poule

mouillée“ (ხუჭუჭა, როგორც გაწუწული ქათამი), „chauve“ (მელოტი), „chauve comme une bille“ (მელოტი, როგორც ბურთულა), „chauve comme un caillou“ (მელოტი, როგორც კენჭი), „chauve comme un/mon genou“ (მელოტი, როგორც წევი) მუხლი), „Gros“ (სქელი), „gros comme un muid“ (სქელი, როგორც კასრი), „gros comme un boeuf“ (სქელი, როგორც ხარი), „gros comme une vache“ (სქელი, როგორც ძროხა). სისქის პარადიგმაში შედიან აგრეთვე „boule“ (ბუშტი), „gros comme une boule“ (ბუშტივით სქელი), „cochon“ (ღორი), „gros comme un cochon“, „éléphant“ (სპილო), „gros comme un éléphant“ (სქელი, როგორც სპილო) და „tour“ (კოშკი), „gros comme une tour“ (უზარამაზარი, როგორც კოშკი).

აღამიანის გარეგნობის ისეთი მხარე, როგორიცაა სიგამხდრე, ფრანგული მყარი ენობრივი შედარებების სტრუქტურაში შემდეგნაირადაა წარმოდგენილი „maigre comme un clou“ (ou comme un cent de clous) - გამხდარი, როგორც ლურსმანი (გამხდარი, როგორც ასი ლურსმანი), „maigre comme un chat de gouttière“ (გამხდარი, როგორც შინაური კატა, რომელიც წყლის მილებზე დაძვრება), „maigre comme un chien fou“ (გამხდარი, როგორც ცოფიანი ძაღლი), „maigre (ou sec) comme un coucou“ (გამხდარი, როგორც გუგული), „maigre (ou sec) comme un hareng saur“ (გამხდარი, როგორც შებოლილი ქაშაყი), „maigre comme une lame de rasoir“ (გამხდარი, როგორც სამართებლის პირი), „maigre comme squelette“ (გამხდარი, როგორც ჩონჩხი). ლექსემა „maigre“-ის გარდა სიგამხდრესთან დაკავშირებით გამოიყენება აგრეთვე ლექსემები „mince“ (თხელი) და „fin“ (წვრილი), „mince comme un fil“ (გამხდარი, როგორც ძაფი), „mince comme une allumette“ (ასანთის ღერივით გამხდარი), „mince comme du papier à cigarette“ (თხელი, როგორც სიგარეტის ქაღალდი), „Fin comme une aiguille“ (წვრილი, როგორც ნემსი. იგულისხმება წელის სიწვრილე), „Fin comme une guêpe“ (წელწვრილი, როგორც კრაზანა).

აღამიანის გარეგნობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს სიმაღლე წარმოადგენს. ფრანგული მყარი ენობრივი შედარებების სტრუქტურაში ეს

ლექსიკური პლასტიკაა წარმოდგენილი. ასე მაგალითად, მაღალი (გრძელი) ფრანგულ მყარ ენობრივ შედარებებში „Long“-ით, „gros“-ით, „grand“-ითა და „haut“-ითაა წარმოდგენილი: „Long comme un mât“ (გრძელი, როგორც გემის ანბა), „haut comme trois pommes“ (მაღალი, როგორც სამი პომიდორი), „grand (ou gros) comme une montagne“ (მაღალი, როგორც მთა), „gros comme le pouce“ (დიდი (მაღალი) როგორც ცერი. შეადარე ქართული ცეროდენა).

სახის ფერთან დაკავშირებით ფრანგულში გვაქვს შემდეგი მყარი ენობრივი შედარებები: კარგი ფერი, ანუ ჯანმრთელი ფერი „rouge comme une pomme# (ვაშლივით (ლოყა) ლაჟღაჟა), „rouge comme un chérubin“ (ქერუბიმით ლაჟღაჟა), ხოლო სიფერმკრთალებსთან დაკავშირებით „Pâle (ou blême) comme la mort“ (ფერმკრთალი, როგორც სიკვდილი), „Pâle (ou blême) comme un mort“ (ფერმკრთალი, როგორც მიცვალებული), „Pâle comme un cierge# (ფერმკრთალი, როგორც ცვილის სანთელი).

ადამიანის ფიზიკური და გარეგნული მდგომარეობა განუყოფელია მის შინაგანი სამყაროსა და ფიზიოლოგიური მდგომარეობისაგან, ამიტომ გარკვეულწილად პირობითად მიგვაჩნია ამ ჯგუფის ცალკე გამოყოფა, თუმცა ასეთ გამოყოფასაც აქვს თავისი ლოგიკა. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება შესაძლებლობას, უფრო ღრმად ჩაწვდეთ და დეტალიზაცია მოვახდინოთ მყარ ენობრივ შედარებებში დაფიქსირებული სამყაროს ხედვის თავისებურებებისა.

დ) ემოციურ - ფიზიოლოგიური მხარე, განწყობა და შინაგანი მდგომარეობა.

ადამიანის ფიზიოლოგიური მდგომარეობა მრავალი სახით ვლინდება, შიში, სიხარული, ტკივილი, დაღლილობა, კანკალი, დეპრესია, დისკომფორტი, მხნეობა, შიშხილი, სიმაძღრე, სიმძიმის ან სიმსუბუქის შეგრძნება, სიმთვრალე, სიფხიზლე, ძილის ან სიკვდილის მდგომარეობა, ჯანმრთელობა, ტანჯვის ან შეუბის შეგრძნება, სიცივის ან სიცხის შეგრძნება, სისველე, სიმშრალე და ა.შ. ყოველივე

ზემოთ თქმული მდგომარეობა გარკვეულწილად აისახება ფრანგული ენის მყარი ენობრივი შედარებების სტრუქტურაშიც. ბუნებრივია, რომ მყარი ენობრივი შედარებები შესაბამის სამყაროს უკავშირდებიან და ხედვის ნაციონალურ - კულტურულ სპეციფიკას ასახავენ. ფიზიოლოგიური შეგრძნებები და მდგომარეობა ამავედროულად ადამიანისთვისაც, როგორც ფენომენისთვის, ზოგადად დამახასიათებელი თვისებებია, რაც თავისთავად მიუთითებს უნივერსალურ ხასიათზე. ჩვენს შემთხვევაში ინტერესს იწვევს ამ თვისებების ენობრივი ხედვა, რაც მყარ ენობრივ შედარებებში ვლინდება.

ფიზიოლოგიური მდგომარეობა ფრანგული ენის მყარ ენობრივ შედარებებში შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: შიშის შეგრძნება ასოცირებულია კანკალთან „Trembler comme une feuille# (ვერხვის ფოთოლივით ცახცახი), ასევე თიკანთან „S'effrayer comme un cabri“ (თიკანივით მშიშარა). შიშთან დაკავშირებულ რეაქციას წარმოადგენს „Faire comme l'autruche# (სირაქლემასავით ქცევა). აგრეთვე „crier comme un sourd“ (ყრუსავით ყვირილი) ან „crier comme un cochon“ (გოჭივით ჭყვივლი) და ა.შ.

შიშთან გარკვეულად კავშირშია სიმორცხვე და უხერხულობის შეგრძნება, რომლებიც ქალიშვილთან და ბავშვთან ასოცირდება. „Naif comme un enfant# (ბავშვივით გულუბრყვილო), „Timide comme une jeune fille“ (ქალიშვილივით მორცხვი), „Rougir comme une jeune fille (une tomate)“, (ქალიშვილივით (პომიდორივით) გაწითლება).

დისკომფორტის შეგრძნება ფრანგულ მყარ ენობრივ შედარებებში შემდეგი სახითაა გამოხატული: „Etre parqués comme un bétail (ou des moutons)“ (როგორც ცხოველები (ცხვრები) სასაკლაოზე), „Être comme sur des charbon# (ნახშირივით იწვის (იგულისხმება დიდი სიცხე)), „Être (ou errer) comme un corps sans âme“ (ხეტიალი, როგორც სხეულისა სულის გარეშე), „Être comme un / le poisson hors de l'eau“ (ყოფნა, როგორც თევზის ხმელეთზე), „Souffler comme un boeuf# (ხარივით ქშენა), „Pleurer comme un veau“ (ხბოსავით ბლავილი), „Pleurer comme un bête / une vache“ (ცხოველივით, ძროხასავით

ბლავილი), „Comme un fou“ (გიჟივით), „Être comme un linge mouille“ (სველი სარეცხივით ყოფნა).

დისკომფორტის ისეთი ნაირსახეობები, როგორცაა შიმშილი და დაღლილობა, ასევე აისახება ფრანგულ მყარ ენობრივ შედარებებში „Affamé comme un loup / un chasseur“ (მგელივით (მონადირესავით მშიერი)), „Tomber comme un sac“ (ტომარასავით დაცემა), „Immobile comme un cadavre“ (უძრავად, როგორც მიცვალებული), „Être (ou rester) comme un cadavre“ (მიცვალებულივით, ან მოკლულივით დება / წოლა).

დისკომფორტის საპირისპიროდ კომფორტის, კარგი განწყობის შეგრძნებას ასევე აისახება ფრანგულ მყარ ენობრივ შედარებებში. ასე მაგალითად, „Être (ou vivre) comme un / le poisson dans l'eau“ (ყოფნა ან ცხოვრება, როგორც თევზი წყალში), „Être (ou vivre) comme un coc en pate#“ (ცხოვრება, როგორც მამალი გასასუქებლად), „Être comme le porc a l'auge“ (როგორც ღორი ვობთან), „Vivre comme un pacha#“ (ფაშასავით ცხოვრება), „comme par magie#“ (ჯადოსნურად, ზღაპარივით), „Leger comme une plume“ (მსუბუქი, როგორც ბუმბული (შეგრძნება)), „Frais comme le printemps / la rosée“ (საამო იგულისხმება შეგრძნება), როგორც გაზაფხული / ნამი).

მყარ ენობრივ შედარებათა სემანტიკურ სტრუქტურაში გარკვეული ადგილი უჭირავს შინაგანი სამყაროს, მის ემოციურ - ნებელობით მხარესთან დაკავშირებულ კონსტრუქციებს. ასე მაგალითად, ისევე, როგორც ენათა უმრავლესობაში, თავისუფლების შეგრძნება ფრანგულ მყარ ენობრივ შედარებებში ფრინველთან და ქართან არის დაკავშირებული „Libre comme l'air“ (ქარივით თავისუფალი), „Libre comme un oiseau“ (ჩიტივით თავისუფალი); ცნობისმოყვარეობა ქალთან და ბავშვთან „Curieux comme une femme / enfant“ (ცნობისმოყვარე, როგორც ქალი / ბავშვი) ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსალურის გარდა ფრანგულს გააჩნია ცნობისმოყვარეობის გამოხატვის სპეციფიკური ხედვაც: „curieux comme une pie“ (ცნობისმოყვარე, როგორც კატკაჭი) ან „curieux comme une vieille fille“ (გაუთხოვარი ქალივით

ცნობისმოყვარე); სიბრძნე - გველთან „Prudent comme un / le serpent“ (გველივით ბრძენი); სიფიცხე და გაბრაზება შემდეგნაირად აისახება ფრანგულ ენობრივ შედარებებში „Vif comme du salpêtre“ (ფიცხი, როგორც სელიტრა) ან „Vif comme la poudre“ (დენთივით ფეთქებადი), „Brûler comme une allumette“ (სანთებელასავით წამონთება), „Hargneux comme un dogue“ (ანჩხლი, როგორც დოგი), „Méchant comme un âne rouge“ (ბრაზიანი, როგორც წითური ვირი), „méchant comme un coq / le diable“ (ბრაზიანი, როგორც მამალი / ეშმაკი). გაბრაზების პარადიგმას უკავშირდება „Ruger comme un lion“ (ბრძღვინავს, როგორც ლომი). ისეთი უარყოფითი თვისებები, როგორიცაა სისუღელე, უხეშობა, ამბიციურობა (უარყოფითი გაგებით), სისასტიკე, სიზარმაცე, თავხედობა, აბეზრობა შესაბამისად მყარი ენობრივი შედარებებით არის წარმოდგენილი, „Bête comme une oie“ (ბატივით სუღელი). სისუღელის პარადიგმას აგრძელებენ - „ვირი“ (Bête comme âne), „კომბოსტო“ (bête comme un chou), „დოქი“ (bête comme une cruche), „ინდაური“ (bête comme un dindon)^ „ბაყაყი“ (bête comme une grenouille), „შებოლილი ჯაშაყი“ (bête comme un hareng saur), „მთვარე“ (comme la lune), „ჯერ არავინ“ (bête comme pas un), „საკუთარი ფეხები“ (bête comme ses pieds)^ „ქოთანი“ (bête comme un pot), „მარტორქა“ (bête com rhinocéros)^ „კუნძი“ (bête comme une souche)^ „ჩემოდანი“ (bête comme une valise)^ „გახვრეტილი კალათა“ (bête, comme un panier percé)& უხეშობა შედარებულია ხარების მწყემსთან და მეეტლესთან „grossier comme un bouvier#^ „grossier (ou brutal) comme un charretier#& ამბიციურობა დაკავშირებულია ფარშეევანთან (Fier (ou orgueilleux) comme un paon) და მისი ვარიანტი (Fier comme un paon qui fait la roul (კუდაშლილი ფარშეევანი)), მამალთან (fier comme un pou sur son fumier (როგორც ყვინჩილა ნაკელზე)), შოტლანდიელთან (fier comme un Écossais), გასკონელთან (fier comme un gascon)^ ესპანელ იდალგოსთან (fier comme un hidalgo)^ ინდაურთან (orgueilleux comme un dindon)& სისასტიკის ზოგად მაჩვენებლად მხეცია წარმოდგენილი „Féroce comme un bête“ (მხეცივით სასტიკი), ხოლო

კონკრეტულად - ვეფხვი „Féroce comme un tigre“& სიზარმაცე მთელ პარადიგმას ქმნის და დაკავშირებულია: ზაზუნასთან (Parresseux comme un loir), fyrhfcfsy (paresseux comme une couleuvre), ზელითან (paresseux comme un lézard), ლოკოკინასთან (paresseux comme une limace)&

თავხედობა და აბეზრობა შედარებულია პაჟთან, ლაქიასთან, ბუზთან და ა.შ. „Hardi comme un page“ (პაჟივით თავხედი), ამის ვარიანტია „Hardi comme un page de la maison du roi“ (თავხედი, როგორც პაჟი მეფის სასახლიდან). თავხედობის უნივერსალურ სიმბოლოს - ბუზს (insolent comme une mouche), მეორე მწერიც - პეპელა უერთდება (hardi comme un papillon)& პაჟთან ერთად თავხედობის „ეტალონად“ ფრანგისთვის მიჩნეულია ლაქია „insolent comme un laquais“ და ჯალათის დამხმარე „insolent comme un valet de bourreau“. ამ უკანასკნელის ფუნქცია მდგომარეობდა იმაში, რომ მას უნდა გაეჩნა სილა მსჯავრდადებულთათვის, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში მასზე სოციალურად მაღლა იდგნენ. ასევე სპეციფიკურ ფრანგულ მოვლენას წარმოადგენს თავხედობის პარადიგმაში ჯვრის ვალეტის ჩართვა (insolent comme un valet de tréfle). ზოგიერთ თამაშში ჯვრის ვალეტს შეეძლო ყველაზე ძლიერ კარტთან მეტოქეობაც, რის გამოც მოხდა ამ თვისების მეტაფორული გადააზრება და თავხედობასთან დაკავშირება. ადამიანის ხასიათის ისეთი თვისებები, როგორიცაა: გულუბრყვილობა, ალერსიანობა, სინაზე, სიძულვილი, სიყვარული, ერთგულება, ეჭვიანობა, შრომისმოყვარეობა, სიჯიუტე, გულცივობა, აქტიურობა, ასევე წარმოდგენილია ფრანგული მყარი ენობრივი შედარებების სტრუქტურაში: გულუბრყვილობა შედარებულია ბავშვთან (Naïf comme un enfant), მტრედთან (simple comme une colombe), საღათ რომენთან (Bon comme la romaine)& სავარაუდოდ ეს უკავშირდება ამ უკანასკნელის სირბილეს, რაც ხასიათთან მიმართებაში გადაიაზრება, როგორც გულუბრყვილობისა და სიკეთის მეტაფორა. ალერსიანობა კატის კნუტს უკავშირდება (Câlin (ou caressant) comme un petit chat)^ ხოლო სინაზე - აბრეშუმს (Doux comme la soie), ატლასს (doux comme du satin)& მოხერხებულობა უკავშირდება მაიმუნს

(Adroit comme un singe), ნორმანებს (adroit comme un prêtre normand)^
ფერიას (adroit comme une fée), ხოლო ეშმაკობა - მელის (Rusé (ou fin)
comme un renard), ეშმაკს (rusé comme un diable), კუზიანს (madré comme un
bossu), ნორმანდიელს (madré comme un Normand), მაიჰუნს (Malin comme un
singe), გველთევზას (Souple comme une anguille).

სიყვარული შემდეგი პარადიგმათაა წარმოდგენილი: „Aimer comme un frère“
(ძმასავით სიყვარული), „aimer comme sa soeur“ (დასავით სიყვარული), „aimer
comme un fou“ (გიჟივით სიყვარული), „aimer comme ses petits boyaux#
(როგორც საკუთარი წვრილი ნაწლავი), „aimer comme ses yeux“ (როგორც
საკუთარი თვალისჩინი), „aimer comme sa vie“ (როგორც საკუთარი ცხოვრება).

სიბუღვილი ფრანგულ მყარ ენობრივ შედარებებში დაკავშირებულია შავ
ჭირთან და სიკვდილთან „Haïr qn / qch comme la peste“ (შავი ჭირივით
სძულს), „Haïr qch comme la mort# (სიკვდილივით სძულს). ისევე, როგორც
სხვა ენებში, ფრანგულშიც ერთგულების სიმბოლოდ ძალღია ზოგადად მიჩნეული
„Fidèle comme un chien“, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ხდება ძაღლის ჯიშის
დაკონკრეტება. ფრანგებს ასეთად ძაღლებს შორის პუდელი ყველაზე ერთგულად
მიანიათ „Fidèle comme un canishe“. ეჭვიანობას ფრანგები ვეფხვსა და კატას
ადარებენ: „Jaloux comme un chat borgne“, „Jaloux comme un tigre“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შრომისმოყვარეობა ფრანგულში ფუტკართან და
ჭიანჭველასთან არის დაკავშირებული „Laborieux comme une abeille / une
fourmi#^ ხოლო შეუპოვრობის მაგალითად - ვეფხვი „Tenace comme un tigre#
(შეუპოვარი, როგორც ვეფხვი), რკინა - „Dur comme le fer“ (მტკიცე, როგორც
რკინა), ბრინჯაო - „dur comme du bronze“ (მტკიცე, როგორც ბრინჯაო)
სახელდება. სიჯიუტე ტრადიციულად ვირს უკავშირდება „tetu comme un âne“
(ვირივით ჯიუტი), ხოლო გულცივობა მარმარილოს, ნუშის რძეს, ყინულს და
თევზს „Froid comme le marbre“ (მარმარილოსავით ცივი (გულგრილი)), „Froid
comme un carafe d'orgeat“ (ცივი, როგორც გრაფინი ნუშის რძით), „froid
comme la glace“ (ყინულივით ცივი). აქტიურობა ფრანგულ მყარ ენობრივ

შედარებებში ვერცხლისწყალთან არის დაკავშირებული „Vif comme le mercure“. ასეთივე „რეპუტაცია“ გააჩნია პეპელას „vif comme un papillon“ (ცოცხალი, როგორც პეპელა) და ციყვს „Vif comme un écureuil“ (ციყვივით მოძრაობა). ინერტულობის მაგალითს ისევ ზაზუნა, ლოკოკინა და კუ წარმოადგენენ (იხ. ზემოთმოყვანილი მაგალითები). თავისებურ მიკროველს ქმნის ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფიზიოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებული მყარი ენობრივი შედარებები: ჯანმრთელობა, ავადმყოფობა, ძილი, სიკვდილი, სიცოცხლე, სიმთვრალე და ა.შ.

ჯანმრთელობის პარადიგმას იგივე ინგრედიენტები ქმნიან, რაც სიძლიერეს; პერკულესი - „Robuste comme Hercule“, მუსა „Robuste (solide) comme un chêne“, კლდე „Solide comme roc“ და ა. შ.

ავადმყოფობას, სისუსტეს ფრანგული ენა შემდეგი მყარი ენობრივი შედარებებით გამოხატავს „Presser qn comme un citron“ (ლიმონით გამოწურული), „Être malade comme un chien“ (ძალლივით ავად ყოფნა), „Être malade comme une bête“ (ცხოველივით ავად ყოფნა), „Hurler comme un chier / bête / loup“ (ძალლივით, მხეცივით, მგელივით ყმუილი (ცუდად ყოფნის გამო)).

ძილი ისეთი ფიზიოლოგიური მდგომარეობაა, რომელიც საკმაოდ ინფორმატულია. ძილთან დაკავშირებული პარადიგმის მრავალფეროვნება ნათლად მიუთითებს ამაზე. პარადიგმას ქმნიან: „Dormir comme une marmotte“, კუნძი „dormir comme une bûche“, მძინარა „dormir comme un loir“, ქვის ლოდი „dormir comme une masse“, მიცვალებული „dormir comme un mort“, ქვა „dormir comme une pierre“, ტყვია „dormir comme un plomb“, ტილი „dormir comme un pou“, ბზრიალა „dormir comme un sabot“, კუნძი „dormir comme une souche“, განამღველი „dormir comme un sapeur“, მნათე - „dormir comme un sonneur“.

სიკვდილთან დაკავშირებული ლექსემები შედის რამდენიმე მყარი ენობრივი შედარების სტრუქტურაში. „Blanc (ou pâle) comme la mort#“ (სიკვდილივით გაფითრებული) „mourir comme un chien“ (ძალლივით სიკვდილი), „mourir

comme une bête“ (ცხოველივით სიკვდილი), „mourir comme un rat“ (ვირთხასავით სიკვდილი). მოკვდინებასთანაა დაკავშირებული შემდეგი მყარი ენობრივი შედარებები: „Égorger qn comme un mouton / cochon / ou poule“ (ცხვარივით / ღორივით / წიწილასავით დაკვლა), ცეცხლსასროლი იარაღის მსხვერპლი შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: „Tuer qn comme un chien“ (ძაღლივით დაცხრილა), „tuer (ou abattre) qn comme lapin“ (ბაჭიასავით დაცხრილა).

საკმაოდ ბევრია მყარი ენობრივი შედარება, რომლებიც სიმთვრალეს უკავშირდება. „ალკოჰოლის მომხმარებელთა“ წრე საკმაოდ ფართოა – დაწყებული შაშვით „Soûl comme une grive“ (მთვრალი, როგორც შაშვი). (სანტერესოა, რომ ეს შედარება, მორის რას სიტყვებით, დაკავშირებულია ფრინველის განსაკუთრებულ სიყვარულთან ყურძნის მიმართ), გაგრძელებული კორდელიერით „gris comme un cordelier“, ტამპლიერით „soul comme un templier“, წურბელით „soul comme une tique“, პურის ნაჭრით „Ivre comme une tranche de pain mouillée de vin“ (მთვრალი, როგორც პურის ნაჭერი ღვინოში „ჩაბუჭბუჭებული“), დამთავრებული პოლონელით და მთელი პოლონეთით „Soul comme un Polonais“ (მთვრალი, როგორც პოლონელი), „Ivre comme toute la Pologne“ (მთვრალი, როგორც მთელი პოლონეთი).

აღამიანთან დაკავშირებულ მყარ ენობრივ შედარებებში აისახება მოწყენილობა, რომელიც ასევე პარადიგმას ქმნის „Ennuyeux comme la pluie“ (მოსაწყენი / მომაბეზრებელი, როგორც წვიმა), „ennuyeux comme la mort“ (მოსაწყენი, როგორც სიკვდილი), „ennuyeux comme tout“ (მოსაწყენი, როგორც ყველაფერი); სიმშვიდე „Tranquille comme Baptiste“ (მშვიდი, როგორც ბაპტისტი), „Calme comme bronze#“ (ბრინჯაოსავით მშვიდი), „Tranquille comme un dieu#“ (მშვიდი, როგორც ღმერთი).

ე) აღამიანი და საზოგადოება

მყარი ენობრივი შედარებები ასევე გამოხატავენ ადამიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და სტატუსს. ასე მაგალითად, სიღარიბე შედარებულია ვირთხასთან: „Gueux (ou pauvre) comme un rat d'église“ (ღარიბი, როგორც ეკლესიის ვირთხა), მხატვართან „gueux comme un peintre“ (ღარიბი, როგორც მხატვარი), ბიბლიურ იობთან „Pauvre comme iob“ (იობივით ღარიბი).

სიმდიდრის პარადიგმას შეადგენენ: კრეზი „Riche comme Crésus“[^] ფინანსისტი „Riche comme financier“, ნაბობი „Riche comme un nabab“, პრინცი „Riche comme un prince“, საბადო „riche comme un puits“, როტშვილდი „Riche comme Rothschild“[&]

საზოგადოებრივ ურთიერთობათა სპექტრი წარმოდგენილია დამოკიდებულების სხვადასხვა ფორმით. დაცულობა ან დაუცველობა საზოგადოებაში შემდგენიარად ვლინდება მყარ ენობრივ შედარებებში: „garder comme un trésor“ (განძივით გაფრთხილება (დაცვა)), „garder (ou conserver) comme une relique“ (რელიკვიასავით გაფრთხილება), „garder comme la prunelle de ses yeux“ (თვალისჩინივით გაფრთხილება). დაუცველობა ბავშვთან არის შედარებული „Fable comme un enfant“.

აღნიშნული ოპოზიციის გარდა შეიძლება კონფლიქტურობისა და სოლიდარობის ოპოზიციაც გამოვყოთ, სოციალური და ინდივიდუალური კონფლიქტები ვლინდება ჩხუბში: „Se battre comme des diables“ (ჩხუბობენ, როგორც ეშმაკები), „Se battre comme un enragé“ (ცოფიანივით ჩხუბი). კონფლიქტური დამოკიდებულების მაგალითია „S'aimer comme chien et chat“ (ძალდი და კატასავით სიყვარული), „S'acharner sur qch comme deux chiens sur un os“ (როგორც ორი ძალდი ერთ ძვალს მიახტა).

კონფლიქტისაგან თავის არიდებაა თვითიზოლაცია საზოგადოებიდან „vivre comme un ermite / hibou / lézard / coquille / loup / ours / taupe“ (განდევნილივით / ბუსავით / ხვლიკივით / ლოკოკინასავით (თავის ნიჟარაში) / ზგელივით / დათვივით / თხუნელასავით მარტო ცხოვრება).

სოციალური სოლიდარობის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მყარი ენობრივი შედარება: „Etre (unis) comme les doigts de la main“ (ერთიანი, როგორც ხელის ხუთი თითი). ფრანგულისთვის სპეციფიკურია ერთიანობის შემდეგნაირი დანახვა „Être comme cul et chemise“ (დაუშორებელი, როგორც უკანალი და პერანგი). როგორც სხვა კულტურებში სოლიდარობის სიმბოლოს ძმობა წარმოადგენს „Etre unis comme frères“ (ერთიანები, როგორც ძმები).

სოლიდარული ფუნქციის და ადგილის გაურკვეველობას შეიძლება დაეუკავშიროთ „Etre comme un âme en peine“ (მოუსაფარი სულივით ხეტიალი).

სოციოლოგიის ერთ - ერთ მნიშვნელოვან კატეგორიას ლიდერის საკითხი წარმოადგენს, რომელსაც ადვილად ემორჩილებიან. მყარი ენობრივი შედარება „Mener comme un troupeau“ (ცხვრის ფარასავით წაყვანა), სწორედ ასეთ ლიდერს გამოხატავს, ხოლო მასს ფრანგული ახასიათებს „suivre qn comme un (petit chien / un barbet / un caniche / un toutou / l'ombre suit le corps)“ (მიჰყვება უკან, როგორც ძაღლი / სპანიელი / პუდელი / ლეკვი / ჩრდილი სხეულს). ლიდერის ქარიზმასთან დაკავშირებული მისით აღფრთოვანება „Ecouter qn comme un oracle“ (წინასწარმეტყველებით მოსმენა).

სოციალური პასიურობის გამოსახატად შესაძლებელია შემდეგი მყარი ენობრივი შედარების გამოყენებაც „Se laisser aller comme l'eau qui coule“ (ღინების მიყოლა, როგორც გამდინარე წყალი).

აღამიანის არსებობა საზოგადოებაში ქცევით განისაზღვრება. ამ თვალსაზრისით ფრანგული ენობრივი შედარებები შემდეგ ინფორმაციას გვაწვდიან: ფრაზები „Lascif comme un boue“ (თხსავით ვნებიანი), „amoureuse comme un coq / une chatte / un mineau# (მამალივით / კატასავით / ბელურასავით ადვილად შემყვარებელი), „Changer de qch comme de chemise“ (პერანგით ცვლა) - უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავენ ქარაფშუტობის აღნიშნული გამოვლინების მიმართ.

საზოგადოებაში ასეთივე არაპოპულარულობით სარგებლობს ყბელობა „jaser comme un pie / merle“ (ჩხიკვიით / შაშვიით ყბელობა), „Sa langue va comme un claquet“ (მისი ენა წისკვილის ქვასავით მუშაობს), კონფლიქტურობა „Se disputer comme des chiffonniers“ (ძონძების გამყიდველი ქალებივით ჩხუბი), „Se battre comme des diables“ (ემშაკებივით ჩხუბი), ამბიციურობა „Serieux comme un âne qu' on étrille“ (ამაყი, როგორც ვირი, რომელსაც წმენდენ), ან „serieux comme un âne qui boit dans un seau“ (ამაყი, როგორც ვირი, რომელიც წყალს „მიირთმევს“ გობიდან), უზრდელური ქცევა, გაუთლელობა „Entrer comme dans un moulin / auberge / une écurie“ (შემოხეტება, როგორც წისკვილში / ღუქანში / თავლაში), „crier comme un sourde / un âne / un charretier / un paon ...“ (ყრუსავით / ვირივით / მეეტლესავით ყვირილი), „Fumer comme une locomotive / une chemine“ (ლოკომოტივივით / ბუხარივით კვამლში დახრჩობა), მოუქნელი მანერები „Se conduire comme un enfant“ (ბავშვივით მოქცევა), „Leger comme un éléphant“ (მოუხეშავი, როგორც სპილო), „Sauter comme un cabri“ (თიკანივით ხტუნვა). უარყოფით რეაქციას იწვევს საზოგადოებაში აგრეთვე უგემოვნობა: „Aller comme un fablier à une vache“ (უხდება, როგორც ძროხას წინსაფარი). „aller comme une bague à un chat“ (უხდება, როგორც კატას ბეჭედი), „Aller comme un manteau à la lune / un pardessus à un canard“ (უხდება, როგორც მთვარეს პალტო / იხვს ლაბადა), „Fait comme un voleur / une Cendrillon“ (ქურდივით / კონკიასავით ჩაცმული), „Vetu comme un oignon“ (ხახვივით ჩაცმული), „Fait comme l' as de pique“ (ყვავის ტუზივით ჩაცმული). ცუდ ტონად ითვლება აგრეთვე ჭუჭყი „Sale comme un peigne / un cochon / un pou“ და ა.შ. (ჭუჭყიანი, როგორც სავარცხელი / ღორი / ტილი), ჭამის მანერა „manger comme un cochon / un boeuf / un maçon comme quatre“ (ღორივით / ხარივით / ქვისთლელივით / ოთხი კაცივით ჭამა), გაუპარსაობა „Barbu comme un sapeur# (გამწალმეველივით გაუპარსავი).

ასევე ასახულია საზოგადოებისათვის მიუღებელი ისეთი თვისებები, როგორცაა არაკომპეტენტურობა და სიცრუე: „Parler d' une chose comme un aveugle des couleurs“ (მსჯელობს, როგორც ბრმა ფერებზე), „Regarder comme une brute“ (ცხოველივით უაზროდ ყურება), „Mentir comme un charlatan / un laquais / un soutien-gorge“ (ცრუობს, როგორც შარლაჰანი / ლაქია / ბიუსტპალტერი).

გაცილებით შეზღუდულია პოზიტიურად შეფერილი მყარი ენობრივი შედარებები, რომლებიც ფრანგულში გვხვდება. სულ+იერი სისუფთავე შედარებულია კრისტალთან „clair comme cristal“, უბიწობა - შრომანთან და ბატკანთან „Pur comme un lis / une oie“ (წმინდა, უბიწო, როგორც შრომანი / ბატკანი), ელევანტურობა კმნის პარადიგმას „Aller comme un gant“ (ხელთათმანივით მორგება), „aller comme une bague au doigt“ (უხდება, როგორც ბეჭედი თითს), „aller comme un ange“ (ანგელოზივით მორგებული), „aller comme un bas de soie“ (აბრეშუმის წინდებივით მორგებული), „aller comme de cire“ (ცვილის ასლივით მორგებული). შარში შემდეგი კონსტრუქციით გადმოიცემა „Attirer comme un aimant“ (მაგნიტივით მიზიდვა), ენამაზვილობა ნემსთან არის დაკავშირებული „Pointu comme une aiguille“ (ნემსივით წამახული), სიმშვიდეს საზოგადოებაში იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ ღმერთთან არის შედარებული „Tranquille comme un dieu“ (ღმერთივით მშვიდი), ხოლო კეთილგანწყობა - გულთან „Gentil comme un coeur“.

ჩვენ შევეცადეთ მყარი ენობრივი შედარებების ძირითადი ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები გამოგვეყო. ბუნებრივია, შესაძლებელია ჯგუფების შემდგომი დეტალიზაცია, მაგრამ ვთვლით, რომ ჩვენ მივალწიეთ დასახულ მიზანს. დავადგინეთ მყარი ენობრივი შედარებების კავშირი სამყაროს სემენტაციის საკითხთან, რაც შეეხება შემდგომი დეტალიზაციის შესაძლებლობას, ეს სცილდება წინამდებარე ნაშრომის ამოცანებს. მოკლედ შევაჯამებთ მიღებულ შედეგებს:

1. მყარი ენობრივი შედარებების კლასიფიკაცია ჩვენ დავაფუძნეთ იდეოგრაფიულ პრინციპზე, რამაც საშუალება მოგვცა გამოგვეყო ძირითადი ჯგუფები: I გარე სამყარო; კოსმოსი, ფლორა, ფაუნა, ეკოსფერო. II ადამიანი; სომატიზმები, ფიზიკური, მენტალური მხარე, საზოგადოებრივი ურთიერთობები.

2. მყარი ენობრივი შედარების სამი კომპონენტი - თემა, ან შედარების საგანი, შედარების საყრდენი ანუ საფუძველი და მაკავშირებელი წვერი, რომელიც მიუთითებს ამ საერთოზე, რაც შედარების დანარჩენ ორ წვერს გააჩნია - ერთ კომპოზიციურ მთლიანობას ქმნის.

ანალიზი ადასტურებს, რომ მყარი ენობრივი შედარებები სემანტიკურად შეუზღუდავია, მოიცავს ფრანგული კულტურის მიერ დანახულ სამყაროს და გვიჩვენებს ამ უკანასკნელის შიდაენობრივი სემანტიკის პრინციპებს. პირველი პოზიცია, ანუ თემატური ნაწილი შინაარსობრივად მოიცავს როგორც გარესამყაროს, ასევე ადამიანთან და საზოგადოებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებულ კონცეპტებს. თემატური ნაწილი დაკავშირებულია თვისებისა და მოქმედების მახასიათებელ პრედიკატებთან, რომლებიც, ფაქტიურად, მოიცავენ სუბსტანციის თვისობრივ პარადიგმას (კარგი, ცუდი, ლამაზი, მახინჯი, სწრაფი, ნელი, ძლიერი, სუსტი და ა. შ.). პრედიკატები, თავის მხრივ, სემანტიკურად აკავშირებენ თემატურ ნაწილს შედარების საფუძველთან ან საყრდენ ნაწილთან. ლექსიკურ - სემანტიკური თვალსაზრისით საყრდენი ნაწილიც, ფაქტიურად, შეუზღუდავია და ხშირ შემთხვევაში ქმნის პარადიგმატურ ვარიანტს.

3. ნაციონალურ - კულტურული სპეციფიკა ვლინდება სწორედ პირველი და მესამე ნაწილების კომბინატორიკაში, მათი სემანტიკური დაკავშირების შესაძლებლობების დანახვაში და მყარ ენობრივ შედარებად გადაქცევაში.

მყარი ენობრივი შედარებების თარგმნის ეფექტიანობა პირდაპირ კავშირშია ენობრივი ხედვის სპეციფიკურობასთან, რაც შემდეგი თავის მონაცემებმა უნდა დაადასტუროს.

ფრანგული მყარი ენობრივი შედარებების
ქართულად თარგმნის პრობლემები

ფრანგული მყარი ენობრივი შედარებები საკმაოდ მრავალფეროვანია როგორც ფორმით, ასევე - შინაარსით. გარდა ლექსიკონებში დაფიქსირებული მნიშვნელობებისა, მხატვრული ტექსტების სტრუქტურებში მათ შეიძლება დამატებითი კონოტაციები შეიძინონ, რაც შესაბამისად ართულებს მთარგმნელის ამოცანას. კონკრეტული მთარგმნელობითი გადაწყვეტილებების ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა სირთულის სხვადასხვა დონე გამოგვეყო; დაწყებული მინიმალურიდან (მსგავსი ან იდენტური მყარი ენობრივი შედარებებით) დამთავრებული მაქსიმალურით - უექვივალენტო მყარი ენობრივი შედარებებით. უნდა ითქვას, რომ ცალკეული მთარგმნელობითი გადაწყვეტილებები, ჩვენი აზრით, უნდა შეფასდეს ორიგინალისა და თარგმანის შინაარსობრივი და პრაგმატიკული ანუ ზემოქმედებითი პოტენციალის და ენობრივი გაფორმების მაქსიმალურად შესაძლებელი სიახლოვის გათვალისწინებით.

ფრანგული მყარი ენობრივი შედარებების ქართულ ენაზე გადმოცემის შესწავლამ შესაძლებლობა მოგვცა რამოდენიმე ჯგუფი გამოგვეყო:

I. სრული ფორმალურ - სემანტიკური ექვივალენტები

აღნიშნულ ჯგუფში შედიან მყარი ენობრივი შედარებები, რომელთაც ანალოგიური ლექსიკური შემადგენლობა გააჩნიათ „blanc comme la neige“ (თოვლივით თეთრი); „nager comme un poisson“ (თევზივით ცურვა). ამგვარი პარალელიზმის მიზეზები სხვადასხვაგვარია. ეს შეიძლება იყოს საერთო წყარო - ბერძნულ - რომაული მითოლოგია, ძველი სამყაროს ისტორია, ბიბლია, სხვა ენიდან ნასესხობა და აგრეთვე მოვლენების ერთმანეთისგან დამოუკიდებელი

დანახვა და ფიქსირება. აღნიშნული ტიპის ექვივალენტები ჩვენს კარტოთეკაში საკმაოდაა წარმოდგენილი. მოვიყვანოთ მაგალითებს ქართული თარგმანებიდან

„Elle lança à son mari un regard rapide comme l' éclair !“ (P. Mérimée „La Double Meprise“). (მან მეუღლეს ელვისებური მზერა სტყორცნა), (მთარგმნელი ნ. ფანჯავიძე). მიუხედავად იმისა, რომ ქართულში არსებობს მყარი ენობრივი შედარება „ელვისებური სისწრაფით“ მთარგმნელმა სრულიად გასაგების სტილისტური მიზნით „ელვისებური მზერა“ ამჯობინა, რომელიც სისწრაფის სემას თავის თავში მოიცავს.

უფრო მიახლოებულაა ორიგინალთან როჟე მარტინ დიუ გარის „ტიბოს ოჯახის“ თარგმანში მოცემული მყარი ენობრივი შედარება. „Les yeux bruns d' Hélène attiraient regard comme un aimant“ (R. Martin du Gard „Les Thibault“ (ელენეს ყავისფერი თვალები ანდამატივით იზიდავდნენ ჟერარს). (ნ. ქადეიშვილის თარგმანი). „... -vous êtes libres comme l' air“ (A. Dumas „Vingt ans après“) (ქარივით თავისუფალი ხარ). (თ. საჯაიას თარგმანი).

ასევე ენათშორის ექვივალენტობის შემთხვევას უნდა მივაწეროთ მყარი ენობრივი შედარება „libre comme oiseau“-ს ქართული თარგმანი „Il la sentait trop alerte, trop jeune, trop indifférente, trop libre, libre comme un oiseau“ (Maupassant). (მას ჰქონდა განსაკუთრებული სიმზნევის. ახალგაზრდობის, თავისუფლების, ფრინველვით თავისუფლების შეგრძნება) (თარგმანი ნ. ქადეიშვილისა).

ვფიქრობთ, რომ ასევე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოიშვა მყარი ენობრივი შედარებები „Obscur comme la nuit“ და „ლამესავით ბნელი“ და „blanc comme neige“ (თოვლივით თეთრი). „Elle a rendu blanc comme neige“. (P. Merimée, Chronique du reigne de Charles IX). „ის ბზინავდა თეთრად, როგორც თოვლი“ (ჭ. ხუნდაძის თარგმანი) „Oh! elle etait noir comme la nuit, mademoiselle“ (ო! ის ზომ ლამესავით შავია, ქალბატონო“. (A. Dumas, Vingt ans après). (თ. საჯაიას თარგმანი).

როგორც ვხედავთ, სავსებით შესაძლებელია სხვადასხვა ენებში ექვივალენტური მყარი ენობრივი შედარებების დამოუკიდებლად წარმოშობა. გარდა აღნიშნული შემთხვევისა, როდესაც მყარი ენობრივი შედარება შიდაენობრივ სისტემაში წარმოიშობა ყოველგვარი გარეგანი ფაქტორის გარეშე, მრავლადაა ნასესხობის შემთხვევები. ეს ნასესხობები, როგორც უკვე აღინიშნეთ, სხვადასხვა წყაროს უკავშირდება. ასე, მაგალითად, ბიბლიური წარმოშობისაა მყარი ენობრივი შედარებები, რომლებიც შევიდა როგორც ფრანგულში, ასევე - ქართულშიც.

„René sont incredule comme Thomas“. (R. Martin du Gard, Les Thibault). (რენე თომასავით ურწმუნოა). (ნ. ქაღიშვილის თარგმანი).

„Il suivait la jeune fille l' adorant comme une adole“ (E. Zola, Germinal). (ის ეთაყვანებოდა ქალიშვილს, როგორც კერპს). (ნ. ქაღიშვილის თარგმანი).

„La noblesse est comme l' âné de Buridan“. (L. Aragon. La semaine sainte). (კეთილშობილება ბურიდანის ვირივით არის). (ა. და ზ. ჭუმბაძეების თარგმანი).

„C' est vieux comme Adam“ (R. Roland, Jean-Christophe). (ეს ადამის ჟამისაა). (ო.ზაზაშვილისა და ნ. გუჯაბიძის თარგმანი).

„Au moins vous me resterez fidèle?- Traître comme Judas“ (E. Zola, Germinal). (ყოველ შემთხვევაში, თქვენ ჩემი ერთგული რჩებით? - გამცემი, როგორც იუდა (ნ. ქაღიშვილის თარგმანი)). უნდა აღინიშნოს, რომ გარდა სრული ექვივალენტებისა, რომლებიც ბიბლიურ წყაროსთან არიან დაკავშირებულნი, არის ისეთი ბიბლიური წარმოშობის მყარი ენობრივი შედარებები, რომლებიც მხოლოდ ფრანგულთანაა დაკავშირებული და ქართული მყარი ენობრივი შედარების სახით ექვივალენტი არ გააჩნია. ასე, მაგალითად: „Tirer l' épée comme saint Georges“ (A. Dumas, Vingt ans après) (დაშნას წმინდა გიორგივით ხმარობს) (თ. საჯაიას თარგმანი). ქართულში ცნობილია წმინდა გიორგის შუბი, იხმარება გამოთქმა „წმინდა გიორგიმ დარისხოს“, მაგრამ

არ არის გამოთქმა მისი ფარიკაობის ოსტატობასთან დაკავშირებით, თუმცა ქართველი მკითხველისათვის სრულიად გასაგებია სიტყვასიტყვითი თარგმანი, ვინაიდან ყველა ღირსებასთან ერთად, რომელიც წმინდა გიორგის უკავშირდება, ფარიკაობის ხელოვნებაც ადვილად შეიძლება მივაწეროთ მას, მით უმეტეს, რომ ასეც იყო.

ქართულში სიღარიბის აღმნიშვნელ მყარ ენობრივ შედარებათა პარადიგმაში არ არის აქტუალიზირებული ბიბლიური იობის სახე. ფრანგულმა შექმნა კონსტრუქცია „pauvre comme iob,“ რომელიც ქართულად ითარგმნა, როგორც „იობით გლახაკი“. გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით ა. დიუმას „ოცი წლის შემდეგ“ მთარგმნელმა საჭიროდ ჩათვალა მცირე განმარტების დართვა: „იობი - ბიბლიური ლეგენდის თანახმად პატრიარქი, რომელსაც დიდი სიმდიდრე გააჩნია და რომელიც გამოცდის მიზნით უფალმა მათხოვრად აქცია“.

ბიბლიურის გარდა სრული ექვივალენტობის წყაროს ანტიკურ სამყაროსთან დაკავშირებული მყარი ენობრივი შედარებები წარმოადგენს „...mais pourquoi, étant beau comme Adonis# (R. Martin du Gard, Les Thibault) (... მაგრამ რატომ, აღონისივით მშვენიერი არიან) (ნ. ქადეიშვილის თარგმანი).

„Figurez vous un homme de trente ans environ, de grande mine et de grande tournure, robuste comme Hercule “ (A. Dumas, Vings ans après) (წარმოიდგინეთ მამაკაცი დაახლოებით ოცდაათი წლის, მედიდური გამომეტყველებით, კარგად აგებული და ჰერაკლესავით ძლიერი) (თ. საჯაიას თარგმანი).

„Dés que l' amour devient jaloux, il a cent yeux comme Argus“ (R.Roland, Jean - Christophe) (როგორც კი სიყვარულს ეჭვიანობა შეეხება, მაშინვე არგუსივით ასი თვალი ჩნდება (ო.ხაზაშვილის თარგმანი).

ისევე, როგორც ბიბლიური წარმოშობის მყარ ენობრივ შედარებებში, ანტიკურობასთან დაკავშირებულ კონსტრუქციებშიც გვხვდება განსხვავებული, მხოლოდ ფრანგულისთვის დამახასიათებელი ერთეულები. ასე, მაგალითად, ქართულისთვის არ არის ტიპური ახალგაზრდობის, სიჭაბუკის ავრორასთან

შედარება, ფრანგულმა კი ასეთი შედარება მყარი ენობრივი შედარების რანგში აიყვანა. მიუხედავად ამისა, ქართველ მთარგმნელს სრულიადაც არ გასჭირვებია ექვივალენტის მოძებნა.

Clarisse (le regardant) - Jeune comme l' aurore, - cela est juste (R.Martin du Gard, Les Thibault), კლარისა (ისინი უყურებდნენ). - ნორჩი როგორც ავრორა - ყოველივე ეს ჭეშმარიტია. (ნ. ქაღვიშვილის თარგმანი). მიუხედავად მყარი ენობრივი ექვივალენტის უქონლობისა (ქართველი მკითხველისათვისაც სახელი ავრორა პრეცედენტულ სახელს წარმოადგენს) შედარება ადვილად გასაგებია და მთარგმნელს დამატებითი კომენტარები არ სჭირდება.

საკმაოდ დიდაა რაოდენობა მყარი ენობრივი შედარებებისა, რომლებიც ძველი სამყაროს პრეცედენტულ სახელებთანაა დაკავშირებული, რაც განაპირობებს საერთო წარმომავლობის ერთეულების არსებობას ფრანგულსა და ქართულში. ასე, მაგალითად, „Il est riche comme un Crésus“ (A.Dumas, Vings ans après) (კრეზივით მდიდარია) (თ. საჯაიას თარგმანი) ან „Il est vieux comme Mathusalem“ (A.Dumas, Vingt ans après) (ის მათუსალას ასაკისაა) (თ. საჯაიას თარგმანი). მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელი იყო სრული ექვივალენტის, „მათუსალასავით მოხუცია“. მთარგმნელმა სამართლიანად ამჯობინა სტილისტური უფრო მოქნილი ვარიანტი „მათუსალას ასაკისაა“.

„Ah! monsieur l' officier, peut-on dire! s' ecia Friquet, je cherchais le gentilhomme auquel appartient ce cheval, un beau cavalier. brave comme un César “ (A.Dumas, Vingt ans après) (ოჰ, ბატონო ოფიცერო! იცით რა, მე ვეძებდი ჯენტლმენს, რომელსაც ეს ცხენი ეკუთვნოდა, მამაცს მხედარს, მამაცს როგორც კეისარი). ანტიკურ სამყაროსთანაა აგრეთვე დაკავშირებული მყარი ენობრივი შედარებები „épée de Damoclés“ და „les moutons de Panurge“. le gouvernement nous persécute, et l' absurde législation qui nous régit est comme une véritable épée de Damoclés suspendus sur notre tête# (G.Flaubert, Madame Bovary) (მთავრობა მოსვენებას არ გვაძლევს, ეს

სულელური კანონები, რომელთაც ვემორჩილებით, დამოკლეს მახვილივით ჰკიდა ჩვენს თავზე). (იხ. ა.ჭუმბაძის თარგმანი).

„Les critiques, de nos jours, sont plus ou moins comme les moutons de Panurge“. (R.Martin du Gard, Les Thibault). (თანამედროვე კრიტიკოსები მეტ-ნაკლებად პანურგის ცხერებივით არიან) (ნ. ქადეიშვილის თარგმანი).

როგორც ცნობილია, დიდა ფრანგული ლიტერატურის პოპულარობა მთელ მსოფლიოში, რამაც განაპირობა ფრანგული კულტურისათვის დამახასიათებელი მრავალი პრეცედენტული ტექსტის გავრცელება სხვა კულტურებში. ფართოდაა ცნობილი ისეთი მხატვრული და ისტორიული პერსონაჟები, რომელთა ნიშან-თვისებები განზოგადებას ექვემდებარება. ასე მაგალითად, გობსეკი მრავალი ქვეყნის მკითხველისათვის სიძუნწისა და ხელმოჭერილობის სიმბოლოა, გარგანტუა - ღორმუცელობის, მონტე-კრისტო - ზღაპრული სიმდიდრის, ნაპოლეონი - ამბიციურობის და ა.შ. აღნიშნული პრეცედენტული სახელების ბაზაზე წარმოიშვა მყარი ენობრივი შედარებები, რომლებიც, ფაქტიურად, მზა სახით შევიდა სხვადასხვა ენაში, მათ შორის - ქართულშიც. ქართველი მკითხველისთვის სავსებით გასაგებია შედარებები „Riche comme Monté-Cristo“, „Avere comme Gobsek“, „Ambitieux comme Napoléon“ (შესაბამისად - მონტე-კრისტოსავით მდიდარი, გომსეკივით ხარბი, ნაპოლეონივით პატივმოყვარე), რაც თარგმნის პროცესში არავითარ პრობლემას არ ქმნის. აღნიშნული პერსონაჟები ფრანგული კულტურის ფარგლებს გაცდნენ და მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში დიმიკვიდრეს ადგილი, რამაც ადვილი გახდა მათი კონოტაციური ველის გაგება და გადმოტანა სხვა კულტურებში.

აღნიშნულ ვკუფუში, რომელიც, მაქსიმალურ ფორმალურ-სემანტიკურ ექვივალენტებს მოიცავს, ძალზე საინტერესოდ მიგვაჩნია ისეთი მყარი ენობრივი შედარებების გამოყოფა, რომლებიც ჩვენი აზრით, განსახილველ ენებში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოიშვა და რომლებიც, შესაძლებელია, ზოგად უნივერსალიას წარმოადგენენ. ადამიანები თავისი მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკული საქმიანობის პროცესში გამოყოფენ და აფიქსირებენ ამა თუ იმ

მოვლენისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს. ვინაიდან სამყაროს მოვლენები უმეტეს შემთხვევაში საერთოა სხვადასხვა კულტურის ადამიანებისათვის, შესაძლებელია მათი თვისებების მსგავსი ან ერთნაირი დანახვა, რასაც მყარი ენობრივი შედარებების მაგალითიც ადასტურებს. ძნელია არ დანახო რობოტების მოქმედების ავტომატიზმი, რაც ადამიანთან მიმართებაში ნიშნავს ერთფეროვან და გაუაზრებელ მონოტონურ საქმიანობას. ამასთან დაკავშირებით ფრანგულმაც და ქართულმაც შექმნა მყარი ენობრივი შედარება: „Comme une automate“, „(ვიდაც) ავტომატივით (არის, მოქმედებს).“ ასევე უნივერსალურია ისეთი მყარი ენობრივი შედარებები, როგორიცაა „Bleu comme le ciel“ ან „Bleu comme le mer“, შესაბამისად „ცასავით ლურჯი“ ან „ზღვასავით ლურჯი“. უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგული „Bleu“-ს ექვივალენტად, რომელიც აღნიშნავს როგორც ლურჯს, ასევე ცისფერს, ქართულში ორი ლექსემა შეიძლება მოიაზრებოდეს.

მოვიყვანო მყარი ენობრივი შედარებების, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვა შესაბამის ენებში, ფრანგულიდან ქართულში გადმოტანის შემთხვევებს.

„...elle y pleura comme un enfant“ G.Flaubert, madame Bovary - ის (ემა) ბავშვივით ტიროდა (ა. ჭუმბაძის თარგმანი).

„Vous parlez comme un enfant“ (Th. Gautier, Le Capitaine Fricasse), „შენ ბავშვივით ლაპარაკობ“ (ლ. აპრესოვის თარგმანი).

„La nuit etait noire comme dans un tunnel“ (R.Martin du Gard, Les Thibault) „ღამე გვირაბით ბნელი იყო“ (ნ. ქადეიშვილის თარგმანი).

„Haut comme une montagne et rapide comme un train“ - (Maupassant, Pierre et Jean) „მთასავით მაღალი და მატარებელივით სწრაფი“ (ნ. ქადეიშვილის თარგმანი).

„Nous marchons comme des escargots“ (G.Flaubert, Madame Bovary) „ჩვენ ლოკოკინასავით მივლოდავთ“ (ა. ჭუმბაძის თარგმანი).

„M.Aubriot rougissait comme une jeune fille“ (A.Theriet, Au Paradis des enfants) „ობრიო ქალიშვილივით გაწითლდა“ (ლ. აპრესოვის თარგმანი)

„Tu es capricieux comme une jolie femme“ (შენ ლამაზი ქალივით ჭირვეული ხარ) (ლ. აპრესოვის თარგმანი) (E.Sue, Les mystères de Paris).

„Il est têtue comme un âne“ (G. Flaubert, Madame Bovary) (ის ვირივით ჯიუტია) (ა. ჭუმბაძის თარგმანი).

„Il était gros comme un cochon“ (G.Martin du Gard, Les Thibault) (ის ღორივით სქელი იყო) (ნ. ქადეიშვილის თარგმანი)

„Je grimpais aux arbres comme un chat.“ (R.Martin du Gard, Les Thibault) (მე ხეზე კატასავით ვცოცავ).

„c' est vrai comme deux et deux font quatre.“ (Maupassant, Pierre et Jean) (ეს მართალია, როგორც ორჯერ ორი ოთხი) (ნ. ქადეიშვილის თარგმანი).

მოყვანილი მაგალითები, რომლებიც მცირე ნაწილს წარმოადგენს მყარი ენობრივი შედარებებისა, რომლებიც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოიშენენ ფრანგულსა და ქართულში, თარგმანის ტექნოლოგიის თვალსაზრისით სრულიად მარტივ შემთხვევას წარმოადგენენ; ამრიგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირველი ჯგუფი, რომელსაც სრული თორიალურ-სემანტიკური ექვივალენტები შეადგენენ, მიუხედავად მასში შემავალი ტიპების განსხვავებული გენეზისისა, თარგმანის ხერხების თვალსაზრისით და ექვივალენტობის ტიპის მიხედვით ერთგვაროვანია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახეზეა ექვივალენტობის ისეთი ხარისხი, როდესაც ფრანგულ მყარ ენობრივ შედარებებს ქართულში რეგულარული შესატყვისები მოეპოვებათ. მიზეზები ასეთი რეგულარულობისა არაერთგვაროვანია. ადგილი აქვს როგორც ნასესხობას საერთო წყაროდან (ბერძნულ-რომაული მითოლოგია, ძველი სამყაროსა და შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ისტორია და ა. შ.), ასევე - ფრანგული ლიტერატურიდან (უშუალოდ). ამასთანავე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბევრი ფრანგული მყარი ენობრივი შედარება, რომელთაც სრული ფორმალურ-სემანტიკური ექვივალენტი გააჩნია ქართულში, ორივე ენაში ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლად წარმოიშვა. აღნიშნული მაგალითები, რომლებიც მთარგმნელობითი მოღვაწეობის თვალსაზრისით საკმაოდ იოლ შემთხვევას წარმოადგენენ, მყარი ენობრივი

შედარების გადმოცემის მხოლოდ ერთ-ერთ ნაირსახეობას შეადგენენ გადავიდეთ უფრო რთულ შემთხვევებზე

II. მყარი ენობრივი შედარებები შინაარსობრივად პარალელური მყარი ენობრივი ექვივალენტებით

აღნიშნულ ჯგუფში შევიტანეთ ის შემთხვევები, როდესაც ფრანგული მყარი ენობრივი შედარებები გადმოცემულია ქართულ ენაზე პარალელური ექვივალენტით, ანუ შინაარსობრივად და, გარკვეულწილად, სტრუქტურულად მსგავსი მყარი ენობრივი შედარებით, მაგრამ განსხვავებული ლექსიკური შემადგენლობით და, შესაბამისად, განსხვავებული პოეტური სახით. მაგ. „Être connu comme le loup blanc“. ექვივალენტად (თეთრი მგელივით ყველა იცნობს). ქართულში მყარი ენობრივი შედარება „თეთრი ყვავივით არის“ გვევლინება. ამ ორ მყარ შედარებას შინაარსობრივი ექვივალენტობის გარდა სტრუქტურული მსგავსებაც გააჩნიათ. აღნიშნული ტიპის მყარი ენობრივი შედარებები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლექსიკური შემადგენლობით განსხვავდებიან. ლექსიკური შემადგენლობის განსხვავება, რომელიც პოეტურ სახეში განსხვავებას წარმოშობს, მხატვრული ტექსტის თარგმნისას გარკვეულ პრობლემებს ქმნის. ეს უპირველეს ყოვლისა ეხება ზემოქმედების ეფექტს, რომელსაც მხატვრული სიტყვა მკითხველზე ახდენს და რომლის გადმოცემაც, შინაარსობრივ მხარესთან ერთად, მთარგმნელის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. ზოგიერთ შემთხვევაში არსებობს პარალელურ ვარიანტთა მთელი სერია, რომლიდანაც უნდა მოხდეს ექვივალენტის (პრაგმატულ - ესთეტიკური ფაქტორების გათვალისწინებით) შერჩევა. ასე მაგალითად, „გაქცევას“ ფრანგულში მყარი ენობრივი შედარებების რიგი აღნიშნავს: „S' enfuir comme un lièvre“ (კურდღელივით მოუსვა (გაიქცა), „S' enfuir comme si on avait le feu à ses trouses“ (გაიქცა, თითქოს ეშმაკი ფეხდაფეხ მისდევდა), „S' enfuir comme si on avait le diable au derrière“ (ის გარბოდა, თითქოს უკანალი ეწვოდა), „S'

enfuir comme un préteux“ (გარბოდა, როგორც მშიშარა), „S' enfuir comme un voleur“ (ქურდივით უჩუმრად გაიპარა), „Filer comme un dard“ (შუბივით გაიქროლა), „Filer comme le vent“ (ქარივით გაიქროლა), „Filer comme un zebra“ (ზებრასავით გაიქცა), „Se sauver comme un fou “ (გიჟივით გავარდა). გარდა ინტეგრალური სემისა „გაქცევა“ აღნიშნულ კონსტრუქციებს აერთიანებს დამოკიდებულება ამ სემასთან. უნდა ითქვას, რომ სწორედ ამ დამოკიდებულებიდან იწყება განსხვავებული ხედვა. ერთ შემთხვევაში გამოხატულია მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება („S enfuir comme un lievre“ „S enfuir comme un préteux,“ „S enfuir comme un voleur“), მეორე შემთხვევაში აქცენტირებულია კომიკური მხარე - „Filer comme un zebra“, მესამეში ყურადღება გამახვილებულია მოძრაობის სისწრაფეზე „Filer comme un dard“, მეოთხეში ხაზგასმულია მოქმედების გაუაზრებლობა „Se sauver comme un fou“. როგორც ვხედავთ, აღნიშნული მყარი ენობრივი შედარებები შინაარსობრივი სიახლოვის მიუხედავად მკვეთრად განმხვავდებიან სტილისტურად. ეს სტილისტური განსხვავება მხატვრული ტექსტის სტრუქტურაში თავისებურ როლს თამაშობს და ტექსტის შინაარსის ინტერპრეტაციის პროცესში უნდა იქნას გათვალისწინებული. ასე, მაგალითად, ქართველ მთარგმნელს, რომლის არსენალშიც შედის „გაქცევის“ კონცეპტთან დაკავშირებული მყარი ენობრივი შედარებების პარადიგმატური ვარიანტები („კურდღელივით გაიქცა“, „თავქულმოგლეჯილი გაიქცა“, „გიჟივით გავარდა“, „უკანმოუხედავად გარბოდა“, „შურდულივით გავარდა“, „კუდამოძუებული გარბოდა“, „ნიშადურამოსმულივით გარბოდა“, „გველნაკბენივით გარბოდა“, „გარბოდა, თითქოს დეპეშა მიჰქონდეს“, „გარბოდა, თითქოს მგლის ხროვა მისდევდა“), სრულიად უპრობლემოდ შეუძლია შეარჩიოს სტილისტურად მსგავსი ვარიანტები „S' enfuir comme un lievre“ „კურდღელივით გარბოდა“ ან „S' enfuir comme voleur“ „ქურდივით უჩუმრად გაიპარა“ და ა. შ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვარიანტების არჩევას უპირველეს ყოვლისა თვით ტექსტის შინაარსობრივი სტრუქტურა და ზოგადი ტონალობა განსაზღვრავს.

ჩვენ მიერ მოპოვებული მასალა საკმაოდ საინტერესოა და შესაძლებლობას იძლევა ფრანგული მყარი ენობრივი შედარებების ქართული შინაარსობრივად პარალელური მყარი ენობრივი ექვივალენტების შერჩევის შემთხვევებს მივაღწეოთ თვალი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთი ნაწილობრივ ექვივალენტური მიმართება ისეთ შემთხვევებში გვაქვს, როდესაც შინაარსობრივი მსგავსება ლექსიკურად განსხვავებული სტრუქტურებით გადმოიცემა, ასეთი ექვივალენტობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ მყარი ენობრივი შედარება ასევე მყარი ენობრივი შედარებით უნდა გადმოიცეს. უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავება ორიგინალსა და თარგმან შორის მყარი ენობრივი შედარებების ლექსიკურ შემადგენლობაში შიდაენობრივ კონოტაციებს უკავშირდება, რაც, თავის მხრივ, მთარგმნელისგან შესაბამისი ემოციური მუხტის შენარჩუნებას მოითხოვს. ასე, მაგალითად, რ. როლანის „ჟან კრისტოფში“ ვხვდებით შემდეგ ფრაზას „Cristophe s' extasie, la bouche pleine et mangeant comme un coucou“ (კრისტოფს პირი ამოტენილი ჰქონდა საჭმლით და დამშეული გუგულივით ყლაპავდა) (ო.ხახაშვილი, ნ. გუჯაბიძის თარგმანი). განსხვავებით ფრანგებისგან, რომელთათვისაც გუგულის აღნიშნული მოქმედება ენობრივი ცნობიერების ფაქტს წარმოადგენს, ქართველთა უმეტესობისთვის მსგავსი მოქმედება ინდაურთან ან ღორთან არის დაკავშირებული. მიუხედავად შინაარსობრივი მსგავსებისა, ფრანგული „avoir manger comme un coucou“ სტილისტურად განსხვავდება ქართული ვარიანტებისგან (ინდაურივით გადაყლაპა ან ღორივით შთანთქა), რამაც მთარგმნელს უბიძგა ფრანგული მყარი ენობრივი შედარების კალკირებისკენ. ამის შესაძლებლობას იძლეოდა აგრეთვე კონსტრუქციის შინაარსობრივი გამჭვირვალობა.

ფრანგული კულტურის სპეციფიკას მისი მყარი ენობრივი შედარებებიც ქმნის: ტიპურ ფრანგულ კონსტრუქციას წარმოადგენს „avoir des jambes comme des flûtes“ („ფლეიტასავით წერილი ფეხები აქვს“). ქართული ენის მატარებლისთვის ფეხის სიწვრილის დაკავშირება ფლეიტასთან საკმაოდ არატიპურია. მის არსენალში მოიპოვება სიგამხდრის გამომხატველი ისეთი მყარი ენობრივი

შედარებები, როგორცაა, „ჩხირივით“, „ჩონჩხივით“, „კაკლის საბერტყი ჯოხივით“, მოწუწუნულ მომპასივით“, „ასანთის ღერივით“, და ა, შ, , თუმცა არც ერთი მათგანი თავისი სტილისტური შეფერილობით ბოლომდე არ შეესაბამება ფრანგულ კონსტრუქციას. როდესაც ბალზაკის „შაგრენის ტყავის“ მთარგმნელი შეეცადა ტექსტის შემდეგი მონაკვეთის თარგმნას „... son pauvre jambes est maigre comme de flûtes “ (Balzac, La Peau de chagrin), მის განკარგულებაში იყო ყველა ზემოთ მოყვანილი ალტერნატიული ვარიანტი, მაგრამ მან ჩათვალა მიზანშეწონილად ფრანგული მყარი ენობრივი შედარების კალკირება „მისი საბრალო ფეხები ფლეიტებივით წვრილი იყო“ (თარგმანი გ. ქიქოძის). მყარი ენობრივი შედარებების კალკირების ორი ზემოთ მოყვანილი შემთხვევა, ბუნებრივია, არ განიხილება ჩვენს მიერ, როგორც შინაარსობრივად პარალელური მყარი ენობრივი ექვივალენტებით ჩანაცვლება. მსგავსი შემთხვევები გვიჩვენებენ, შინაარსობრივი ექვივალენტობის არსებობის დროსაც ხდება ქართული პარადიგმატული ვარიანტების ნაცვლად ფრანგული კალკის გამოყენება. სავარაუდოა, რომ ასეთ ჩანაცვლებას ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეული სტილისტური ეფექტი გააჩნია. ეს, უპირველეს ყოვლისა, სიახლის შეგრძნებას უკავშირდება. ასეთ შემთხვევებში აუცილებელია კალკირებული მყარი ენობრივი შედარება შინაარსობრივად გასაგები იყოს ქართველი მკითხველისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ეფექტურობა ეფექტიანობის ხარჯზე ხდება, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იკარგება შინაარსობრივი კავშირი ორიგინალთან, რაც თარგმნის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი და აუცილებელი პირობაა.

გარდა კალკირების შემთხვევებისა, რომლებიც ჩვენ გარკვეული მოსაზრებებით მოვიყვანეთ, | მყარი ენობრივი შედარებების ჩანაცვლება ძირითადად შინაარსობრივად პარალელური მყარი ენობრივი შედარებებით ხდება. უფრო მეტიც, როგორც ემპირიული მასალა გვიჩვენებს, უმეტესწილად სწორედ ასეთ ჩანაცვლებას აქვს ადგილი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვაობა ორიგინალსა და მის ქართულენოვან შესატყვისს შორის ძირითადად ლექსიკურ ერთეულებში ვლინდება. ასე, მაგალითად, ფრანგული მყარი ენობრივი შედარების „se battre

comme des chiffonniers” (ჩხუბობენ როგორც, მეფართლები) ქართულ თარგმანში შეესაბამება ვარიანტები „ჩხუბობენ, როგორც ძალლი და კატა“, „როგორც რძალი და დედამთილი“, „როგორც ძალები ძელისთვის“ და ა. შ. ონორე დე ბალზაკის გ. ქიქოძისეულ თარგმანში აღნიშნული მყარი ენობრივი შედარების ექვივალენტად მოყვანილია „როგორც ბაზრის ქალები“. „Et puis, ils (les chefs des Deux-Roses) se sont battus comme des chiffonniers” (Balzac, Le Cousin Pons) (შესაძლებელია, ისინი (დეროზის შეფები) ბაზრის ქალებით ჩხუბობენ) (გ. ქიქოძის თარგმანი).

ასევე მყარი ენობრივი შედარებით ხდება ფრანგული მყარი ენობრივი შედარების გადმოტანა: „regarder comme une brute” (საქონელივით (უაზროდ) ყურება); (...Quand vous me regarderez comme une brute) (Balzac, Le Cousin Pons) (... როდესაც შენ ღლავივით პირდაფრენილი შემომყურება) (გ. ქიქოძის თარგმანი). აღნიშნული შემთხვევა ზემოთმოყვანილისაგან განსხვავდება იმით, რომ ადგილი აქვს სრულიად განსხვავებული მხატვრული სახის გამოყენებას, მაშინ, როდესაც პირველ შემთხვევაში მხოლოდ ლექსიკური ელემენტით არიან განსხვავებულნი ორიგინალისა და თარგმანის მყარი ენობრივი შედარებები.

მოვიყვანო კიდევ რამდენიმე მაგალითს მყარი ენობრივი შედარებების შესაბამისი პარალელური მყარი ენობრივი შედარებებით ჩანაცვლებისა. ჭარბი პატივმოყვარეობა, გაბღენძილობა ქართულში ინდაურთან არის ასოცირებული, ფრანგულში ყველაზე ხშირად ვირს უკავშირდება, რაც ქართველისთვის სრულიად გაუგებარია. მისთვის ვირი სიჯიუტის, სიბრიყვის სინონიმი შეიძლება იყოს და არავითარ შემთხვევაში - პატივმოყვარეობის და გაბღენძილობის. სწორედ ამან განაპირობა ფრანგული მყარი ენობრივი შედარების ჩანაცვლება ქართული პარალელური ფორმით.

.... sérieux comme des ânes qu' on étrille” (Balzac, Le père Goriot) (გაბღენძილი, როგორც ვირი, რომელსაც საფხეკით წმენდენ). ქართულ თარგმანში

ჩვენ გვაქვს „გაბლენძილი, როგორც ინდაური“ (ა. ცაგარელისა და კ. ჯავრიშვილის თარგმანი).

მყარი ენობრივი შედარების მყარი ენობრივი შედარებით ჩანაცვლება ხდება შემდეგ შემთხვევაში: „Ce n'est pas pour nous regarder comme deux chiens de faïence...“ (არ არის საჭირო ერთმანეთს შუშის თვალებიანივით ვუყურებდეთ) (ა. ცაგარელისა და კ. ჯავრიშვილის თარგმანი).

განსხვავებული სახის მყარი ენობრივი შედარებითაა გადმოცემული ფრანგული მაგალითი „La langue lui comme un traquet de moulin“ (ენა სარეკელასავით არაკუნებს). „Madame, Il ne fait rien que conter des sornettes; La langue tout le jour, lui va comme un traquet“ (Maupassant, Nuit de Noël) (ქალბატონო, ის სისულელეების მოყოლის გარდა არაფერს აკეთებს. მთელი დღე ერთ ზურგს იფხანს) (ნ. ქაღვიშვილის თარგმანი).

ასევე, მყარი ენობრივი შედარება „როგორც მე ჩინურში“ გამოყენებულა ფრანგული „s' entendre a qch comme une truière à dévider de la soie“ (ერკვევა, როგორც ღორი აბრეშუმის ვორგლის დაშლაში) ენობრივი შედარების სანაცვლოდ.

„Il parle de peinture! Il s' y entend comme une truière à dévider de la soie“ (Maupassant, Nuit d Noël) (ის ლაპარაკობს მხატვრობაზე! რომელსაც იმდენივე ესმის ამაში, როგორც მე ჩინურში!) (ნ. ქაღვიშვილის თარგმანი).

ბუნებრივია, რომ მყარი ენობრივი შედარების ჩანაცვლება შესაბამისი ერთეულით საკმაოდ ეფექტური ხერხია, მაგრამ, როგორც მთარგმნელობითი პრაქტიკა ადასტურებს, ხშირად ადგილი აქვს ორიგინალის სტილისტური და პრაგმატული მნიშვნელობების გაუთვალისწინებლობას, რაც თარგმანის ხარისხზეც აისახება.

ასე, მაგალითად, რომენ როლანის „ჟან-კრისტოფის“ პერსონაჟის ოლივიეს მიერ ნათქვამი ფრაზის „c' est difficile comme d' envoyer le diable à contesse“ (ეს რთულია, როგორც ეშმაკის აღსარებაზე გაგზავნა) (Rolland, Jean-Cristophe) ქართული თარგმანი „ეს ლობიოს ჭამა არ გევინებს“ (ო.

ხახაშვილისა და ნ. გუჯაბიძის თარგმანი) სრულიად მართებულად ბაღებს პროტესტის გრძნობას, გარდა იმისა, რომ ფრანგი ადამიანის ბაგეთაგან სრულიად არაბუნებრივად ჟღერს ლობიოს ცნებასთან დაკავშირებული მყარი ენობრივი შედარება, განსხვავებულია აგრეთვე შესადარებელ კონსტრუქციათა სტილისტური შეფერილობაც. მყარი ენობრივი შედარების „ლობიოს ჭამა არ გეგონოს“ სტილისტური შეფერილობა არც თუ ისე მაღალ წარმოდგენას გვიქმნის იმ პიროვნებაზე, რომელიც მას იყენებს, მაშინ, როდესაც ორიგინალში გამოყენებული „c' est difficile comme d' envoyer le diable à contesse“ პერსონაჟის მეტყველების კულტურას ასახავს.

ასეთივე სტილისტურ შეუსაბამობას აქვს, ჩვენი აზრით, ადგილი შემდეგ შემთხვევაში: „Il a rigolé comme un peigne“ (Balzac, La Cousine Bette) (სავარცხელივით იცინის; ანუ ყველა კბილს აჩვენებს) ქართულად თარგმნილია, როგორც „ყველის ვაჭარივით იკრიჭება“ (ლ. აპრესოვის თარგმანი). მიუხედავად შინაარსობრივი მსგავსებისა - ორივე შემთხვევაში განისაზღვრება სიცილის მანერა - ქართული თარგმანი სტილისტურად საკმაოდ მოუხეშავია ტექსტის მოცემული მონაკვეთის საერთო სტილისტიკისგან გამომდინარე. ორიგინალში ხაზგასმულია გადაჭარბებული სიხარული, რომელიც გაცინების თავისებური მანერით ვლინდება, მაგრამ არ არის ის დამცინავი, გამაქლიკებელი კონოტაცია, რომელიც ფრაზას „ყველის ვაჭარივით იცინის“ გააჩნია. მიუხედავად ცალკეული უზუსტობისა, მყარი ენობრივი შედარების ასევე მყარი ენობრივი შედარებით ჩანაცვლება ოპტიმალურად გვეჩვენება. ფრანგული მყარი ენობრივი შედარების „manger comme un maçon“-ის ქართული ჩანაცვლების შემდეგი შემთხვევა: „Il (Melchior) mangeant comme un maçon“ (R.Rolland, Jean-Christophe) (ის ქვისმთლელივით ჭამს) რომელიც თარგმნილია, როგორც „ყანიდან მოსული გლეხივით ჭამს“ (ო. ხახაშვილისა და ნ. გუჯაბიძის თარგმანი) ნათელი მაგალითია ამისა. როგორც ვხედავთ, შინაარსობრივად ეს ორი მყარი ენობრივი შედარება საკმაოდ ახლოსაა, ორივე შემთხვევაში საუბარია მძიმე ფიზიკური შრომის შედეგად გამოწვეული შიმშილის ძლიერი გრძნობის ინტენსიურად

დაკმაყოფილებაზე. ის ფაქტი, რომ ერთ შემთხვევაში გვაქვს აღნიშნული ლექსემა „ქვისმთლელი“ და მეორეში „გლეხი“ (ყანიდან მოსული) ხელს არ უშლის აღნიშნულ კონსტრუქციათა ტექსტობრივ ექვივალენტობას.

მყარი ენობრივი შედარებების ასევე მყარი ენობრივი შედარებებით ჩანაცვლების ეფექტურობის კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არ წარმოადგენს ჩვენს მიზანს. ჩვენ მხოლოდ გამოვყავით მყარი ენობრივი შედარების თარგმნის ერთ-ერთი ტიპი და მოვიყვანეთ მაგალითები აღნიშნული ხერხის ადეკვატური და არაადეკვატური გამოყენებისა. ემპირიულმა მასალამ დაგვარწმუნა, რომ უმეტეს შემთხვევაში შესაძლებელია ქართულ ენაში შესაბამისი მყარი ენობრივი შედარების მოძიება. ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ არსებობს მთელი რიგი მყარი ენობრივი შედარებებისა, რომელთაც სხვადასხვა მიზეზით ქართულ თარგმანებში მყარი ენობრივი შედარება არ შეესაბამება. ეს გამოწვეულია როგორც ეთნოკულტურული სპეციფიკით, რაც ზოგიერთ მყარ ენობრივ შედარებას ახასიათებს და ინტრაკულტურული ფუნქციონირებისათვის არის გათვალისწინებული, ასევე - შიდატექსტობრივაც, როდესაც ამა თუ იმ ფორმის არჩევას ტექსტის თავისებურება, მისი პრაგმატული ინტენცია განსაზღვრავს და განაპირობებს. მესამე ჯგუფი, რომელიც ფრანგული ენის მყარი ენობრივი შედარებების გადმოცემის შესწავლის შედეგად გამოვყავით, უთარგმნელობისა და სხვა დონის ენობრივი ერთეულებით გადმოცემის შემთხვევებს მოიცავს. ვნახოთ, რა შემთხვევები განაპირობებენ ამგვარ მიდგომას.

III მყარი ენობრივი შედარებების არამარკირებული ერთეულებით, ანუ თავისუფალი გადმოცემა

აღნიშნული ჯგუფი წინა ორი ჯგუფისაგან იმით განსხვავდება, რომ მყარი ენობრივი შედარება განსხვავებული დონის ერთეულებით გადმოიცემა და არა მყარი ენობრივი შედარებებით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამის მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ორი

ძირითადი ფაგუფი გამოგვეყო: ა). ეთნოკულტურული სპეციფიკით გამოწვეული შემთხვევები და ბ). ტექსტობრივად განპირობებული შემთხვევები. განვიხილოთ მყარი ენობრივი შედარებების გადმოცემის აღნიშნული ტიპები:

ა) ეთნოკულტურული პრობლემები მყარი ენობრივი
შედარებების გადმოცემისას

გარდა იმ პრეცედენტული სახელებისა და ტექსტებისა, რომლებიც ფრანგული კულტურის ფარგლებს გასცდნენ და თავისებურ პრეცედენტულ ინტერნაციონალიზმებად იქცნენ (ნაპოლეონი, გარგანტუა, გობსეკი და ა. შ.), საკმაოა იმ პრეცედენტული ტექსტების რიცხვი, რომლებიც შიდა ფრანგულ კულტურას ემსახურებიან. იგივე შეიძლება ითქვას ზოგიერთი ფრანგული მყარი ენობრივი შედარებების შესახებ, რომლებიც მხოლოდ ფრანგული კულტურის კონტექსტშია გასაგები. ასე, მაგალითად, მყარი ენობრივი შედარება „Faire comme le chien de Cadet Rousselle“ (კადე რუსელის ძაღლივით მოქცევა) გულისხმობს ვინმესთან შეხვედრისგან თავის არიდებას. იმ შემთხვევაში, თუ მთარგმნელი გამოიყენებდა კალკას „კადე რუსელის ძაღლივით მოქცევა,“ ქართველი მკითხველისათვის სრულიად გაუგებარი იქნებოდა ფრაზის შინაარსი, ვინაიდან მისთვის უცნობია მისი პრეცედენტული მნიშვნელობა. ფრანგული კულტურის წარმომადგენლისათვის ცნობილია, რომ ეს იყო ერთ-ერთი სიმღერის პერსონაჟი, რომელიც თავისი სისულელით იყო განთქმული. მას ჰყავდა ძაღლი, რომელიც პატრონის მსგავსად დიდი უცნაურობით გამოირჩეოდა: როდესაც ეძახდნენ, საწინააღმდეგო რეაქცია ჰქონდა და გარბოდა. მთარგმნელმა ჩათვალა, რომ აზრი არ ჰქონდა არც კალკირებას და არც მყარი ენობრივი ექვივალენტის მოძიებას ქართულში კონსტრუქციის სპეციფიკურობის გამო. ამიტომ მან მყარი ენობრივი შედარება გადმოსცა როგორც: ყველაფერს უკულმა აკეთებდა (G.Simenon, Le Fond de la bouteille) (ნ. აპრესოვის თარგმანი).

სირთულეს წარმოადგენდა აგრეთვე ფრანგული მყარი ენობრივი შედარების „Arriver comme les pompiers de Nanterre“ (ნანტერელი მეხანძრეებივით გამოჩენა), ბუნებრივია, ქართველი მკითხველისათვის არ არის ცნობილი ნანტერელი მეხანძრეების ქცევა. შეიძლება ვივარაუდოთ როგორც სიმაძაქვე, თავდადება, გმირული შემართება, ასევე - სიზარმაძე, სიმხდალე, მოუწესრიგებლობა და ა. შ. ფრანგისთვის ასეთი გაურკვეველობა არ არსებობს, ვინაიდან მან კარგად იცის, რომ გამოთქმის პრეცედენტული მნიშვნელობა გულისხმობს დაგვიანებას, მოსვლას მაშინ, როდესაც ხანძარი დამთავრებულია. ქართული შესატყვისობა შესაძლებელია იყოს „როცა ურემი გადაბრუნდება“, მაგრამ ამ შემთხვევაში აქცენტირებულია დაგვიანების სემა. ლოგიკური მახვილი მოქმედების შეფასებაზე გადატანილი, მაშინ, როდესაც ორიგინალში პიერ კინოსა და ნანტერელი მეხანძრეების იდენტიფიკაციაა მთავარი.

T'arriver (Pierre Quinaud) comme les pompiers de Nanterre“ (შენ ნანტერელი მეხანძრესავით გამოჩნდი). ვინაიდან პირდაპირი თარგმანი გაურკვეველობას გამოიწვევდა, მთარგმნელი გვთავაზობს მყარი ენობრივი შედარების თავისუფალ გადმოცემას. „შენ ყოველთვის უდროოდ დროს გამოჩნდები ხოლმე“ (ლ. აპრესოვის თარგმანი).

ქართველი მკითხველისათვის სრულიად გაუგებარია ფრანგული მყარი ენობრივი შედარების „S' en moquer comme de l' an quarante“ (რამეზე, როგორც მეორმოცე წელზე სიცილი). საინტერესოა, რომ თვით ფრანგ მკვლევრებს არ გააჩნიათ ერთნაირი აზრი ამ გამოთქმის წარმოშობაზე. პირველი ვერსია მას 1040 წელს უკავშირებს, როდესაც გამოცხადებული იყო სამყაროს დასასრული. ვინაიდან ასე არ მოხდა, ხალხი დასცინოდა ამ თარიღს. მეორე ვერსია საფრანგეთის რევოლუციას უკავშირდება, რომელიც მოწინააღმდეგეთა აზრით ორმოც დღესაც ვერ გაძლებდა. მესამე ვერსია მწერალ ლუი სებასტიან მერსიესთან არის დაკავშირებული, რომლის წიგნის მოქმედება 2040 წელს ხდება. მომავლის საზოგადოება მკითხველის და კრიტიკის საგანი შეიქნა და ამან განაპირობა ირონიული დამოკიდებულება „40“ წელთან.

მოუხედავად იმისა, რომ არც ერთი მოყვანილი ვერსია ბოლომდე არ გვაკმაყოფილებს, თვით მყარი ენობრივი შედარება შეიძლება განვმარტოთ, როგორც რაიმე უაზრობის დაცინვა.

აღნიშნული გამოთქმის თარგმნისას მთარგმნელმა გამოიყენა არამარკირებული თავისუფალი კონსტრუქცია „სრულიად სულერთია“ *Je me soucie d' Ursule comme d' Ursule comme de l' an quarante* (Balzac, *Ursule Mirouëf*) (ურსულა სრულიად სულერთია ჩემთვის) (ლ. აპრესოვის თარგმანი)

ასევე არაპრეცედენტულია ქართველი მკითხველისათვის ფრანგული მყარი ენობრივი შედარება „gai comme Roger Bontemps“ (მხიარული, როგორც როჟე ბონტანი). აღნიშნული პერსონაჟი ბერანჟეს ნაწარმოებებისა განასახიერებს მხიარულებასა და უღარდელობას. ამ ფორმით ქართულ ტექსტში გადმოტანა გაუგებრობის წინაშე დააყენებდა ქართველ მკითხველს, ვისთვისაც სახელი „როჟე ბონტანი“ შეიძლება არაფრისმთქმელი იყოს. შესაბამისად, ქართველი მკითხველი არ გამორიცხავდა გადატანით მნიშვნელობას, ირონიას, ვინაიდან ეს სახელი მის პრეცედენტულ ველს მიღმაა. მთარგმნელმა თავი აარიდა აღნიშნული მყარი ენობრივი შედარების კალკირებასა და მყარი ენობრივი ექვივალენტის ძიებას და პერიფრაზი გააკეთა. „Elle (Carmen) vint me trouver l' air riant et gaie comme Roger Bontemps“ (P. Merimée, *Carmen*) (კარმენმა ჰაერში მხიარულების სურნელი მაგრძნობინა) (ა. ცაგარელის თარგმანი). თარგმანს, ჩვენი აზრით, გარკვეული სტილისტური გაუმართაობაც ახლავს თან.

ასევე სირთულეს წარმოადგენდა ფრანგული მყარი ენობრივი შედარების „Tomber comme des capucins de carte“ (დაიშალნენ, როგორც ქაღალდის კაპუცინები) ქართულად გადმოტანა ამ გამოთქმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ერთი მოვლენა ავტომატურად იწვევს მეორეს. გამოთქმა დაკავშირებულია საბავშვო თამაშთან, რომლის დროსაც ქაღალდებზე გამოსახული კაპუცინები ერთმანეთის მიყოლებით უნდა განლაგდნენ ისე, რომ ურთიერთზე იყვნენ დამოკიდებულები, ერთი ფიგურის დაცემა სხვა დანარჩენების დაცემას იწვევს.

„ils sont tombés comme capucins des cartes...” (Th. Gautier, *Le Capitaine Fricasse*) (ის ქალღმადის კაპუცინებივით დაიშალა) ქართულ თარგმანში გვაქვს „ერთმანეთს მიჰყვა“ (ლ. აპრესოვის თარგმანი). მიუხედავად იმისა, რომ შენარჩუნებულია თანმიმდევრული მოქმედების სქემა, დაკარგულია ემოციური მუხტი, რაც შესაძლებელი იყო კონატრუქციას „ქვიშაზე ნაგები სახლივით დაიშალა“ შენარჩუნებულია. მით უმეტეს, რომ ორიგინალი ამის შესაძლებლობას იძლევა.

ეთნოკულტურულ სპეციფიკას უკავშირდება მყარი ენობრივი გამოთქმა „*Fin comme Gribouille*“ (გრიბუივით მოსაზრებული, ეშმაკი). ქართველ მკითხველს ეს სახელი არაფერს არ ეუბნება, მაშინ, როდესაც ფრანგისთვის გრიბუი ზალზური ზღაპრების პერსონაჟია, რომელიც თავისი სისულელით გამოირჩევა. ამიტომ იყო, რომ მყარი ენობრივი შედარება ...*fin comme gribouille qui se jette dans l'eau de peur de la pluie* (Th. Gautier, *Le Capitaine Fricasse*). (ჭკვიანი, როგორც გრიბუი, რომელიც წყალში გადაეშვა წვიმისგან თავის გადასარჩენად) მთარგმნელმა სრულიად გამოტოვა. საინტერესოა, რომ მსგავსი პერსონაჟი ქართული მყარი ენობრივი შედარებების სტრუქტურაში ვერც ჩვენ მოვიძიეთ. ქალაქური (თბილისური) ფოლკლორის პერსონაჟები კიკა და პლუხანოველი მარინა, ისევე, როგორც სიღნაღის აჯამ გიგლია და აჭარელი ალია და ოსმანა პრეცედენტული სახელის დონეზე ვერ ამდლდნენ და ლოკალური ფუნქციონირებით ხასიათდებიან.

საინტერესოა ფრანგული მყარი ენობრივი შედარების პერსონაჟის გროჟანის პრეცედენტულობით გამოწვეული მთარგმნელობითი სირთულე. გროჟანი წარმოადგენს ფრანგული ფოლკლორის პერსონაჟს, სისულელისა და სიბრიყვის მიუხედავად საკმაოდ ამბიციურია. აღნიშნული კონოტაციები ბუნებრივია ფრანგული კულტურის წარმომადგენლისათვის, მაშინ, როდესაც ქართველისათვის სახელი გროჟანი მსგავს კონოტაციებს არ შეიცავს. ამიტომ იყო, რომ პროსპერ მერიმეს ფრაზამ: „*Il restera Gros - Jean comme devant*“ (P. Merimée, *Carmen*) (ის ძველებურად გროჟანად დარჩა) გარკვეული სირთულეების წინაშე

დააყენა მთარგმნელი, რომელმაც, ჩვენი აზრით, არცთუ მთლად ზუსტი ექვივალენტი „არ გათეთრდების ყორანი“ (ა. ცაგარელის თარგმანი) შეარჩია. მერიმეს ტექსტში აქცენტირებულია ყურადღება არა მარტო იმ ფაქტზე, რომ პერსონაჟი უცვლელია თავის სულელურ ამბიციურობაში, არამედ მისდამი სიმპათიის მომენტიც ჩანს მაშინ, როდესაც ქართული „არ გათეთრდების ყორანი“ ამგვარ კონოტაციას არ შეიცავს.

ბ) ფრანგული მყარი ენობრივი შედარებების ტექსტობრივად მოტივირებული ქართული შესატყვისები

განსხვავებით იმ შემთხვევებისაგან, როდესაც რეციპიენტ კულტურას არ გააჩნია შესაბამისი მყარი ენობრივი შედარებების ექვივალენტები, ან, ეთნოკულტურული სპეციფიკიდან გამომდინარე, არ გააჩნია შესაბამისი პრეცედენტული მნიშვნელობა, შესაძლებელია პარალელური მყარი ენობრივი ექვივალენტების არსებობის შემთხვევაშიც კი ტექსტობრივად მოტივირებული შესატყვისის გამოყენება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თვით ტექსტმა შეიძლება განაპირობოს არა რეგულარული შესატყვისობის (მაგ. Rimer comme hallebarde et miséricorde შინაარსობრივად მსგავსია ქართული გამოთქმისა „როგორც ვირი და კრიალოსანი“. შეუსაბამობის მნიშვნელობა, რომელსაც ორივე გამოთქმა შეიცავს, უმეტეს შემთხვევაში კარგად მიესადაგება ერთმანეთს და ქმნის გარკვეულ რეგულირებას), არამედ სიტუაციურად განპირობებული ექვივალენტის გამოყენება. მოყვანილი გამონათქვამის „Rimer comme hallebarde et miséricorde“-ის ეტიმოლოგია ფრანგი ბომელის სახელთანაა დაკავშირებული, რომელიც თვლიდა, რომ ნებისმიერი სამ ერთნაირ ასოზე დამთავრებული სიტყვა ერთმება ერთმანეთს. აღნიშნული დებულების უარსაყოფად საკმარისი აღმოჩნდა სამ ერთნაირ ასოზე დამთავრებული სიტყვების „hallebarde“ და „miséricorde“-ის შედარება. აღნიშნული შედარება გახდა საფუძველი მყარი ენობრივი შედარებისა. საინტერესოა, რომ როჟე მარტენ დიუ გართან გამოყენებული

შედარება „Ces mots riment comme hallebarde et miséricorde“ (R. Martin du Gard, Les Thibault) (ეს სიტყვები ერთმანეთს ერთმება, როგორც „ალებარდი“ და „გულმოწყალება“), ჩვენთან გადმოვიდა, როგორც „კოჭლი სტრიქონივით“, რაც, ჩვენი აზრით, ტექსტის შინაარსიდან და ემოციური მუხტიდან გამომდინარე, სავსებით მოტივირებულია. (ნ. ქადეიშვილის თარგმანი).

ფრანგული მყარი ენობრივი შედარების „presser qn comme un citron“ (ლიმონივით გამოწურვა) ქართული ანალოგი სრულად ასახავს ფრანგული კორელატის შინაარსსა და სტრუქტურას, ამიტომ სავარაუდო იყო, რომ ბალზაკის ქართველი მთარგმნელი მისი გამოყენებით გადმოიტანდა შემდეგ მონაკვეთს: „je le presserai comme des citrons“ (Balzac, Le père Goriot) (მე ისინი ლიმონივით გამოვწურე) თარგმანის ავტორმა სხვა გზა აირჩია და, ტექსტის ზოგადი ტონალობიდან გამომდინარე, შემოგვთავაზა „უკანასკნელ გროშამდე გაფცქვენი“ (ა. ცაგარელი, კ. ჯავრიშვილის თარგმანი). აღნიშნული ვარიანტის არჩევა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ექვივალენტური ვარიანტები „presser qn comme un citron“ და „ლიმონივით გამოწურვა“ თავისი ტექსტობრივი კონოტაციებით განსხვავდებიან. ასე, მაგალითად, ფრანგულ ვარიანტში გვაქვს ორი მნიშვნელობა „ვინმეს ბოლომდე გამოყენება, ექსპლოატაცია“ და „უკანასკნელი ენერჯის წართმევა“. იგივე მნიშვნელობა გააჩნია ქართულ ვარიანტსაც. ბალზაკისეული ტექსტის მოყვანილ ფრაგმენტში აქცენტირებულია პირველი მნიშვნელობა. ქართულ ტექსტში იგივე კონსტრუქციის გამოყენება გარკვეულ ორაზროვნებას შექმნიდა, ამიტომ მთარგმნელმა, ჩვენი აზრით სამართლიანად, აირჩია მარტივი და გასაგები ვარიანტი „უკანასკნელი ენერჯის წართმევის“ სემის.

ასევე საინტერესო შემთხვევასთან გვაქვს საქმე ბალზაკის „მამა გორიოს“ აღნიშნულ თარგმანში. ფრაზა „Il s' y entendre comme à ramer des choux“ (ის ისევე ერკვევა ამაში, როგორც კომბოსტოს სარით გამაგრებაში). უმეცრებასთან, უცოდინარობასთან დაკავშირებით ქართულში მრავალი ფორმა მოიპოვება: „როგორც ვირი და კრიალოსანი“, „იცის, როგორც ჩინური“, „თხა და

გიგოსავითაა“, „როგორც თხა და უნაგირი“ და ა. შ., მაგრამ არც ერთი მათგანი ტექსტში არსებულ სიტუაციას არ მიესადაგებოდა. მთარგმნელი (ა. ცაგარელი, კ. ჯავრიშვილის თარგმანი) გეთავაზობს შემდეგ ვარიანტს „ის სრულიად ვერ ერკვევა ამაში“. ამგვარი გამარტივებით დაიკარგა ის ემოციური მუხტი, რომელიც ფრანგულ ორიგინალს გააჩნდა.

მყარი ენობრივი შედარებების არამარკირებულ ერთეულებით გადმოცემის თავისებურ ნაირსახეობად შეიძლება ჩაეთვალოს მისი სქოლიოში, ან კომენტარებში განმარტება. ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე გასაგებია ისეთი მყარი ენობრივი შედარებების მნიშვნელობა, როგორიცაა „Solide comme le Pont-Neuf“ (დიდებულების შეგრძნება, როგორც პონტ - ნეფი), მაგრამ მთარგმნელმა მაინც საჭიროდ ჩათვალა კომენტარებში მიეთითებინა: „პონტ - ნეფი“ არის 1578-1607 წ.წ პარიზში აგებული ხიდი, რომელიც ყველა დანარჩენს აღემატებოდა თავისი სიმტკიცით.

ასევე კომენტარებშია გადატანილი ისეთი მყარი ენობრივი შედარების განმარტება, როგორიცაა: „Sûr comme la bourrique a Robespierre“ (რობესპიერის ვირივით მთვრალი). მთარგმნელი ნ. ქაღვიშვილი განმარტავს, რომ აღნიშნული მეტსახელი პარიზის ნაციონალური გვარდიის ხელმძღვანელის ანრიოს სახელთანაა დაკავშირებული, რომელიც რობერსპიერის ბრძანებების ბრმა შემსრულებლად ითვლებოდა და მუდმივად მთვრალ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ასევე კომენტარი მოითხოვა ფრანგული მყარი ენობრივი შედარების „Mentir comme un arracheur de dents“ (მატყუარა, როგორც კბილის მკურნალი). მიუხედავად იმ შიშისა, რომელიც ქართველ პაციენტებს კბილის ექიმების ჰქონდათ, მატყუარის სემა ქართულში არ განვითარდა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევებში ფსიქოთერაპიის მიზნით ექიმები ზედმეტად ამშვილებდნენ პაციენტებს. მთარგმნელმა (ნ. ქაღვიშვილმა) გაითვალისწინა ეს ფაქტი და ტექსტს (R. Martin du Gard, Les Thibault) დაურთო კომენტარი „.....ამ შედარების წარმოშობა უკავშირდება იმ დროს, როდესაც კბილის მკურნალები, რომლებიც ხალხმრავალ ადგილებში, კერძოდ ბაზრობებზე, ეწეოდნენ თავიანთ

საქმიანობას, დაბეჯითებით არწმუნებდნენ თავიანთ კლიენტებს, რომ უმტკივნეულოდ ამოუღებდნენ კბილს. ვინაიდან, როგორც წესი, ასეთი დაპირებები თითქმის არასდროს არ სრულდებოდა, კბილის მკურნალებმა სახელი გაითქვეს, როგორც ნამდვილმა მატყუარებმა. "სავარაუდოა, რომ ისეთი პერსონაჟი, როგორიც ფიგაროა, რომელიც გამოირჩევა ინტრიგების დახლართვით, არა შემთხვევით იყო გამოყვანილი როგორც დალაქი. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სწორედ დალაქები (მათ შორის საქართველოშიც) იყვნენ კბილის ამოღებაში დახელოვნებულნი.

აღნიშნული ტიპის შემთხვევები, როდესაც ადგილი აქვს მყარი ენობრივი შედარების კომენტირებას, გვაქვს კიდევ მრავალ შემთხვევაში, რომელთაგანაც მოვიყვანთ კიდევ რამოდენიმე მაგალითს.

ფრანგული მყარი ენობრივი შედარება „arriver comme les carabiniers d' Offenbach“ (გამოჩნდნენ, როგორც ოფენბახის კარაბინერები) ბოლომდე გასაგები არ არის ქართველი მკითხველთათვის, ვინაიდან კარაბინერთა სამსახურს თავისი სპეციფიკა გააჩნია და კარაბინერებს შეიძლება სხვადასხვა თვისება მიეწეროს. ამ გაურკვეველობის თავიდან ასაცილებლად მთარგმნელმა (ნ. ქაღვიშვილმა) საჭიროდ ჩათვალა კომენტარის გაკეთება იმის შესახებ, რომ ოფენბახის ოპერეტა „ყაჩაღების“ პერსონაჟი კარაბინერები არასდროს არ იმყოფებოდნენ იქ, სადაც საჭირონი იყვნენ.

ფრანგულ და დასავლურ კულტურაში საერთოდ კარგადაა ცნობილი ციცერონის სახელთან დაკავშირებული წერილები, რომლებშიც ასახულია მისი მიმოწერა მკვებრებთან და ახლობლებთან. ვინაიდან ციცერონი ამ წერილებში მიმართავდა მისთვის ახლობელ ადამიანებს, მისი წერილების ტონი საკმაოდ თბილი და ახლობლურია. ფრანგული მყარი ენობრივი შედარება „Être familier les épîtres de Ciceron“ (ფამილარული (უშუალო), როგორც ციცერონის წერილები) გამოხატავს გადაჭარბებულ უშუალობას, რომელიც თავხედობაში გადადის. „მადამ ბოვარის“ მთარგმნელმა არისტო ჭუმბაძემ თავი აარიდა აღნიშნული მყარი ენობრივი შედარების პირდაპირ გადმოტანასაც და მყარი

ენობრივი შედარების ქართული ექვივალენტის მოძიებას. მან ჩათვალა, რომ უმჯობესი იქნებოდა კომენტარი თარგმანშივე მოეთავსებინა: „ის ისეთი უშუალო იყო, როგორც ციცერონი მეგობრებისადმი მიწერილ წერილებში.“ ორიგინალში არ არის ფრაზა „მეგობრებისადმი მიწერილ წერილებში.“ სავარაუდოა, რომ მთარგმნელი (ა. ჭუმბაძე) გულისხმობდა ციცერონის წერილების საერთო სათაურს „Epîtres familiares“ (საოჯახო წერილები), კომენტარების თავისებურ ნაორსახეობად შეიძლება მივიჩნიოთ ე.წ. „შინაარსობრივი გადანაწილების“ პრინციპი, რომლის არსიც მდგომარეობს ორიგინალის სათარგმნი ფრაგმენტის შინაარსის (რომელიც ერთი ერთეულითაა წარმოდგენილი) რამდენიმე ერთეულით გადმოცემა. კომენტარისაგან განსხვავებით, რომელიც სქოლიოში ან შენიშვნებში განიმარტება „შინაარსობრივი გადანაწილების შემთხვევაში ადგილი აქვს მის „ინპლანტაციას“ თვით ტექსტის სტრუქტურაში. ასე, მაგალითად, ფრანგული მყარი ენობრივი შედარება „insolent comme un valet de bureau“ (თავხედი, როგორც ჯალათის მსახური) უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ჯალათის მსახურები თავს უფლებას აძლევდნენ მსჯავრდადებულისთვის სილა გაეწნათ. ძალზე ხშირად ეს უკანასკნელნი თავის სოციალური მდგომარეობითა და, რაც მთავარია, წარმოშობით გაცილებით მაღლა იდგნენ ჯალათის მსახურებზე, რის გამოც მათი მოქმედება ხშირ შემთხვევაში წარმოუდგენელ თავხედობად აღიქმებოდა. პროსპერ მერიმეს „შარლ მეცხრის მეფობის ქრონიკებში“ გვხვდება ასეთი ფრაგმენტი - „...Et puis ces Châtillons sont fiers et insolents comme des valets de bureau“ (P. Mérimée, Chronique du règne de Charles IX) (შესაძლოა ეს შატიონნი ჯალათის მსახურივით თავხედნი და გაამაყებულნი არიან). მთარგმნელმა (ჭ. ხუნდაძის თარგმანი) საჭიროდ ჩათვალა განემარტა ქართველი მკითხველისთვის ბუნდოვანი წარმოდგენა, თუ რა არის ჯალათის მსახური და რა საფუძველი აქვს მას სიამაყისა და თავხედობის. ამიტომ მან მიმართა შინაარსობრივი გადანაწილების პრინციპს და აქტუალიზაცია გაუკეთა ფრანგული მყარი ენობრივი შედარების პრეცედენტულ მნიშვნელობას: „მსგავსი შატიონნი ისე

იქცევინ, როგორც ამაყი და თავხედი ჯალათის მსახურნი, რომელთაც მსჯავრდადებულისთვის სილის გაწნის უფლება აქვთ“ (ჭ. ხუნდაძის თარგმანი).

შინაარსობრივი გადანაწილების პრინციპი ხორციელდება შემდეგ შემთხვევაშიც. ცნობილია, რომ ფრანგული კულტურისათვის დამახასიათებელია ჟღალი ფერის თმებისადმი საკმაოდ სკეპტიკური დამოკიდებულება. ამის მაგალითია ფრანგული გამოთქმა „Entre roux poil et félonie, s' entreporte grand - compagnie“ (ვერაგობასა და ჟღალ თმებს შორის დიდი მეგობრობა არსებობს). ამას ადასტურებს „ROUX“-გან ნაწარმოები სიტყვები, რომელთაც ფრანგულში დამამცირებელი მნიშვნელობა, უარყოფითი კონოტაცია გააჩნიათ: „rousse“ („პოლიციელი“ არგოზე), „roussin“ (ჯვავლაგი) და ა.შ. საინტერესოა, რომ რუსული სიტყვა „рыжий“, რომელიც ფრანგულიდან ნასესხობას წარმოადგენს, ასევე შეიცავს დამამცირებელ მნიშვნელობას. პროსპერ მერიმეს „შარლ მეცხრის მეფობის ქრონიკებში“ გამოყენებული ფრანგული მყარი ენობრივი შედარება „Méchant comme un âne rouge“ (წითური ვირივით ავი). ფრანგულ მყარ ენობრივ შედარებაში მოცემული „წითური ვირი“ ქართველისათვის შესაძლოა მხოლოდ ვირის ეგზოტიკური ნაირსახეობა იყოს, რომელიც საქართველოში არ არსებობს, ხოლო სიკეთისებულა, რომელიც ამგვარ ეგზოტიკურ ნაირსახეობას ახათიათებს. მსგავსი ინტერპრეტაციის თავიდან ასაცილებლად მთარგმნელი მიმართავს შინაარსობრივი გადანაწილების პრინციპს: „ანჩხლი, როგორც წითური ვირი და როგორც ყველაფერი წითური“. ჩვენი აზრით უფრო უპრიანი იქნებოდა დაეტოვებინა „ანჩხლი, როგორც წითური ვირი“, რომელიც ქართველი მკითხველის მიერ როგორც თავისებური მეტაფორა იქნებოდა გაგებული. ამავედროულად შენარჩუნებული იქნებოდა ის ემოციური მუხტი, რომელიც ფრანგულ მყარ ენობრივ შედარებას გააჩნია.

შინაარსობრივი გადანაწილების კიდევ ერთი შემთხვევა გვაქვს „მადამ ბოვარის“ ქართულ თარგმანში. ორიგინალში გვხვდება მყარი ენობრივი შედარება „Être comme l' âne de la fable“ (იგავის ვირივით ყოფნა). აღნიშნული ფრაზის თარგმნას ართულებს ის საკითხი, რომ ქართველი მკითხველისათვის გაუგებარია

რომელ იგავზეა საუბარი. როგორც ცნობილია, იგავებში საკმაოდ პოპულარულია აღნიშნული პერსონაჟი, ამიტომ იმის დადგენა, თუ რომელ ტექსტთან გვაქვს საქმე. ავტორმა განიზრახა ამგვარი გაურკვევლობის თავიდან აცილება და მიმართა შინაარსობრივი გადანაწილების ხერხს. ფრანგული მყარი ენობრივი შედარება „Être comme l' âne de la fable“ უკავშირდება ლაფონტენის შემდეგ იგავ - არაკს „Les animaux malades de la peste,“ რომლის ქართული თარგმანი არ გაგვანია. აღნიშნული ნაწარმოების მთავარი პერსონაჟია ვირი, რომელსაც ბრალდება ღვთის რისხვის გამოწვევა. ცხოველები მას ადანაშაულებენ (უსაფუძვლოდ) შავი ჭირის გაჩენაში, ვინაიდან სჭირდებათ განტეგების ვაცი. აღნიშნული ფაბულის გათვალისწინებით მთარგმნელმა საჭიროდ ჩათვალა შინაარსობრივი გადანაწილება მოეხდინა და დამატებით ინფორმაცია მიეწოდებინა მკითხველისათვის, ამიტომ ორიგინალში არსებული მყარი ენობრივი შედარება: „comme l' âne de la fable“ თარგმანში გადმოცემული იქნა შემდეგნაირად: „ლაფონტენის ვირივით განტეგების ვაცად აქციეს“ (ა. ჭუმბაძის თარგმანი). თავისებურ კომბინირებულ ვარიანტს წარმოადგენს ფრანგული მყარი ენობრივი შედარების გადმოცემის ისეთი შემთხვევა, როდესაც ადგილი აქვს კალკისა და განმარტების შეერთებას. ასე, მაგალითად, ფრანგული მყარი ენობრივი შედარება „mentir comme un valet “ (მსახურივით მოტყუება) უკავშირდება ტიპიურ სიტუაციას, როდესაც საკუთარი პატრონის ბრძანებით მსახური იძულებული იყო ეცრუა მომსვლელთან. ამის გამო წარმოიშვა აღნიშნული გამოთქმა. პროსპერ მერიმეს „შარლ IX მეფობის ქრონიკაში“ (ჭ. ხუნდაძის თარგმანი) „.....Il était menteur comme un valet “(P. Merimée, Chronique du règne de Charles IX) გადმოცემულია შემდეგნაირად: „ის ცრუობს, როგორც პატრონისგან დარიგებული მსახური“. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ფრანგული მყარი ენობრივი შედარების „mentir comme un valet“-ის კალკა - „ცრუობს, როგორც მსახური“, რომელიც გართულებულია ინტერპრეტაციული ნაწილით, სადაც მოცემულია ფაქტიურად განმარტება სპეციფიკური ფრანგული გამონათქვამისა. (შესაძლოა ეს სპეციფიკურობა

პოსტრევოლუციურ პერიოდს უკავშირდება, რომლის დროსაც დეკლარირებული იყო ადამიანთა თანასწორობა და შესაბამისად უარყოფილი იყო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია). ასევე კომბინირებული ფორმითაა გადმოცემული ფრანგული მყარი ენობრივი შედარება: „Malheureux comme les pierres du chemin“ (უბედური, როგორც ქვაფენილის ქვები). რომენ როლანის „ჟან-კრისტოფში“ ფრაზა, რომელიც შეიცავს აღნიშნულ მყარ ენობრივ შედარებას, შემდეგნაირადაა წარმოდგენილი.

„Rose est malheureuse comme les pierres du chemin“ (R. Rolland Gean - Christophe) (როზა უბედურია, როგორც ქვაფენილის ქვები). ქართულ ენაში მთარგმნელმა მოახდინა ფრანგული მყარი ენობრივი შედარების კალკირება და დაუმატა მას ინტერპრეტაციული ნაწილი, რამაც მოგვცა შემდეგი წინადადება: „როზა უბედურია, როგორც ქვაფენილის ქვები, რომელთაც მუდმივად ფეხს აბიჯებენ“ (ო. ხახაშვილის თარგმანი). როგორც ვხედავთ მთარგმნელმა საჭიროდ მიიჩნია ფრანგული მყარი ენობრივი შედარების შენარჩუნება, თუმცა იმავდროულად ჩათვალა, რომ საჭირო ქვები უბედურებისა და გაჭირვების სიმბოლოდ. კომბინირებული შემთხვევების ნიმუშები კიდევ მრავლად შეიძლება მოვიყვანოთ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამის საჭიროება არ არსებობს, ვინაიდან ზემოთ მოყვანილი მაგალითები სრულიად ნათლად ადასტურებენ აღნიშნული მთარგმნელობითი მეთოდის სპეციფიკას, ფრანგული მყარი ენობრივი შედარებების ქართულად თარგმნის პრობლემების განხილვამ შესაძლებლობა მოგვცა მიგველო როგორც ზოგადთეორიული დასკვნები, ასევე ინფორმაცია ფრანგულ - ქართული მყარი ენობრივი შედარებების ექვივალენტობის შესახებ.

მყარ ენობრივ შედარებას, განსხვავებით ფრაზეოლოგიური სისტემის ერთეულებისგან, თავისი სპეციფიკა გააჩნია, რაც გავლენას ახდენს მთარგმნელობით სტრატეგიაზე. ეს ეხება მის შინაარსობრივ „გამჭირვალბას“. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, მყარი ენობრივი შედარებების შინაარსი ზედაპირზე დევს და როგორც წესი გამოიყენება მასში შემავალი ლექსემების მნიშვნელობებიდან. მეორე მხრივ, მყარ ენობრივ შედარებებს გარკვეული

ფიქსირებული სტრუქტურა გააჩნიათ, რომლის დარღვევაც ფაქტურად კონსტრუქციისა და მისი მხატვრული სახის დაშლასა და დარღვევას იწვევს. შიდა შინაარსობრივი აქცენტების განაწილება მყარი ენობრივი შედარების სტრუქტურაში გარკვეულ ფუნქციას ასრულებს, რასაც ხშირად ვერ აფიქსირებენ მთარგმნელები. უნდა ითქვას, რომ მყარი ენობრივი შედარებები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი სამყაროს ხედვისა და ნაციონალურ - კულტურულ სპეციფიკასთან, რაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მთარგმნელობითი სტრატეგიის არჩევისას. უნდა აღინიშნოს, რომ სამყაროს ხედვა შეიძლება სპეციფიკური იყოს არა მარტო სხვადასხვა კულტურისათვის, არამედ ერთი კულტურის სხვადასხვა წარმომადგენლისათვის. ეს სხვაობა შესაძლებელია ინდივიდუალური შედარებებითაც გამოიხატოს. მეორე მხრივ, სამყაროს მოვლენების უნივერსალური ხასიათი შესაძლებლობას იძლევა ვივარაუდოთ, რომ ზოგიერთი მოვლენის დანახვისას და აღქმისას შესაძლებელია გარკვეული თანხვედრა, რომელიც სამყაროს ობიექტებისა და მოვლენების თვისებების უნივერსალურობიდან მომდინარეობს. ასე, მაგალითად, არ არის რთული იმის დანახვა, რომ თოვლი თეთრი ფერისაა, ან ის, რომ სისხლი წითელია. ამ თვისებების მყარ ენობრივ შედარებებში გადატანა სავსებით ბუნებრივია, რასაც ადასტურებს არა მარტო ფრაგნული და ქართული ენების, არამედ სხვა ენების მაგალითებიც: (ინგლისური „White as snow“, რუსული „Белый как снег“ და ა. შ.). როგორც წესი, ასეთი დანახვა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ხდება, რაც მოუთხოვს სამყაროს უნივერსალურ ხასიათზე.

მიუხედავად იმისა, რომ მყარ ენობრივ შედარებას და მეტაფორას ხშირ შემთხვევაში როგორც ერთ მოვლენას განიხილავენ, სრულიად განსხვავებულია მათი თარგმნის სტრატეგია. მთავარ სირთულეს წარმოადგენს ის, რომ მყარი ენობრივი შედარებისაგან განსხვავებით, მეტაფორის ზედაპირულ სტრუქტურაში ყველა კომპონენტი არ არის წარმოდგენილი. აღნიშნული ლატენტური სტრუქტურა ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს მეტაფორის ვერბალური ნაწილის შინაარსს, რაც მოითხოვს მოვლენის თავისებურ დანახვას. რაც შეეხება მყარ

ენობრივ შედარებებს, ისინიც შეიძლება შეიცავდნენ ელემენტს, რომელიც თავისებურ გაშიფრვას მოითხოვენ თარგმნის პროცესში. ეს, უპირველეს ყოვლისა ეხება პრეცედენტულ სახელებსა და ნაციონალურ - კულტურული სპეციფიკით განსაზღვრულ რეალიებს, რომელთა ინტერპრეტაცია მხოლოდ შიდაკულტურულ ინფორმაციაზე დაყრდნობითაა შესაძლებელი.

წინამდებარე თავში ჩვენ შევისწავლეთ მთარგმნელობითი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ფრანგული მყარი ენობრივი შედარებების ქართულად გადმოცემასთან. მიღებული შედეგები შეგვიძლია დასკვნების სახით შემდგენიარად ჩამოვყავლობოთ:

1. ფრანგული მყარი ენობრივი შედარების ქართულ ენაზე თარგმნის შესწავლამ შესაძლებლობა მოგვცა, გამოგვევლინა ეკვივალენტობის სამი ძირითადი ნაირსახეობა, რომლებშიც კიდევ რამდენიმე ქვენაირსახეობა გამოიყოფა. ეს კლასიფიკაცია ეფუძნება კონკრეტული ანალიზის შედეგებს და ასახავს მთარგმნელობითი სტრატეგიის ძირითად მიმართულებებს.

2. პირველი ჯგუფი, რომელსაც სრული ფორმალურ - სემანტიკური ეკვივალენტები შეადგენს, წარმოდგენილია მყარი ენობრივი შედარებებით, რომელთა ლექსიკურ - სემანტიკური სტრუქტურა სრულიად ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა არაერთგვაროვანია ასეთი სიახლოვის გამომწვევი მიზეზები. ეს შეიძლება იყოს როგორც საერთო წყაროდან წარმომავლობა (ძველი და ახალი აღთქმა, ანტიკური ლიტერატურა და ძველი სამყაროს ისტორია და ა. შ.), ასევე - ფრანგული კულტურის გავლენა. საემაოდ დიდია იმ შემთხვევათა რიცხვი, როდესაც სრული ფორმალურ - სემანტიკური დამთხვევა დაკავშირებულია არა საერთო წყაროსთან, არამედ სამყაროს ხედვის უნივერსალობის პრობლემასთან.

3. მეორე ჯგუფი, რომელიც ფრანგულ მყარ ენობრივ შედარებებს შინაარსობრივად პარალელური მყარი ენობრივი ეკვივალენტებით ჩაანაცვლებს, ქართულ ენაში მოიძიებს შინაარსობრივად მსგავს, მაგრამ ლექსიკური შემადგენლობით განსხვავებულ მყარ ენობრივ შედარებებს. ამა თუ იმ მოვლენასთან ხშირად დაკავშირებულია მყარი ენობრივი შედარებების მთელი

პარადიგმა („S' enfuir comme un lievre“; „S' enfuir comme un voleur“; „S' enfuir comme un péteux“ ფრანგულში: „კურდღელივით მოუსვა“; „ქარივით გაიქროლა“; „თავქუდმოგლეჯილი გარბოდა“; „უკანმოუხედავად გარბოდა“ და ა. შ.), რაც მთარგმნელს შესაძლებლობას აძლევს, შეარჩიოს ყველაზე ოპტიმალური მათ შორის. თუმცა, უნდა ითქვას, რომ, ვარიანტების სიუხვის მიუხედავად, ხშირად შეუძლებელია იმ ნიუანსების გათვალისწინება, რაც ორიგინალის მყარ ენობრივ შედარებას გააჩნია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საჭიროა ორიგინალის სემანტიკური ვალენტობის გარდა სტილისტურიც გაეთვალისწინოთ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხატვრული და ნარატიული ტექსტების ისეთი ნაირსახეობის გადმოცემისას, როგორცაა სარეკლამო ტექსტი.

4. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მყარი ენობრივი შედარებების გადმოცემა ასევე მყარი ენობრივი შედარებებით ხდება, რასაც შესაბამისი ფაქტორები განაპირობებენ, გარკვეული ადგილი უჭირავს მათ არამარკირებული ერთეულებით, ანუ თავისუფალ გადმოცემას. აღნიშნულ ჯგუფში ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა იმის მიხედვით, თუ როგორია გადმოცემის სირთულესთან დაკავშირებული პრობლემების მიზეზები - ესაა ეთნოკულტურული სპეციფიკა, თუ ტექსტობრივად განაპირობებული - მყარი ენობრივი შედარებები, გასაგებია, საკმაო სირთულეს ქმნის თარგმნის პროცესში და, როგორც წესი, თავისუფალი თარგმანით ან ტექსტობრივი კომენტარით გადმოიცემა, განსხვავებით იმ ფრანგული წარმოშობის მყარი ენობრივი შედარებებისაგან, რომელთაც ინტერნაციონალური სტატუსი მოიპოვეს და გასაგებნი გახდნენ სხვა კულტურების წსრმომადგენელთათვისაც. ეთნოკულტურული სპეციფიკით განაპირობებულ ქვეჯგუფს უპირისპირდება მეორე ქვეჯგუფი, რომლის ერთეულები თავისუფალ ეკვივალენტურ ურთიერთობას ამყარებენ კონკრეტული ტექსტუალური მნიშვნელობებიდან გამომდინარე, მაშინაც კი, როდესაც გვაქვს ფრანგული მყარი ენობრივი შედარების ფარდი მყარი ენობრივი ეკვივალენტის პირობითად.

5. მყარი ენობრივი შედარებების არამარკირებული ერთეულებით, ანუ თავისუფალი ერთეულებით გადმოცემის თავისებურ შემთხვევას წარმოადგენს კომბინირებული ვარიანტები, როდესაც მყარი ენობრივი ერთეულის კალკირებას თან ახლავს კომენტარი ან მინიშნება. ძირითადად ეს ის შემთხვევებია, როდესაც კომენტარს მოითხოვს მყარი ენობრივი შედარების ნაციონალურ - კულტურული სპეციფიკა. ამრიგად, უნდა ითქვას, რომ ფრანგული მყარი ენობრივი შედარებების თარგმნისას გამოყენებულია მთარგმნელობითი ხერხების მთელი არსენალი: კალკირება, თავისუფალი ინტერპრეტაცია, ტრანსენობრივი ექვივალენტი ა) მოძიებულია სრული ფორმალურ - სემანტიკური ერთეულები და გამიჯნულია მათ შემადგენლობაში კალკები, ენათა პარალელური განვითარების შედეგად მიღებული ერთეულები და ინტერნაციონალიზმები; ბ) გამოვლენილია ექვივალენტობის იმავე დონის პარალელური მყარი ენობრივი შედარებებით მიღწევის შესაძლებლობა; გ) დადგენილია მყარი ენობრივი ერთეულების თავისუფალი ინტერპრეტაციის პრინციპები. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შესაძლებლად მიგვაჩნია შევუჯეროთ აღნიშნული თავის მონაცემები წინა თავებისას და შევაჯამოთ საღისერტაციო კვლევის შედეგები.

|

1. როგორც ცნობილია, თანამედროვე თარგმანთმცოდნეობა მჭიდროდ უკავშირდება ანტროპოლოგიურ პარადიგმაში შემავალ მეცნიერებებს (ეთნოფსიქოლინგვისტიკა, კულტურათშორისი კომუნიკაცია, კოგნიტიური ლინგვისტიკა და ა. შ.), რაც საშუალებას იძლევა ენათშორისი კვივალენტობის პრობლემების გადაჭრას ახალი იმპულსი მიეცეს. იმ კატეგორიათა შორის, რომელიც ამა თუ იმ ერის ენობრივ ცნობიერებას განსაზღვრავს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „ეროვნულ მენტალობას“, რომლის მანიფესტაციასაც წარმოადგენს „სამყაროს ხატის“ კონცეპტი. ეს უკანასკნელი სამყაროს ხედვის ნაციონალურ - კულტურულ სპეციფიკას ასახავს და შესაბამისი კულტურების წარმომადგენელთა ცნობიერებაში შესაბამისი კონცეპტოსფეროებით ვლინდება. თავის მხრივ, ამა თუ იმ კულტურისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ხედვა ენობრივ მანიფესტაციას ჰკოვებს შესაბამის სტრუქტურებში, რომელთაც ეთნოფსიქოლინგვისტები „ლინგვოკულტურემას“ უწოდებენ. ლინგვოკულტურემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გარკვეული ენობრივი სტრუქტურები წარმოადგენენ არა მარტო ენობრივ ერთეულებს, არამედ შესაბამისი კულტურის ნიშნებს, თავისებურ კოდებს, რომლებიც ეროვნული ცნობიერების ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევიან. სწორედ ასეთ კულტურემად მივიჩნით მყარი ენობრივი შედარება, რაც კონკრეტულმა გამოკვლევამაც დაადასტურა.

2. გარდა იმისა, რომ მყარ ენობრივ შედარებას კულტურული კოდის მნიშვნელობა გააჩნია, მთარგმნელობითი სტრატეგიის განსაზღვრისათვის აუცილებელი იყო მისი ლინგვისტური ბუნების განსაზღვრა, რაც, თავის მხრივ, მოვლენის მრავალმხრივ ანალიზს მოითხოვდა. შინაარსობრივი თვალსაზრისით ის წარმოადგენდა სამეტყველო ფიგურას, დაფუძნებულს ლოგიკურ ოპერაციაზე, რომლის დროსაც ხდება საგნებისა და მოვლენების შეფარდება - შეპირისპირისპირება მსგავს ნიშან - თვისებათა ერთიდან მეორეზე გადატანის

საფუძველზე და რომელიც მანიფესტირდება შესაბამისი ენობრივი მარკიორების სახით. ენობრივი მარკირების ნიშანი გამოარჩევს მყარ ენობრივ შედარებებს სამეტყველო ფიგურების სისტემის დანარჩენი ელემენტებისაგან - მეტაფორისაგან, მეტონიმიისაგან, ლიტოტესისაგან, სინექლოქესაგან და ა. შ., თუმცა გააჩნია მათთან საერთო ინტეგრალური ნიშანი - ტროპულობა, რაც სამყაროს მოვლენათა მიზეზ - შედეგობრივი ურთიერთობებისა და ნიშან - თვისებების თავისებურ მხატვრულ გადაადგილებაში ვლინდება და, თავის მხრივ, ხელს უწყობს აგრეთვე ცნებითი აპარატის სრულყოფას. მეორე მხრივ, ხატოვან აზროვნებაში ვლინდება ამა თუ იმ კულტურის მიერ სამყაროს აღქმის თავისებურება და ხორციელდება აგრეთვე სამყაროს ემოციური წვდომა, რაც შემეცნების ერთ - ერთი მძლავრი იმპულსია. მყარი ენობრივი შედარების ლინგვისტური ბუნების განსაზღვრისათვის მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ მისი ფორმის სტაბილურობა, კონსტრუქციის ფრაზეოლოგიზაციის ხარისხი, რითაც ისინი განსხვავდებიან ინდივიდუალურ - ვარიატული შედარებებისაგან, რომლებიც, მართალია, შედარების ლოგიკურ სქემას იმეორებენ, მაგრამ მათში შემავალი ლექსიკური ერთეულები ურთიერთგაპირობებულები არ არიან. სწორედ შემადგენელი ლექსიკური ერთეულების ურთიერთგაპირობებულობა და შესაბამისი სტრუქტურული სქემა ქმნიან საფუძველს განვიხილოთ მყარი ენობრივი შედარება, როგორც ფრაზეოლოგიური სისტემის განსაკუთრებული ერთეული. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ აღნიშნული ფენომენის ლინგვისტურ ინტერპრეტაციას წინ უძღვოდა „ინფინიტიური ეტაპი“, როდესაც მყარი ენობრივი შედარება გვხვდებოდა სხვადასხვა ტიპის ტექსტებში, მაგრამ მისი, როგორც სპეციფიკური მოვლენის დანახვა არავის აინტერესებდა. ბუნებრივია, ეს არ ენება ფილოსოფოსებსა და ლიტერატურის თეორეტიკოსებს, რომელთაც თავისი შეხედულება გააჩნდათ ამ ფენომენზე, გამოძინარე შესაბამისი სამეცნიერო დისციპლინების ინტერესებიდან, რომელთაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავარქმევთ ლინგვისტურს.

მყარი ენობრივი შედარებების ენათმეცნიერების ინტერესების სფეროში მოხვედრა გარკვეულწილად პრაქტიკულ საჭიროებათა გადაწყვეტის

აუცილებლობამ გამოიწვია, როდესაც ლექსიკოგრაფიულმა საქმიანობამ გამოიწვია იმ ერთეულების გააზრების აუცილებლობა, რომლებიც შესაბამის ლექსიკონებში უნდა შესულიყო.

მყარი ენობრივი შედარების თეორიული გააზრების პროცესში საწყის ეტაპად უნდა მივიჩნიოთ მისი ფრაზეოლოგიურ ლექსიკონებში შეტანა, ხოლო შემდეგ ცალკე ლექსიკოგრაფიულ წყაროებად (ა. რეი და ს. შანტრო, აგრეთვე ა. ნაზარიანი, ს. რეი და სხვა.) გამოცემა, რამაც ბუნებრივად გამოიწვია კლასიფიკაციის პრინციპების შემუშავება.

მყარი ენობრივი შედარების ლექსიკოგრაფიული სისტემატიზაციის პრინციპები ემყარება ალფაბეტურსა და თემატურ მიდგომებს, ხოლო ეს უკანასკნელი შეიძლება დაჯგუფებულ იქნას სამი შემადგენელი ელემენტიდან ერთ - ერთის მიხედვით: 1) *le compare* ანუ შედარების საგნის; 2) *le comparant* ანუ შედარების საყრდენი წევრის, რომელიც ხატოვან სახეს შეიცავს. 3) *le terme intermediaire* – ის დამაკავშირებელი წევრის, რომელიც ზედსართავი სახელით ან ზმნით გამოიხატება და რომელიც მიუთითებს იმ საერთო ნიშანს, რაც არსებობს შედარების ორ საერთო წევრს შორის.

ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მომხდარმა ცნებითი აპარატის გაფართოებამ და ახლებურმა გააზრებამ გამოიწვია ღირებულებათა გადაფასება, რომელიც მრავალ კატეგორიასა და მოვლენას შეეხო. ისეთი მეცნიერული დარგების წარმოშობამ, როგორცაა ტექსტის ლინგვისტიკა და კომუნიკაციის თეორია, ფრაზეოლოგიის ახლებური გააზრების შესაძლებლობა მოგვცა. ამან თავის ქსრივ განაპირობა მყარი ენობრივი შედარების ახლებური გააზრების შესაძლებლობა.

კომპარატიული ანუ მყარი ენობრივი შედარების თეორიული გააზრების საფუძვლად ჩვენ ავიღეთ ტექსტობრივი აბრევიატურის ცნება, რომელიც დ. გოცირიძემ შემოგვთავაზა მინიმიზირებული ანუ ფრაზული ტექსტების ანალიზისას. ეკონომიის პრინციპი, რომელიც ენის ნებისმიერ დონეზე ვლინდება (მათ შორის ტექსტობრივზეც), განაპირობებს შესაბამის რეპრეზენტაციულ

ურთიერთობას პირველადსა და მეორად ტექსტებს შორის. ისევე, როგორც ნებისმიერი ტიპის აბრევიატურის ფუნქციონირებას, ტექსტობრივი აბრევიატურის ფუნქციონირებასაც ფონობრიობა განაპირობებს. კომუნიკანტების ურთიერთობაში არსებული საერთო შინაარსობრივი კოდი შესაძლებლობას იძლევა შესაბამისი მინიშნება გამოვიყენოთ. იქმნება თავისებური პრეცედენტული ტექსტი, რომელიც პირველადის რეპრეზენტანტს წარმოადგენს. ისევე, როგორც აბრევიატურებს, რომელთა ფუნქციონირება მხოლოდ კომუნიკანტთა საერთო კოდის არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი, ტექსტობრივ აბრევიატურებსაც აღნიშნული პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში შეიძლება პრეტენზია გაუჩნდეთ განსაკუთრებულ სტატუსზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ აბრევიატურების (მათ შორის ტექსტობრივისაც) გამოყენების სიხშირე მაღალია და ფიქსირებულ მნიშვნელობას გამოხატავს, ეკონომიის პრინციპი საშუალებას გვაძლევს, ჩავანაცვლოთ გამონათქვამი მისი აბრევიატურით, რომელსაც, შესაძლებელია, პერსპექტივაში უპირატესობაც კი მიენიჭოს პირველად ტექსტთან შედარებით. ასე, მაგალითად, აბრევიატურებმა „ნატო“, „გაერო“ და ა. შ. ფაქტურად გამოდევნეს ის კონსტრუქციები, რომელთა რეპრეზენტანტებსაც ისინი წარმოადგენენ.

ტექსტობრივი აბრევიატურის სპეციფიკურ ნაირსახეობას წარმოადგენს მყარი ენობრივი შედარება, რომელსაც გააჩნია თავისი პოტენციური სიტუაციური გარემო, რომელთანაც შეხება გვაძლევს თავისებურ მიკროტექსტს და რომელსაც პრეცედენტული მნიშვნელობა გააჩნია.

ტექსტობრივ აბრევიატურას (ჩვენს შემთხვევაში მყარ ენობრივ შედარებას) ჩვენ განვიხილავთ, როგორც მინიმალურ ტექსტს, რომელსაც კულტუროლოგიური ნიშნის მნიშვნელობა გააჩნია. ისევე, როგორც კულტურაში ფუნქციონირებადი ტექსტები (მხატვრული და არამხატვრული, ვერბალური და არავერბალური, მონო - თუ პოლიფაქტურული, ფრაზული თუ მრავალტომიანი და ა.შ.), მყარი ენობრივი შედარებებიც სამეტყველო კოლექტივში მიღებულ შინაარსობრივ კოდს ემყარებიან, რაც განაპირობებს მათი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ამავე დროს, ისინი

ინტრაკულტურული სამყაროს ხედვის დემონსტრირებასაც ახდენენ და შესაძლებლობას გვაძლევენ ეროვნულ - კულტურული სპეციფიკაც დავინახოთ. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინება აუცილებელ პირობას წარმოადგენს მყარი ენობრივი შედარებების ამა თუ იმ ენაზე თარგმნისას, ვინაიდან თარგმანის წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობაა სათარგმნი მასალის ტიპისა და რაობის დადგენა.

მყარი ენობრივი შედარების უნივერსალური ბუნება ვლინდება იმაში, რომ მისი ლოგიკურ - სემანტიკური მოდელი საერთოა ნებისმიერი ენისათვის. განსხვავებას ქმნიან მხოლოდ აღნიშნული მოდელის კონკრეტულ - ენობრივი მანიფესტაციები. გარდა ენების გრამატიკულ სტრუქტურასთან დაკავშირებული სხვაობისა, არ ემთხვევა ამა თუ იმ ენის მყარი ენობრივი შედარების კულტუროგენეზი.

აქედან გამომდინარე, თარგმანი მყარი ენობრივი შედარებების ნაციონალურ - კულტურული სპეციფიკის გათვალისწინებას მოითხოვს. მყარი ენათშორისი ექვივალენტობის დადგენისას აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული პრეცედენტულობის ფაქტორი. კონკრეტული მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მყარი ენობრივი შედარებების კონსტრუქციული ელემენტების ლექსიკური მანიფესტაციები საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან. კონსტრუქციის პირველ პოზიციაში, რომელიც შედარების საგანს წარმოადგენს, მეტ-ნაკლები პოპულარობით სარგებლობს ესა თუ ის ლექსემა. ფრანგული მყარი ენობრივი შედარებების სტატისტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ პირველ პოზიციაში, რომელიც თემას გამოხატავს, პრაქტიკულად ნებისმიერი სახელი შეიძლება იმყოფებოდეს. ეს პოზიცია მყარ ენობრივ შედარებაში, ფაქტიურად, თავისუფლად ვარირებად ნაწილს წარმოადგენს და კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაზე დამოკიდებული. თავისუფლად ვარირებად ნაწილს მყარი ენობრივი შედარების სტრუქტურაში ორი კომპონენტი უპირისპირდება - შემაკავშირებელი წევრი, რომელიც ზედსართავი სახელით ან ზმნითაა გამოხატული და რომელიც მიუთითებს იმ საერთოზე, რაც შედარების თემატურ ნაწილსა და მის საყრდენს

გააჩნია, და შედარების საფუძველი, ანუ მისი საყრდენი კომპონენტი, რომელიც არსებითი სახელით ან სუბსტანტივირებული სიტყვით გამოიხატება.

ფრანგული მყარი ენობრივი შედარებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მეორე პოზიციაში, ანუ გამაერთიანებელ პოზიციაში ყველაზე პოპულარულია შემდეგი ლექსემები: Avoir, Faire, Tomber, Vivre, Rester, Marcher, Traiter, Briller, Chanter და ა. შ., ხოლო ზედსართავი სახელებიდან: Belle, Gros, Rond, Sale, Clair, Bête და სხვა. აღნიშნულ პოზიციაში ფრანგულ მყარ ენობრივ შედარებებში საკმაოდ პოპულარულია ფერების აღმნიშვნელი ლექსემები Noir, Blanc, Rouge, Vert და ა. შ. უნდა ითქვას, რომ ფერების აღმნიშვნელი სიტყვების აქტივობა გამაერთიანებელ პოზიციაში თავისებურ სტატისტიკურ უნივერსალიას წარმოადგენს, რასაც ადასტურებს სხვადასხვაენოვანი რესპონდენტების გამოკითხვაც.

საინტერესოა, რომ გამაერთიანებელი წევრი, რომელიც ტრადიციულად ზედსართავი სახელით ან ზმნითაა გამოხატული და მიუთითებს იმ საერთოზე, რაც შედარების ორ დანარჩენ წევრს გააჩნია - კონკრეტული სემანტიკის მატარებელია. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ პოზიციაში ფაქტიურად არ გვხვდება გაუგებარი სემანტიკის სიტყვები. ამის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ის წარმოადგენს თავისებურ ლოგიკურ საფუძველს, რომლის ბაზაზე განისაზღვრება შესადარებელი ფენომენის არსი. როგორც წესი, მყარი ენობრივი შედარების ეს ნაწილი თარგმნის პროცესში პრობლემას არ ქმნის. ანალიზი გვიჩვენებს, რომ აღნიშნული კომპონენტი ნაციონალურ - კულტურული სპეციფიკის გამოხატვის თვალსაზრისით, ნაკლებად საინტერესოა. ლოგიკის ერთ-ერთ ძირითად პოსტულატს წარმოადგენს თეზისი, რომლის მიხედვითაც არ შეიძლება ერთი უცნობი მოვლენის ახსნა მეორე უცნობით, ამიტომ მყარი ენობრივი შედარების ოპოზიცია დაფუძნებულია თავისებურ კორელაციაზე, როდესაც ხდება დაზუსტება, განსაზღვრა საგნის ან მოვლენის ამა თუ იმ თვისებისა.

მყარი ენობრივი შედარების სტრუქტურაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საყრდენ კომპონენტს, რომელიც, ფაქტიურად, მის მხატვრულ სახეს

ქმნის და არსებითი სახელით ან სუბსტანტივირებული სიტყვითაა გამოხატული. აღნიშნულ პოზიციაში ნათლად აისახება ხატოვანი აზროვნების ნაციონალურ - კულტურული სპეციფიკა, თავისებური ხედვა, რაც ამა თუ იმ კულტურას ახასიათებს.

მყარი ენობრივი შედარებების კლასიფიკაცია ჩვენ დავაფუძნეთ სამყაროს ასახვის იდეოგრაფიულ პრინციპზე, რამაც საშუალება მოგვცა გამოგვეყო ძირითადი ვგუფები: I გარე სამყარო: კოსმოსი, ფლორა, ფაუნა, ეკოსფერო. II ადამიანი - მისი ფიზიკური თვისებები და შესაძლებლობები: სომატიზმები, ფიზიკური, მენტალური მხარე, საზოგადოებრივი ურთიერთობები. ლექსიკურ - სემანტიკური მნიშვნელობები თავისებურად ნაწილდება სამ პოზიციაში, რომელიც გამოიყოფა მყარი ენობრივი შედარების სტრუქტურაში.

მყარი ენობრივი შედარების სამი კომპონენტი - თემა, ან შედარების საგანი, შედარების საყრდენი ანუ საფუძველი და მაკავშირებელი წევრი, რომელიც მიუთითებს ამ საერთოზე, რაც შედარების დანარჩენ ორ წევრს გააჩნია - ერთ კომპოზიციურ მთლიანობას ქმნის.

ანალიზი ადასტურებს, რომ მყარი ენობრივი შედარებები სემანტიკურად შეუზღუდავია, მოიცავს ფრანგული კულტურის მიერ დანახულ სამყაროს და გვიჩვენებს ამ უკანასკნელის შიდაენობრივი სემანტიკის პრინციპებს. პირველი პოზიცია, ანუ თემატური ნაწილი შინაარსობრივად მოიცავს როგორც გარესამყაროს, ასევე ადამიანთან და საზოგადოებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებულ კონცეპტებს. თემატური ნაწილი დაკავშირებულია თვისებისა და მოქმედების მახასიათებელ პრედიკატებთან, რომლებიც, ფაქტიურად, მოიცავენ სუბსტანციის თვისობრივ პარადიგმას (კარგი, ცუდი, ლამაზი, მახინჯი, სწრაფი, ნელი, ძლიერი, სუსტი და ა. შ.). პრედიკატები, თავის მხრივ, სემანტიკურად აკავშირებენ თემატურ ნაწილს შედარების საფუძველთან ან საყრდენ ნაწილთან. ლექსიკურ - სემანტიკური თვალსაზრისით საყრდენი ნაწილიც, ფაქტიურად, შეუზღუდავია და ხშირ შემთხვევაში ქმნის პარადიგმატურ ვარიანტებს.

ნაციონალურ - კულტურული სპეციფიკა ვლინდება სწორედ პირველი და მესამე ნაწილების კომბინატორიკაში, მათი სემანტიკური დაკავშირების შესაძლებლობების დანახვაში და მყარ ენობრივ შედარებად გადაქცევაში.

ფრანგული მყარი ენობრივი შედარებები საკმაოდ მრავალფეროვანია როგორც ფორმით, ასევე - შინაარსით. გარდა ლექსიკონებში დაფიქსირებული მნიშვნელობებისა მხატვრული ტექსტების სტრუქტურებში მათ შეიძლება დამატებითი კონოტაციები შეიძინონ, რაც შესაბამისად ართულებს მთარგმნელის ამოცანას. კონკრეტული მთარგმნელობითი გადაწყვეტილების ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა, სირთულის სხვადასხვა დონე გამოგვეყო დაწყებული მინიმალურიდან (მსგავსი ან იდენტური მყარი ენობრივი შედარებებით), დამთავრებული მაქსიმალურით - უექვივალენტო მყარი ენობრივი შედარებებით:

1) *სრული ფორმალურ - სემანტიკური ექვივალენტები*

აღნიშნულ ჯგუფში შედიან მყარი ენობრივი შედარებები, რომელთაც ანალოგიური ლექსიკური შემადგენლობა გააჩნიათ „blanc comme la neige“ (თოვლივით თეთრი); „nager comme un poisson“ (თევზივით ცურვა). ამგვარი პარალელიზმის მიზეზები სხვადასხვაგვარია. ეს შეიძლება იყოს საერთო წყარო - ბერძნულ - რომაული მითოლოგია, ძველი სამყაროს ისტორია, ბიბლია, სხვა ენიდან ნასესხობა და აგრეთვე მოვლენების ერთმანეთისგან დამოუკიდებელი დანახვა და ფიქსირება. ბიბლიური წარმოშობისაა მყარი ენობრივი შედარებები, რომლებიც შევიდა როგორც ფრანგულში, ასევე - ქართულში „Incrédule comme Thomas“, „Comme l'âne de Buridan“, „Vieux comme Adam“.

ბიბლიურის გარდა, სრული ექვივალენტობის წყაროს ანტიკურ სამყაროსთან დაკავშირებული მყარი ენობრივი შედარებები წარმოადგენს beau comme Adonis (აღონისივით მშვენიერნი არიან), robuste comme Hercule (პერაკლესავით ძლიერი), cent yeux comme Argus (არგუსივით ასი თვალი).

ისევე, როგორც ბიბლიური წარმომავლის მყარ ენობრივ შედარებებში, ანტიკურობასთან დაკავშირებულ კონსტრუქციებშიც გვხვდება განსხვავებული, მხოლოდ ფრანგულისთვის დამახასიათებელი ერთეულები. ასე, მაგალითად, ქართულისთვის არ არის ტიპური ახალგაზრდობის, სიჭაბუკის ავრორასთან შედარება, ფრანგულმა კი ასეთი შედარება მყარი ენობრივი შედარების რანგში აიყვანა.

საკმაოდ დიდია რაოდენობა მყარი ენობრივი შედარებებისა, რომლებიც ძველი სამყაროს პრეცედენტულ სახელებთანაა დაკავშირებული, რაც განაპირობებს საერთო წარმომავლობის ერთეულების არსებობას ფრანგულსა და ქართულში.

დიდია ფრანგული ლიტერატურის პოპულარობა მთელ მსოფლიოში, რამაც განაპირობა ფრანგული კულტურისათვის დამახასიათებელი მრავალი პრეცედენტული ტექსტის გავრცელება სხვა კულტურებში. ფართოდაა ცნობილი ისეთი მხატვრული და ისტორიული პერსონაჟები, რომელთა ნიშან-თვისებები განზოგადებას ექვემდებარება. ასე მაგალითად, გობსეკი მრავალი ქვეყნის მკითხველისათვის სიძუნწისა და ხელმოჭერილობის სიმბოლოა, გარგანტუა - ღორმუცელობის, მონტე-კრისტო - ზღაპრული სიმდიდრის, ნაპოლეონი - ამბიციურობის და ა.შ. აღნიშნული პრეცედენტული სახელების ბაზაზე წარმოიშვა მყარი ენობრივი შედარებები, რომლებიც, ფაქტიურად, მზა სახით შევიდა სხვადასხვა ენაში, მათ შორის - ქართულშიც. ქართველი მკითხველისთვის საკვებით გასაგებია შედარებები „Riche comme Monté-Cristo“, „Avare comme Gobsek“, „Ambitieux comme Napoléon“ (შესაბამისად - მონტე-კრისტოსავით მდიდარი, გობსეკივით ხარბი, ნაპოლეონივით პატივმოყვარე), რაც თარგმნის პროცესში არავითარ პრობლემას არ ქმნის. აღნიშნული პერსონაჟები ფრანგული კულტურის ფარგლებს გასცდნენ და მსოფლიო ლიტერატურის საგანბურში დაიმკვიდრეს ადგილი, რამაც ადვილი გახადა მათი კონოტაციური ველის გაგება და გადმოტანა სხვა კულტურებში.

აღნიშნულ ჯგუფში, რომელიც, მაქსიმალურ ფორმალურ-სემანტიკურ ექვივალენტებს მოიცავს, ძალზე საინტერესოდ მიგვაჩნია ისეთი მყარი ენობრივი შედარებების გამოყოფა, რომლებიც, ჩვენი აზრით, განსახილველ ენებში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოიშვა და რომლებიც, შესაძლებელია, ზოგად უნივერსალსაც წარმოადგენენ. ადამიანები თავისი მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკული საქმიანობის პროცესში გამოყოფენ და აფიქსირებენ ამა თუ იმ მოვლენისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს. ვინაიდან სამყაროს მოვლენები უმეტეს შემთხვევაში საერთოა სხვადასხვა კულტურის ადამიანებისათვის, შესაძლებელია მათი თვისებების მსგავსი ან ერთნაირი დანახვა, რასაც მყარი ენობრივი შედარებების მაგალითიც ადასტურებს. ძნელია არ დაინახო რობოტების მოქმედების ავტომატიზმი, რაც ადამიანთან მიმართებაში ნიშნავს ერთფეროვან და გაუაზრებელ მონოტონურ საქმიანობას. ამასთან დაკავშირებით ფრანგულმაც და ქართულმაც შექმნა მყარი ენობრივი შედარება: „Comme une automate“, „(ვიღაც) ავტომატივით (არის, მოქმედებს).“ ასევე უნივერსალურია ისეთი მყარი ენობრივი შედარებები, როგორიცაა „Bleu comme le ciel“ ან „Bleu comme le mer“, შესაბამისად „ცასავით ლურჯი“ ან „ზღვასავით ლურჯი“.

პირველი ჯგუფი, რომელსაც სრული ფორმალურ - სემანტიკური ექვივალენტები შეადგენენ, მიუხედავად მასში შემავალი ტიპების განსხვავებული გენეზისისა, თარგმნის ხერხების თვალსაზრისით და ექვივალენტობის ტიპის მიხედვით ერთგვაროვანია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახეზეა ექვივალენტობის ისეთი ხარისხი, როდესაც ფრანგულ მყარ ენობრივ შედარებებს ქართულში რეგულარული შესატყვისები მოეპოვებათ. მიზეზები ასეთი რეგულარულობისა არაერთგვაროვანია. ¹ადგილი აქვს როგორც ნასესხობას საერთო წყაროდან (ბერძნულ-რომაული მითოლოგია, ძველი სამყაროსა და შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ისტორია და ა. შ.), ასევე - ფრანგული ლიტერატურიდან (უშუალოდ). ამასთანავე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბევრი ფრანგული მყარი ენობრივი შედარება, რომელთაც სრული ფორმალურ-სემანტიკური ექვივალენტი გააჩნია ქართულში, ორივე ენაში ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლად

წარმოიშვა. აღნიშნული მაგალითები მთარგმნელობითი მოღვაწეობის თვალსაზრისით საკმაოდ იოლ შემთხვევას წარმოადგენენ.

2) *მყარი ენობრივი შედარებები შინაარსობრივად პარალელური მყარი ენობრივი შედარებითი ექვივალენტებით*

აღნიშნულ ჯგუფში შევიტანეთ ის შემთხვევები, როდესაც ფრანგული მყარი ენობრივი შედარებები გადმოცემულია ქართულ ენაზე პარალელური ექვივალენტით, ანუ შინაარსობრივად და, გარკვეულწილად, სტრუქტურულად მსგავსი მყარი ენობრივი შედარებით, მაგრამ განსხვავებული ლექსიკური შემადგენლობით და, შესაბამისად, განსხვავებული პოეტური სახით. მაგ. „Etre connu comme le loup blanc“. ექვივალენტად (ყველა იცნობს). ქართულში მყარი ენობრივი შედარება „ჭრელი ძაღლივით ყველა იცნობს“ ან „თეთრი ყვავივით არის“ გვევლინება.

ემპირიულმა მასალამ დაგვარწმუნა, რომ უმეტეს შემთხვევაში შესაძლებელია ქართულ ენაში შესაბამისი მყარი ენობრივი შედარების მოძიება. ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ არსებობს მთელი რიგი მყარი ენობრივი შედარებებისა, რომელთაც სხვადასხვა მიზეზით ქართულ თარგმანებში მყარი ენობრივი შედარება არ შეესაბამება. ეს გამოწვეულია როგორც ეთნოკულტურული სპეციფიკით, რაც ზოგიერთ მყარ ენობრივ შედარებას ახასიათებს და ინტრაკულტურული ფუნქციონირებისათვის არის გათვალისწინებული, ასევე - შიდატექსტობრივიათაც,¹ როდესაც ამა თუ იმ ფორმის არჩევას ტექსტის თავისებურება, მისი პრაგმატული ინტენცია განსაზღვრავს და განაპირობებს. მესამე ჯგუფი, რომელიც ფრანგული ენის მყარი ენობრივი შედარებების გადმოცემის შესწავლის შედეგად გამოვყავით, უთარგმნელობისა და სხვა ღონის ენობრივი ერთეულებით გადმოცემის შემთხვევებს მოიცავს.

3) მყარი ენობრივი შედარებების არამარკირებული ერთეულებით,
ანუ თავისუფალი გადმოცემა

აღნიშნული ჯგუფი წინა ორი ჯგუფისაგან იმით განსხვავდება, რომ მყარი ენობრივი შედარება განსხვავებული დონის ერთეულებით და არამყარი ენობრივი შედარებებით გადმოიცემა. ამის მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ორი ძირითადი ჯგუფი გამოგვეყო - ეთნოკულტურული სპეციფიკით გამოწვეული შემთხვევები და ტექსტობრივად განპირობებული შემთხვევები. განსხვავებას მათ შორის ქმნის პრეცედენტულობის მაჩვენებელი, რომელიც პირველ შემთხვევაში კულტურაში მიღებულ პრეცედენტული მნიშვნელობის გადმოცემის პრობლემას უკავშირდება, ხოლო მეორეში - სრულიად ირელევანტურია, ვინაიდან მთარგმნელობითი პრობლემატიკა უშუალოდ სათარგმნი ტექსტის შინაარსობრივი სპეციფიკიდან მომდინარეობს და არ არის განპირობებული ეთნოკულტურული თავისებურებებით.

შესაძლებელია ცალკე ჯგუფად გამოიყოს ე. წ. კომბინირებული ვარიანტები, რომლებიც კალკისა და კომენტარისაგან შედგებიან, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეს პრობლემა ზოგადი ხასიათისაა, და სცდება წინამდებარე ნაშრომის პრობლემატიკის ფარგლებს და სპეციალურ კვლევას მოითხოვს, ტექსტობრივი სინტაგმატიკის პოზიციებიდან.

1. ბრეგაძე ლ. პერსონაჟები ხვდებიან ერთმანეთს. თბილისი, 1984.
2. ბურჯანაძე ქ. იაკობ გოგებაშვილი და მხატვრული თარგმანი. თბილისი, 1982.
3. ბურჯანაძე ქ. აკაკი წერეთელი და მხატვრული თარგმანი. თბილისი, 1980.
4. გაჩეჩილაძე გ. მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები. რეალისტური თარგმანის პრობლემა. თბილისი, 1959.
5. გვარჯალაძე ი., მჭედლიშვილი ვ. ინგლისური ანდაზები და ხატოვანი თქმანი ქართულ-რუსული თარგმანითა და შესატყვისებით. თბილისი, 1970.
6. გოგოჭური გ. პერსონაჟის ერთობლივი პორტრეტი და მისი ტრანსფორმაცია თარგმანში. „საუნჯე“, №5., 1981.
7. ერთელიშვილი ფ. ანდაზის ცნების საკითხისათვის. „მნათობი“, №3., 1957.
8. კიკნაძე ზ. „არ შემოკლოს ქართული“. „ცისკარი“, №11., 1968.
9. კონტრიძე ბ. პირდაპირი მეტყველება და პერსონაჟთა ენობრივი დახასიათება. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, №3., 1967.
10. ლეჟავა ლ., ცანავა ა. ხალხური საუნჯე. ანდაზები. თბილისი, 1965.
11. ნათაძე მ. ინგლისურ-ქართული და გერმანულ-ქართული თარგმანის შეპირისპირების ლინგვო-სტილისტური პრობლემები. თბილისი, 1986.
12. ნაიდა თუჯინ ა. თარგმანის ხელოვნებისათვის. „ლიტერატურული საქართველო“, 10. 09. 1982.
13. ნაკაშიძე ნ. ქართული ანდაზები. თბილისი, 1953.
14. საყვარელიძე ნ., ჯაკობო ვოისი. ქართულ ენაზე - „კრიტიკა“ №4., 1981.
15. საზოკია თ. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბილისი, 1979.
16. სილაგაძე ვ. ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმების საკითხები. თბილისი, 1981.

17. სიხარულიძე ქ. ქართული ხალხური სიტყვიერება.
ქრესტომათია ტ.1. თბილისი, 1956.
18. ფანჯიკიძე დ. თარგმანის თეორია და პრაქტიკა.
თბილისი „განათლება“, 1988.
19. ფანჯიკიძე დ. თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ექვივალენტობის
პრობლემა. თბილისი, 1995.
20. ფანჯიკიძე დ. თარგმანის თეორია და პრაქტიკა.
თბილისი „განათლება“, 1988.
21. ფხაკაძე ი. თარგმანი, როგორც ერთიანი პროცესი. საქართვ. მეცნიერ.
აკადემიის მაცნე. ენისა და ლიტ. სერია. თბილისი 2, 1990.
22. ქადაგიძე ნ., დეკანოზიშვილი კ. გერმანული ანდაზები ქართული
შესატყვისებით. თბილისი, 1951.
23. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი, 1986.
24. ღლონტი ა. რჩეული ანდაზები და სიტყვის მასალები. თბილისი, 1957.
25. ღლონტი ა. ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები. თბილისი, 1983.
26. შენგელაია ნ. ძველი და ახალი ინფორმაცია ტექსტში. საქართვ. მეცნიერ.
აკადემიის მაცნე. ენისა და ლიტ. სერია 2. თბილისი, 1985.
27. შურღაია თ., დემულად ფ. ათას ერთი ქართული ანდაზა. თბილისი, 2002.
28. ჩიქოვანი მ. ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. თბილისი, 1956.
29. ჩხენკელი თ. პოეზია - სიბრძნის დარგი. თბილისი, 1978.
30. ციკოლია მ. სიტყვათა რიგი, როგორც სინტაქსისა და სტილისტიკის
საგანი. სოხუმი, 1972.
31. წერეთელი პ. ქართულ - რუსული ანდაზები. თბილისი, 1956.
32. წიბახაშვილი გ. თარგმანის სტილისტიკის ზოგიერთი საკითხი.
„კრიტიკა“ №2, 1975.
33. წიბახაშვილი გ. მსოფლიოს მეზღაპრეები სტუმრად ქართველ ბავშვებთან.
საყმაწვილო მოამბე, 1974.
34. წიბახაშვილი გ. თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები.

თბილისი, 2000.

35. ჭილაია ა., ჭილაია რ. ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები. თბილისი, 1984.
36. ჭუმბურიძე ზ. სალიტერატურო ენა და მწერლობა. თბილისი, 1962.
37. Akmajian A. et.al. (eds.) Linguistics: An Entroduction to Language and Communication. Cambridge. MA. 1995.
38. Allwood J. Linguistic Communication as Action and Cooperetion: A study in Pragmatics. Götebory, 1976.
39. Altmann G. T. M., Shillcock R. (eds.) Cognitive models of Speech Processing: The Second Sperlonga Meeting. Hillsdale, 1993.
40. Anderson G. The Architecture of Cognition. Cambridge. MA, 1983,
41. Baddeley AD. Working Memory. Oxford. New York, 1986.
42. Bain A. English Composition and Rhetoric. London, 1887.
43. Barthes R. An introdaction to the structural analysis of narrative (New Literary History). 1974. vol.6.
44. Beauclair P.L. Cours de gallicismes. 3 vol. Francfort, 1794-1796.
45. Beaugrande R. de Text. Discourse and Process. Norwood, 1980.
46. Berger C.R., Bradac J. Language and Social Knowledge. London, 1982.
47. Blakemore D. Understending Utterances. Oxford. Cambridge. MA. 1992.
48. Blumer H. Social psychologi. Man and Society. New York, 1937.
49. Blumer H. Symbolic Enteractionism. Englewood. Cliffs. 1969.
50. Burton D. Dialogue and Discourse. London, 1980.
51. Bonvillain N. Language. Culture and Communication: The Meaning of Messages. England Cliffs. 1993.
52. Carey G. W. Communication as Culture. Boston, 1989.
53. Carlson L. Dialogue Games: An approach to Discourse Analisis. Boston, 1983.
54. Davau M.Cohen M., Lallemand M. Dictionnaire du français vivant.

Paris, 1976.

55. Davidson D. Truth and Enterpretation. Oxford, 1984.
56. Dictionnaire de L' Academie française. 8 ed. Paris, 1932-1935.
57. Dubois J. et alla. Dictionnaire du francçais contemporain. Paris, 1971.
58. Eluerd R. La pragmatique linguistique. Paris, 1985.
59. Eysenck M.W. Principlis of Cornitive Psychology. Hove, 1993.
60. Fabermann H.A. The Sociology of Emotions. Greenwich, 1989.
61. Griniova E.F., Gromoba T.N. Dictionnaire du francais familier et populaire. Moscou, 1988.
62. Guillot H. Pour enrichir le vocabulaire. Paris, 1955-1959.
63. Kalma M. Trezor des proverbes et locutions du monde. Paris, 1961.
64. Kasiner L.E. and Marks J.A. glossary of colloquial and popular French London-Toronto-New-York, 1930.
65. Larousse P. Grand Dictionnaire Universel du XIX siecle. Paris, 1866-1876.
66. Le Grand Robert de la langue française. en 9 vol. Paris, 1985.
67. Lexis Dictionnaire de la langue française. Paris, 1975.
68. Littré E. Dictionnaire de la langue française. 7 vol. Paris, 1958.
69. Orcorte A. Gallicismes et locutions familleres françaises. Milan, 1888.
70. Petit Robert. Dictionnaire de la langue française. Paris, 1992.
71. Pradez E. Dictionnaire des gallicismes les plus usites. Paris, 1949.
72. Rat M. Dictionnaire des locutions françaises. Paris, 1957.
73. Reum A. Petit dictionnaire de style. Leiprig, 1953.
74. Rey A., Chantreau S. Dictionnaire des expressions et locutions figurées. Paris, 1984.
75. Robert C. - M. Phraseologie française, repertoire sistematique de proverbes, dictions et locutions indiomatiques. Groningue, 1905.
76. Simmel A. Principles of Philosophy. N.Y, 1984.

77. Sues S. Exercices pratiques sur les gallicismes. Jeneve-Berne, 1912.
78. Therond M. Du tac... au tac. Paris, 1955.
79. Tresor de la langue française, sous la direction de Paul Embs. Paris, 1971-1955.
80. Whately R. Element of Rhetoric. London, 1846.
81. Аристотель. Об искусстве поэзии. Б., 1957.
82. Арутюнова Н. Д. Предложение и его смысл. М., 1976.
83. Бахтин М. Проблема речевых жанров. В кн. Бахтин М. Эстетика словесного творчества. М., Искусство. 1979.
84. Беркли Э. Символическая логика и разумные машины, 1961.
85. Библийская энциклопедия. М., 1990.
86. Бидерман Г. Энциклопедия символов. М., 1966.
87. Бирих А. К., Мокиенко В. М., Степанова Л. И. Словарь русской фразеологии. Историко-этимологический справочник. СПб., 2001.
88. Блэк М. Метафора. В кн: Теория метафоры. М., 1990.
89. Гак В.Г., Ганилина К.А. Новый французско-русский словарь. М., 1994.
90. Гегель. Энциклопедия философских наук, 1929, 201.
91. Гоббе Т. Левиафан. М., 1936.
92. Головин Б. Н. Введение в языкознание, 1973, 271.
93. Гоциридзе Д.З! Принципы Типологической интерпретации фразовых текстов. Тб., 1985.
94. Гура А.В. Символика животных в славянской народной традиции. М., 1997.
95. Гуревич В.В., Дозорец Ж.Д. Фразеологический русско-английский словарь. М., 1995.
96. Даль В. Пословицы русского народа (сборник). М., 1957.
97. Даль. В.И. Толковый словарь живого великорусского языка.

- Т. 1- 4. М., 1955.
98. Дэвидсон Д. Что означают метафоры. В кн: Теория метафоры. М., 1990.
 99. Жуков В. П. Словарь русских пословиц и поговорок. 5-е изд. М., 1993.
 100. Кассирер Э. Сила метафоры. В кн: Теория метафоры. М., 1990.
 101. Квеселевич Д. И. Русско-английский фразеологический словарь. М., 2000.
 102. Квятковский А. Поэтический словарь, М., 1966.
 103. Кондаков Н.И. Логический словарь-справочник, 1975, 567.
 104. Лебедева Л.А. Устойчивые сравнения русского языка: Тематический словарь. Краснодар, 1998.
 105. Лебедева Л.А. Словарь устойчивых сравнений русского языка. Краснодар, 1994.
 106. Лебедева Л.А. Устойчивые сравнения русского языка, краткий тематический словарь, Краснодар, 2003.
 107. Лебедева Л.А. Постоянные сравнения русского языка. Краснодар. 1975.
 108. Левкиевская Е. Мифы русского народа. М., 2000.
 109. Локк Дж. Соч. в. 3 х тт, Т.1. М., 1985.
 110. Лотман Ю. М. Культура и взрыв. М., 1977.
 111. Маккей Д. Об образовании понятий автоматике. М., 1958.
 112. Мелетинский Е. М. О литературных архетипах. М., 1994.
 113. Мифологический словарь (гл. ред. Е. М. Метелинский). М., 1990.
 114. Мифы народов мира. Энциклопедия в 2 т. М., 1997.
 115. Мокиенко В. М. Словарь сравнений русского языка. спб., 2003.
 116. Назарян А. Г. Образные сравнения французского языка. М., 1965.
 117. Ницше Ф. Об истине и лжи во внеправственном смысле.

Полн.

118. Новиков Н. В. Образы восточнославянской волшебной сказки. Л., 1974.
119. Огольцев В. М. Словарь устойчивых сравнений русского языка (синонимо-антонимический). М., 2001.
120. Огольцев В.М. Краткий словарь устойчивых сравнений русского языка. Ижевск. ,1994.
121. Огольцев В.М. Устойчивые сравнения русского языка. М., 1984.
122. Ортега-и-Гассет Х. Две великие метафоры. В кн: Теория метафоры. М., 1990.
123. Полный православный энциклопедический словарь. В 2-х тт. М., 1891 (Репринт 1990)
124. Померанцева Э.В. Мифологические персонажи в русском фольклоре. М., 1975.
125. Потебня А.А. Из лекций по теории словесности. Басня. Пословица. Поговорка. Русская словесность: Антология. М., 1997.
126. Пропп В.Я. Исторические корни волшебной сказки. СПб., 1996.
127. Сказки русских писателей. (под ред. В.П.Аникина). М., 1982.
128. Славянская мифология. Энциклопедический словарь., М. 1995.
129. Славянские древности. Этнолингвистический словарь. (под ред. Н.И.Толстого). В 5-ти т.т. М., 1995.
130. Словарь литературоведческих терминов. М., 1974.
131. Словарь образных выражении русского языка. (под ред. В.Н. Телия). М., 1995.
132. Фразеологический словарь русского языка. (под ред. А.И. Молоткова). М., 1967.
133. Французско-русский фразеологический словарь. (под ред. Я.И. Рецкера). М., 1963.

134. Энциклопедия символов, знаков, эмблем. М., 1999.
135. Яранцев Р.И. Русская фразеология. Словарь-справочник. М., 1997